

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

ISSN 1512-1291
EISSN1512-1968

კარდიოლოგია
და
წინაბანი მედიცინა
XXI

დიაგნოსტიკის, პრევენციის, მედიკამენტური და
ქირურგიული მკურნალობის, ინტერვენციული თერაპიის,
მოდულირებისა და ახალი ტექნოლოგიების

მიღწევები და პრობლემები

№1-4
(LXXX- LXXXIV)

თბილისი
2023

სარედაქციო კოლეგია

- | | |
|-------------------------------|-----------------------|
| ე. ამოსოვა (უკრაინა) | ა. სეკიგუჩი (იაპონია) |
| ნ. ანგომანაღელის (საბერძნეთი) | ბ. ქობულია |
| ჰ. ბლუმი (გერმანია) | ნ. ყიფშიძე (აშშ) |
| ლ. ბოკერია (რუსეთი) | რ. შაქარიშვილი |
| ი. ბორისოვი (რუსეთი) | ი. შვეჩენკო (რუსეთი) |
| დ. გიბსონი (ინგლისი) | ე. ჩაზოვი (რუსეთი) |
| ჟ. დე პოუპი (შვეიცარია) | გ. ჩაფიძე |

სარედაქციო საბჭო

- | | |
|------------------------------|----------------------------|
| ა. ალადაშვილი | ა. პაპიტაშვილი |
| ზ. ბახუტაშვილი | ბ. პაჭკორია |
| თ. ბოჭორიშვილი | ა. რევიშვილი (რუსეთი) |
| გ. დიდავა | თ. სანიკიძე |
| ი. დინდარი (თურქეთი) | ც. სენ (თურქეთი) |
| ნ. ემუხვარი | გ. სუკოიანი |
| მ. ვიგამა (ესტონეთი) | გ. ტაბიძე |
| ა. თავართქილაძე | ზ. ფაღავა |
| ილ. თავხელიძე | მ. ფირცხალავა |
| თ. თავხელიძე | ა. ქისტაური |
| დ. თელია | რ. შენგელია |
| ა. კალოფოუსტისი (საბერძნეთი) | კ. ყიფიანი |
| ზ. კაკაბაძე | გ. ჩახუნაშვილი |
| ქ. კაპანაძე | ა. ჩუხრუკიძე |
| დ. კორძაია | თ. ცერცვაძე |
| ზ. კლიმიაშვილი | მ. წვერავა |
| თ. ლობჯანიძე | ბ. წინამძღვრიშვილი |
| ვ. მემუნარგია | ვ. ჭუმბურიძე |
| დ. მეტრეველი | ი. ჯაში |
| ჯ. მოზესი (აშშ) | იო. პეილისი (ბელგია) |
| ს. ორჯონიკიძე | ნ. ჰუსეინოვი (აზერბაიჯანი) |

მთავარი რედაქტორი: მ. როგავა
მთავარი რედაქტორის მოადგილე: მ. ღუდუშაური
რედაქციის სამდივნო: თ. ბოჭორიშვილი, ქ. კაპანაძე
მისამართი: ქ. თბილისი ყაზბეგის 14ა "ჯანმრთელობის ცენტრი"
ტელეფონი: (99532) 516498, (99577) 478707, 469650
ელ-ფოსტა: mamantirogava@mail.ru, tamrikob@yahoo.com, gisc@posta.ge
ვებ-გვერდი: www.gisc.ge

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიები რეფერირდება "ქართულ რეფერატულ ჟურნალსა" და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტის (ВИНИТИ)-ს რეფერატულ ჟურნალში, მასში გამოქვეყნებული სტატიები შედის მედიცინის მონაცემთა ბაზაში და განთავსებულია ინტერნეტში საქართველოს საერთაშორისო კარდიოლოგიის საზოგადოების ვებ-გვერდზე www.gisc.ge, აგრეთვე იგი შეტანილია ქართულ საძიებო საიტებში: www.internet.ge; www.qartuli.com და www.geres.ge.

ჟურნალის ელექტრონული ვერსია eISSN1512-1968 იგზავნება პარიზის საერთაშორისო ISSN-ის ცენტრში. ჟურნალის ტიპოგრაფიული ბეჭდვითი ვერსია ISSN1512-1291 იგზავნება მსოფლიოს 22 ქვეყნის სამედიცინო და ეროვნულ ბიბლიოთეკებში.

SCIENTIFIC-PRACTICAL JOURNAL

ISSN 1512-1291
EISSN1512-1968

**CARDIOLOGY
AND
INTERNAL MEDICINE
XXI**

DIAGNOSTIC, PREVENTION, DRUG AND SURGICAL TREATMENT, INTERVENTIONAL THERAPY,
MODELLING AND MODERN TECHNOLOGIES

ACHIEVEMENTS AND PROBLEMS

**№1-4
(LXXX- LXXXIV)**

TBILISI
2023

EDITORIAL BOARD:

E. Amosova (Ukraine)
N. Angomachalelis (Greece)
H. Blum (Germany)
L. Bokeria (Russia)
I. Borisov (Russia)
G. Chapidze
E. Chazov (Russia)
J. De Paepe (Switzerland)
D. Gibson (UK)
N. Kipshidze (USA)
B. Kobulia
A. Sekiguchi (Japan)
R. Shakarishvili
Ju. Shevchenko (Russia)

EDITORIAL COUNCIL:

A. Aladashvili
A. Chukhrukidze
Z. Bakhutashvili
T. Bochorishvili
G. Chakhunashvili
V. Chumburidze
G. Didava
I. Dindar (Turkey)
N. Emukhvari
N. Huseinov (Azerbaijan)
IL. Tavkhelidze
I. Jashi
I. Geilis (Belgium)
A. Kalofoustis (Greece)
Z. Kakabadze
K. Kapanadze
Z. Klimiashvili
A. Kistauri
K. Kipiani
D. Kordzaia
T. Lobzhanidze
D. Metreveli
V. Meunargia
J. Moses (USA)
S. Orjonikidze
Ch. Pachkoria
Z. Paghava
A. Papitashvili
M. Pirtskalava
A. Revishvili (Russia)
T. SanikiZe
C. Sen (Turkey)
R. Shengelia
G. Sukoiani
G. Tabidze
A. Tavartkiladze
T. Tavkhelidze
D. Telia
T. Tsertsvadze
B. Tsinamdzghvishvili
M. Tsverava
M. Viigama (Estonia)

EDITOR-IN-CHIEF:

EDITOR:

M. Rogava
M. Gudushauri
T. Bochorishvili, K. Kapanadze

ADDRESS:

Kazbegi St 14a., Tbilisi, Georgia,

PHONE:

(9995 32) 516498, (995 77) 478707, 469650

E-mail:

mamantirogava@mail.ru, *tamrikob@yahoo.com*, *gisc@posta.ge*

HOME PAGE:

www.gisc.ge

The Abstracts of the articles included in "Cardiology and Internal Medicine-XXI" will be published in the Georgian Abstract Journal and in the Journal of the Institute of the Scientific and Technical Information of the Russian Academy of Science (VINITI). Be-si-des, the Abstracts are entered into the Medical Information Database, and could be found in the internet on the web-site of the Georgian International Society of Cardiomyopathy www.gisc.ge.

The information about it is also available on the Georgian search sites: www.internet.ge, www.qartuli.com and www.geres.ge. The electronic version of the journal eISSN1512-1968 is sent to the International ISSM Centre in Paris and the published version of it ISSN1512-1291 is delivered to 22 countries around the world.

მეწინავე

1. თ.ლეჟავა, ნ.კაკაურიძე, თ.ჯონაძე, თ.ბუაძე,
მ. გაიოზიშვილი, ხ.გარგულია, თ.სიგუა
VKORC1 და CYP2C9 გენების პოლიმორფიზმი
ავხაზურ პოპულაციაში9-16

კლინიკური მედიცინა

1. ნ. თავბერიძე, ნ.შარაშიძე, ს. შალამბერიძე, ი. ჯაში,
თ. ბოჭორიშვილი, ლ. ტორაძე

რევმატოიდული ართრიტით დაავადებულ ავადმყოფებში
ბიოლოგიური პრეპარატებით მკურნალობის გავლენა
კარდიო-ვასკულარულ რისკ-ფაქტორებზე.....17-20

2. ლ.მეთონიძე

**Функциональные Нарушения щитовидной железы
при пузырьном заносе21-23**

3. ლ.მეთონიძე

**Лимфоциты яичников у больных
с пузырьным заносом при
гипо и гипертиреозе23-24**

მიმოხილვა

1. ს. შალამბერიძე, ნ.ჩიხლაძე, ნ. თავბერიძე, ი. ჯაში, თ. ბოჭორიშვილი, ლ.
ტორაძე

ბიოლოგიური პრეპარატების მოქმედება გულ-სისხლძარღვთა
სისტემაზე რევმატოიდული ართრიტით დაავადებულ
ავადმყოფებში.....25 -33

2. მ. როგავა, თ. კაჭკაჭიშვილი

პირის ღრუს ნორმალური მიკლოფლორა და მისი ცვლილებები პაროდონტის დაავადებათა, გულ-სისხლძარღვთა, სომატური, მწვავე Covid-19 ვირუსულ და სხვა ქრონიკული ინფექციური დაავადებების დროს.....34-73

3. ნ. ცინცაძე ნ.კობალაძე

გულ-სისხლძარღვთა სისტემის თავისებურებები ჭარბი წონის მქონე ავადმყოფებში.....74-81

მოდელირება

1. მ. როგავა, ილ. თავხელიძე

გულის ანატომიისა და რაობის - მათი სრულყოფილი შემეცნების საკითხისათვის..... 83 -100

პრაქტიკული მედიცინა

1.ქ. კაპანაძე, ე. შენგელია, ქ. სოლომნიშვილი

ტაკოცუზო კარდიომიოპათია101-104

2. მ. როგავა

შემთხვევის აღწერა.....105-109

ხსენა

1. ხ. პაჭკორია ექიმი, რომელმაც

ღრმა კვალი დატოვა.....110-111

2. ქართული მედიცინის პატრიარქის

ბატონ ნოდარ ყიფშიძის დაბადების ასი წლისთავი!.....112-117

განცხადება.....118

Leading Article

*1. T. Lezhava, N. Kakauridze, T. Jokhadze, T. Buadze,
M. Gaiozishvili, Kh. Gargulia, T. Sigua*

**Frequency of VKORC1 and CYP2C9 Genes Polymorphism
in Abkhazian Population.....14-15**

Clinical Medicine

*1. N. Tavberidze, N. Sharashidze, S. Shalamberidze, I. Jashi,
T. bochorishvili, L. Toradze*

**Influence of Biological Drug Treatment on Cardiovascular
Risk Factors in Patients with Rheumatoid
Arthritis.....19**

2. L. Metonidze

**Functional Disorders of the Thyroid
Gland in Hydatidiform Mole.....22**

3. L. Metonidze

**Lymphocysts of the Ovaries in patients with
Hydatidiform Mole with Hypo and
Hyperthyroidism.....24**

Review

*1. S. Shalamberidze, N. Chikhladze, N. Tavberidze,
I. Jashi, T. Bochorishvili, L. Toradze*

**Effect of Biological Drugs on the Cardiovascular
System in Patients with Rheumatoid Arthritis.....31**

2. M. Rogava, T. Kachkachishvili

**Normal Oral Microflora and Its Changes During Periodontal Diseases,
Cardiovascular, Somatic, Acute COVID-19 Viral**

and Other Chronic Infectious Diseases.....65

3.N. Tsintsadze N.Kobaladze

Cardiovascular System Disorders in the patients with obesity..... 79

M o d e l i n g

1. *M. Rogava , Il. Tavkhelidze*

**The Anatomy of the Heart and Its Essence – Towards
Their Full Cognition.....94 - 97**

P r a c t i c a l M e d i c i n e

1. *K.Kapanadze, E. Shengelia, K. Solomnishvili*

Takotsubo Cardiomyopathy.....104

2. *M. Rogava*

Recording a Clinical Case.....108

M e m o r y

1. **Khuta Pachkoria – A Doctor with
Remarkable Reputation.....111**

2. **Centerary of the Patriarch of the Georgian
Medicine Nodar Kipshidze.....117**

S t a t e m e n118

VKORC1 და CYP2C9 გენების პოლიმორფიზმი აფხაზურ პოპულაციაში

*თ.ლეჟავა¹, ნ.კაკაურიძე², თ.ჯოხაძე¹, თ.ბუაძე¹,
მ. გაიოზიშვილი¹, ხ.გარგულია^{2,3}, თ.სიგუა¹*

¹ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

² თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

³საბერიოს საავადმყოფო, აფხაზეთი

შესავალი: პოპულაციის გენეტიკური სტრუქტურის შესწავლა ეპიდემიოლოგიური კვლევების მნიშვნელოვანი კომპონენტია. პოპულაციის გენეტიკური სტრუქტურის ცოდნა გარკვეულ პათოლოგიურ პროცესებში მონაწილე ცალკეული გენების ალელების მიხედვით დიდწილად განსაზღვრავს, როგორც ჯანდაცვის ზოგად სტრატეგიას მოცემულ რეგიონში, ასევე წამლებით თერაპიის ეფექტურობას.

ამ ასპექტში განსაკუთრებით საინტერესოა იმ ალელების სხვადასხვა კომბინაციის მატარებლების სიხშირის განსაზღვრა, რომელთა პროდუქტებს დიდი მნიშვნელობა აქვთ გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დროს ანტიკოაგულანტური თერაპიის ეფექტურობაში.

ცნობილია, რომ თრომბოზის სამკურნალოდ ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული ანტიკოაგულანტია ვარფარინი - კუმარინის ჯგუფის პრეპარატი.

ვარფარინით თრომბოზის მკურნალობა (შეერთებულ შტატებში, საშუალოდ, წელიწადში 1 მილიონზე მეტი პაციენტი იღებს ვარფარინს) მნიშვნელოვნად ასოცირდება სისხლდენის რისკთან, რაც ჰოსპიტალიზაციისა და სიკვდილის წამყვანი მიზეზია [1]. აქედან გამომდინარე, ძალზე მნიშვნელოვანია ვარფარინის ოპტიმალური დოზის გაანგარიშება, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს სხვადასხვა ინდივიდისთვის (20-ზე მეტი ვარიაცია).

ვარფარინი ამცირებს სისხლის შედედებას VKORC1 გენით კოდირებული K ვიტამინის ეპოქსიდრედუქტაზას ინჰიბირების გზით [2]. ცნობილია, რომ ვარფარინი წარმოადგენს (S)- და (R)- ვარფარინების ნარევს. ვარფარინის მეტაბოლიზმში ჩართული ძირითადი ცილა არის ციტოქრომი P-450, ფერმენტი, რომელიც პასუხისმგებელია CYP2C9 გენით კოდირებული აქტიური S-ენანტიომერის შეთვისებაზე. ვარფარინის კონცენტრაცია სისხლის პლაზმაში ძირითადად დამოკიდებულია მის კატალიზურ აქტივობაზე [3,4].

ორივე გენი, CYP2C9 და VKORC1, პოლიმორფულია და წარმოდგენილია რამდენიმე ალელური ვარიანტით. კერძოდ, CYP2C9 გენის მავოდირებელ ნაწილში გამოვლენილია ექვსი მუტაცია. კლინიკურად მნიშვნელოვანი ვარიანტები მოიცავს CYP2C9*1 (ე.წ. "ველური ტიპის") და მის 2 ალელურ (ე.წ. მუტანტურ) ფორმებს (CYP2C9*2 და CYP2C9*3). ბოლო ორი ალელი დაკავშირებულია CYP2C9 ფერმენტის მეტაბოლური ეფექტურობის დაქვეითებასთან და სისხლდენის გაზრდილ რისკთან [5,12]. რაც შეეხება VKORC1 გენის პოლიმორფულ ვარიანტებს, ისინი გაერთიანებულია სამ ჰაპლოჯგუფად: GG, AG და AA. სისხლდენის მთავარი მიზეზი არის ერთი მხრივ, სისხლში ვარფარინის მაღალი დონე, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია CYP2C9 ალელურ ფორმაზე, და მეორე მხრივ, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია VKORC1 გენის ვარიანტის მატარებლობა, რომელიც განსაზღვრავს K ვიტამინის ეპოქსიდრედუქტაზას აქტივობას. ორივე გენისთვის ნაჩვენებია ალელური პოლიმორფიზმის განსხვავებული სიხშირე სხვადასხვა პოპულაციაში [1].

მეთოდი, რომელიც ამჟამად გამოიყენება საქართველოში პოპულაციის კვლევებში ვარფარინის დოზის კორექტირებისთვის, შრომატევადია და დაკავშირებულია გარკვეულ სირთულეებთან.

ამ ნაშრომში ჩვენს მიერ შემოთავაზებული მეთოდოლოგიური სიახლეა ზემოთ აღნიშნულ გენებში ერთი ნუკლეოტიდის ჩანაცვლებით გამოწვეული მუტაციების გამოვლენა, ანუ გენოტიპირება - ერთნუკლეოტიდიანი პოლიმორფიზმის განსაზღვრა, რაც ცალკეული პაციენტისათვის ვარფარინის ოპტიმალური დოზის უფრო ზუსტად განსაზღვრის საშუალებას იძლევა.

ამ კვლევის მიზანი იყო VKORC1 და CYP2C9 გენების პოლიმორფიზმის სიხშირის დადგენა აფხაზურ პოპულაციის ჯანმრთელ და თრომბოზით დაავადებულ ინდივიდებში და შესწავლილი გენების პროდუქტების ურთიერთდამოკიდებულების გამოვლენა ვარფარინთან თრომბოზის მკურნალობისას.

მასალა და მეთოდიკა: კვლევები ჩატარდა აფხაზური პოპულაციის ინდივიდთა ვენური სისხლის გამოყენებით. შესწავლილი იქნა: კლინიკურად ჯანმრთელი ინდივიდები (150 ინდივიდი) და თრომბოზის მქონე პაციენტები (100 პაციენტი).

შესწავლილი გენების ალელური ვარიანტების იდენტიფიცირებისთვის, რომლებიც ხასიათდებიან ერთი ნუკლეოტიდის პოლიმორფიზმით, გამოყენებული იქნა დნმ-ის ამპლიფიკაციის მეთოდი (SmartAmp). გამოიყენებოდა პრაიმერები, მონიშნული სხვადასხვა ფლუორესცენტული საღებავებით.

ამპლიფიკაციის რეაქცია, ერთნუკლეოტიდიანი პოლიმორფიზმის განსაზღვრა და გენოტიპირება განხორციელდა ESE-Quant Tube Scanner-ის გამოყენებით, რომელიც წარმოადგენს ამ მიზნით წარმატებით გამოყენებულ სპეციალურ ხელსაწყოს და განსაკუთრებით მოსახერხებელია ეპიდემიოლოგიურ კვლევებისთვის [6].

ESE Quant Tube Scanner-ით ვღებულობთ ზუსტ, ეფექტურ და სწრაფ შედეგებს. ფლუორესცენციის დეტექტორი ეფუძნება თანამედროვე მიკროსისტემის ტექნოლოგიას.

SmartAmp მეთოდი შემუშავდა იმ პრინციპზე დაყრდნობით, რომ დნმ-ის ამპლიფიკაციას შეუძლია უზრუნველყოს გენეტიკური პოლიმორფიზმის და/ან მუტაციების გამოვლენის სიგნალი.

SmartAmp მეთოდის გამოყენებისას, ნიმუშების დამუშავება ხდება ისეთი დნმ პოლიმერაზას გამოყენებით, რომელიც ძალიან მდგრადია უჯრედული დამაბინძურებლების მიმართ და, შესაბამისად, შეუძლია იმუშაოს უშუალოდ სისხლის ნიმუშებზე, მარტივი თერმული დამუშავების შემდეგ (98°C, 3 წთ), რა დროსაც ხდება რნმ-ის დაშლა და ცილების დენატურაცია [7,8]. ეს არის Smart Amp მეთოდის დიდი უპირატესობა ჩვეულებრივ PCR ტექნოლოგიასთან შედარებით, ვინაიდან ის საჭიროებს Taq დნმ პოლიმერაზას, რომელიც ადვილად ინჰიბირდება მინარევებით [9].

ზემოაღნიშნულ მეთოდს აქვს შემდეგი უპირატესობები ამჟამად დამკვიდრებულ ტექნოლოგიებთან შედარებით:

1. SmartAmp რეაქცია არის იზოთერმული. პჯრ მეთოდისგან განსხვავებით, არ საჭიროებს ტემპერატურის ციკლის ცვლის რეჟიმს და მუშაობს ერთ ტემპერატურაზე. ამასთანავე, SmartAmp გამოიყენება მარტივ და შედარებით იაფ ხელსაწყოზე.

2. ნიმუშები ყოველგვარი დამუშავების გარეშე, როგორცაა რამდენიმე მიკროლიტრი სისხლი, შეიძლება უშუალოდ იქნას გამოყენებული რეაქციაში. ამრიგად, შესაძლებელია დნმ-ის გამოყოფის ეტაპის გამოტოვება.

3. ტექნოლოგია იძლევა რეაქციის რეალურ დროში მონიტორინგის საშუალებას.

4. მთელი პროცესი, ნიმუშის მომზადებიდან შედეგებამდე, მუტაციის გამოვლენა და ერთნუკლეოტიდიანი პოლიმორფიზმის აღრიცხვა, შესაძლებელია მიღებულ იქნას სულ მცირე 50-60 წუთში და ამასთანავე, ვიზუალიზაცია მოხდეს რეალურ დროში, გრაფიკებით.

ამ მეთოდის გამოყენებით მუტაციის აღმოჩენა შესაძლებელია საკვლევი მასალის 30 წუთიანი ინკუბაციის შემდეგ, იზოთერმულ პირობებში. რეაქცია მიმდინარეობს 25 µl სარეაქციო არეში, რომელშიც ემატება ოთხი განსხვავებული პრაიმერის ნაკრები 10 µl მოცულობით, რაც განაპირობებს ალელსპეციფიკურ ამპლიფიკაციას. ტუბში ემატება თავისუფალი ნუკლეოტიდების ნაკრები, ახალი ჯაჭვების სინთეზისათვის. გარდა ამისა, რეაქციისათვის აუცილებელი კომპონენტებია: DMSO (დიმეთილ სულფოქსიდი), Tris-HCl (Ph = 8), KCl, (NH₄)₂SO₄, MgSO₄, Tween 20, SYBR-Green და დნმ-პოლიმერაზა.

ჩამოთვლილი კომპონენტების შერევა ხდება მომზადებულ საკვლევ ნიმუშებთან, რომლებიც შეიცავს კაპილარულ სისხლს და NaOH-ის სამუშაო ხსნარს (1:2). თავის მხრივ, აღნიშნული ნიმუშის დამუშავება მიმდინარეობს 980C ტემპერატურაზე 3 წუთის განმავლობაში. ბოლო ეტაპზე ნიმუში განთავსდება ყინულზე და 2 µl მოცულობა დაემატება პჯრ ტუბებში, რეაქციის არეში და მოთავსდება ტუბ-სკანერში Smart Amp რეაქციისთვის, 60 წუთის განმავლობაში.


ჰომო-(დომინანტური და რეცესიული) და ჰეტეროზიგოტური გენოტიპის მქონე ინდივიდების დათვლა მოხდა VKORC1 და CYP2C9 გენების "ველური" და მუტანტური ალელების (*1,*2 და *3) მიხედვით. გენოტიპის კონკრეტული ვარიანტის მატარებლების პროცენტული მაჩვენებლის სტატისტიკური დამუშავება განხორციელდა ფორმულის მიხედვით:

$$m = \pm \frac{\sqrt{n(100-n)}}{N}$$

სადაც: n - არის მოცემული გენოტიპის ვარიანტის პროცენტი (ჰომო - ან ჰეტეროზიგოტური), N - არის შესწავლილი ინდივიდების რაოდენობა. ნებისმიერი პარამეტრის ინდიკატორებისთვის ორი მნიშვნელობის შედარება განხორციელდა სტიუდენტის კრიტერიუმის (t) გამოყენებით:

$$t = \frac{M_1 - M_2}{\sqrt{m_1^2 + m_2^2}}$$


შედეგები და განსჯა: VKORC1 გენის სხვადასხვა გენოტიპების სიხშირეების შედეგები, აფხაზურ პოპულაციაში, წარმოდგენილია სურ.1-ზე.



სურათი #1. VKORC1 გენის გენოტიპების სიხშირე აფხაზური პოპულაციის ჯანმრთელ ინდივიდებში და თრომბოზით დაავადებულ პაციენტებში (% საერთო რაოდენობიდან).

* - მაჩვენებლებს შორის სხვაობა სტატისტიკურად სარწმუნოა, $p < 0,001$

აფხაზური პოპულაციის ჯანმრთელ ინდივიდებში ყველაზე მაღალი სიხშირით (74,6%) გამოვლინდა ჰეტეროზიგოტები (AG გენოტიპი) VKORC1 გენის მიხედვით. ჰომოზიგოტური "ველური" (GG) და მუტანტური გენოტიპის (AA) განაწილებამ შეადგინა 13,6% და 11,8%, შესაბამისად. თრომბოზის მქონე პაციენტთა ჯგუფში ველური ტიპის ჰომოზიგოტები შეადგენდნენ 32,5%-ს, რაც მნიშვნელოვნად მაღალია საკონტროლო ჯგუფთან შედარებით. ჰეტეროზიგოტების პროცენტული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად დაბალი იყო, ვიდრე საკონტროლო ჯგუფში და შეადგენდა 56,25%. რაც შეეხება ჰომოზიგოტური მუტანტის გენოტიპს, ის პრაქტიკულად შეესაბამებოდა საკონტროლო ჯგუფის ანალოგიურ მაჩვენებელს და შეადგინა 11,2%.




სურათი #2. VKORC1 გენის გენოტიპების სიხშირე აფხაზური პოპულაციის ინდივიდებში (% საერთო რაოდენობიდან).

VKORC1 გენის პოლიმორფიზმის მიხედვით, პოპულაციის ჯამურმა მაჩვენებელმა მოგვცა შემდეგი სურათი: ყველაზე მაღალი პროცენტით (65,5%) გამოვლინდა ჰეტეროზიგოტი ინდივიდები, ჰომოზიგოტი ველური და მუტანტური ინდივიდების პროცენტული მაჩვენებელი კი იყო 23 % და 11,5 %, შესაბამისად (სურ.2).

სურ.3 CYP2C9 გენის პოლიმორფული ვარიანტების მაჩვენებელი აფხაზური პოპულაციის კლინიკურად ჯანმრთელ და თრომბოზით დაავადებულ ინდივიდებში (% საერთო რაოდენობიდან). * - მაჩვენებლებს შორის სხვაობა სტატისტიკურად სარწმუნოა, $p < 0,001$ რაც შეეხება CYP2C9 გენის პოლიმორფული ვარიანტების მაჩვენებელს, დაავადებულ და ჯანმრთელ ინდივიდთა შორის საკმაოდ დიდი განსხვავებები იყო გამოვლენილი ზოგიერთი მათგანის მიხედვით.


CYP2C9 *1/*1 გენოტიპი (ველური ტიპის ჰომოზიგოტი) ჯანმრთელ ინდივიდთა 32,9%-ში დაფიქსირდა, მაშინ როდესაც იგივე გენოტიპი თრომბოზით დაავადებულების მხოლოდ 14,5%-ს გამოვლინდა.

CYP2C9 *1/*2 გენოტიპის პროცენტული მაჩვენებელი ჯანმრთელებსა და თრომბოზით დაავადებულებს შორის მცირედით განსხვავდებოდა და შეესაბამებოდა 27,5%-ს ჯანმრთელებში ხოლო თრომბოზიან ინდივიდებში - 30,4%-ს. CYP2C9 *1/*3 გენოტიპმა ჯანმრთელ ინდივიდებში შეადგინა 16,1%. აღნიშნული მაჩვენებელიც სარწმუნოდ განსხვავდებოდა თრომბოზიან პაციენტების ანალოგიური მაჩვენებლისაგან, რომელიც 24,1%-ს შეესაბამებოდა. ყველაზე დიდი სხვაობა პროცენტულ მაჩვენებლებს შორის დაფიქსირდა CYP2C9 *2/*3 (მუტანტი ჰეტეროზიგოტი) გენოტიპის მიხედვით.



სურ.3

ჯანმრთელებში ეს მაჩვენებელი შეესაბამებოდა 40,3%-ს, ხოლო თრომბოზიან ინდივიდებში - 11,4%. CYP2C9 *2/*2 გენოტიპი არ დაფიქსირებულა არც ერთ საკვლევ ჯგუფში, ხოლო CYP2C9 *3/*3 (მუტანტი ჰომოზიგოტი) ინდივიდების პროცენტული მაჩვენებელი პრაქტიკულად არ განსხვავდებოდა და შეადგინა 1,6% (ჯანმრთელებში) და 1,2% (თრომბოზიან პაციენტებში სურ.3).



სურათი #4. CYP2C9 გენის პოლიმორფული ვარიანტების მაჩვენებელი აფხაზურ პოპულაციაში (% საერთო რაოდენობიდან).

აფხაზური პოპულაციის გამოკვლეული ინდივიდების ჯამური მაჩვენებლის მიხედვით, ყველაზე მაღალი პროცენტული რაოდენობით წარმოადგენილი იყო ჰეტეროზიგოტები (CYP2C9 *1/*2) და შეადგენდნენ მთლიანი რაოდენობის 29%-ს.

ასევე მაღალი იყო მუტანტი ჰეტეროზიგოტების მაჩვენებელი (CYP2C9 *2/*3) რომელმაც შეადგინა 25,8%. CYP2C9 *1/*1 გენოტიპი ჯამური მაჩვენებლის მიხედვით, დაფიქსირდა ინდივიდთა 23,7%-ში, ხოლო CYP2C9 *1/*3 – 20,1%-ში. CYP2C9 *3/*3 (მუტანტი ჰომოზიგოტი) ინდივიდების პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 1,4% (სურ.4).

ჩვენს მიერ შესწავლილია VKORC1 და CYP2C9 გენების პოლიმორფიზმი საქართველოს რეგიონებში (სამეგრელო, თბილისი, კახეთი) [10]. ისევე როგორც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მიღებული შედეგები, აფხაზეთის პოპულაციის მონაცემებიც ამ გენების პოლიმორფიზმის მიხედვით, მნიშვნელოვნად განსხვავებულია, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ამ გენების პოლიმორფიზმის პოპულაციურ სხვადასხვაობაზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში, რომელიც ეძღვნება CYP2C9 გენის ალელური ვარიანტების განაწილების სიხშირის შესწავლას, მიუთითებენ ფართო პოპულაციურ პოლიმორფიზმზე [11,12,13]. ველური ტიპის ალელის ზოგადი უპირატესობის ფონზე, სხვადასხვა პოპულაციაში ჰომო- და ჰეტეროზიგოტური ვარიანტების სიხშირეები განსხვავებულია. როგორც ზემოთ აღინიშნა, CYP2C9 გენის ცილოვანი პროდუქტი წამყვან როლს ასრულებს ვარფარინის მეტაბოლიზმში და პრეპარატის კონცენტრაცია სისხლის პლაზმაში დამოკიდებულია მის აქტივობაზე. მეორეს მხრივ, ცნობილია, რომ ვარფარინი, როგორც ანტიკოაგულანტი, ახდენს სისხლის კოაგულაციის ერთ-ერთი ფაქტორის, VKORC1 გენით კოდირებულ პროდუქტის ინაქტივაციას. ამიტომ, ვარფარინის დოზირებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თრომბოზის მკურნალობაში. ძალიან მაღალი დოზა შეიცავს სისხლდენის მაღალ რისკს და ძალიან დაბალი დოზა არაეფექტური იქნება. ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, ვარფარინის ინდივიდუალური დოზის განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს CYP2C9 და VKORC1 გენების ალელური ვარიანტების კომბინაციის ცოდნას.

ანტიკოაგულანტ ვარფარინის დოზის დასადგენად შემოთავაზებულია ფარმაკოგენეტიკის მონაცემებზე დაფუძნებული ალგორითმები. მოდელის უმეტესობა ითვალისწინებს ასაკს, სქესს, სხეულის ზედაპირის ფართობს, თანმხლებ მედიკამენტებს და კლინიკურ ჩვენებებს [14]. ვარფარინის დოზის შეფასების ერთ-ერთი ყველაზე ხშირად ციტირებული ალგორითმი (მგ/დღეში) დაფუძნებული იყო დოზირების ალგორითმის რეგრესიის მოდელზე [15].

ვარფარინის დოზირების რამდენიმე გამოქვეყნებული ალგორითმი შედარებულია დოზის რეტროსპექტულ გამოთვლებთან პაციენტების პოპულაციაში, რომლებიც გადიან ვარფარინით ხანგრძლივ, სტაბილურ თერაპიას, რათა დადგინდეს მათი სიზუსტე [16,17]. VKORC1 და/ან CYP2C9 პოლიმორფიზმი წარმოდგენილია კლინიკურ დოზირების ალგორითმებში პერსპექტიულ კლინიკურ კვლევებში

[18,19,20]. ფარმაკოლოგიური და კლინიკური ალგორითმების მხარდასაჭერად შეიქმნა არაკომერციული ვებგვერდი – www.WarfarinDosing.org [12].

დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ გამოვლინდა გენოტიპების მნიშვნელოვანი განსხვავებები აფხაზური პოპულაციის თრომბოზით დაავადებულ პაციენტებს და ჯანმრთელ ინდივიდთა შორის. ჩვენს მიერ შესწავლილი VKORC1 და CYP2C9 გენების პოლიმორფული ვარიანტების დადგენისას მიღებული შედეგები გათვალისწინებული უნდა იყოს ალგორითმების გამოყენების დროს აფხაზეთის პოპულაციის თრომბოზიან ინდივიდებში ვარფარინის სამკურნალოდ დოზის ოპტიმალური ვარიანტის განსასაზღვრად, როგორც მკურნალობის დროს, ასევე თრომბოზის პრევენციის მიზნით.

დაფინანსება: ნაშრომი განხორციელდა საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (SRNSFG) მხარდაჭერით OTG-I-22-362, CYP2C9 და VKORC1 გენების პოლიმორფიზმის განსაზღვრა აფხაზური პოპულაციის ჯანმრთელ და თრომბოზით დაავადებულ ინდივიდებში, ვარფარინის დოზის რეგულირების მიზნით].

Frequency of VKORC1 and CYP2C9 Genes Polymorphism in Abkhazian Population

T.Lezhava¹, N.Kakauridze², T.Jokhadze¹, T.Buadze¹, M.Gaiozishvili¹, Kh.Gargulia^{2,3}, T.Sigua¹

¹Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Department of Genetics, Tbilisi, Georgia

²Tbilisi State Medical University, Tbilisi, Georgia

³Hospital of Saberio, Abkhazia

Keywords: VKORC1 gene, CYP2C9 gene, genotype testing, thrombosis, warfarin.

The aim of the research was to study the frequency of VKORC1 and CYP2C9 genes different alleles for healthy donors and for patients with thrombosis, in Abkhazian population and to reveal the interdependence of the studied genes products in the treatment of thrombosis with warfarin.

Warfarin is an anticoagulant, causing the inactivation of the VKORC1 gene product, which is one of the clotting factors. The protein product of CYP2C9 gene is involved in the metabolism of warfarin. Genotyping of blood samples for studied genes alleles was carried out using a tube scanner (ESE Quant Tube Scanner), allowing to identify SNPs.

With the highest frequency in the studied group of healthy donors of Abkhazian population, by VKORC1 gene found Heterozygous (AG genotype) (74,5 %). The distribution of homozygous of "wild" (GG) and mutant genotype (AA) accounted for 13,5% and 11,8%, respectively. In the group of patients with Thrombosis, wild-type homozygotes accounted 32.5%, which is significantly high compared to the control group. The percentage of heterozygotes was significantly low than in the control group and accounted 56,25%. as for the homozygous mutant genotype, it was practically the same, as in control group (11,2%). Regarding the rate of polymorphic variants of the CYP2C9 gene, quite large differences between diseased and healthy individuals were detected according to some of them. CYP2C9 *1/*1 genotype (wild-type homozygote) was observed in 32.9% of healthy individuals, while the same genotype was detected in only 14.5% of patients with thrombosis. The percentage of CYP2C9 *1/*2 genotype was slightly different between healthy and thrombotic subjects and corresponded to 27.5% in healthy individuals and 30.4% in thrombotic patients. CYP2C9 *1/*3 genotype accounted for 16.1% in healthy individuals. The mentioned indicator was significantly different from the similar indicator of patients with thrombosis, which corresponded to 24.1%. The largest difference between the percentages was observed according to the CYP2C9 *2/*3 (mutant heterozygote) genotype. In healthy individuals, this rate corresponded to 40.3%, and in thrombotic individuals - 11.4%. The CYP2C9 *2/*2 genotype was homozygous mutant genotype, it was practically the same, as in control group (11,2%).

Regarding the rate of polymorphic variants of the CYP2C9 gene, quite large differences between diseased and healthy individuals were detected according to some of them. CYP2C9 *1/*1 genotype (wild-type homozygote) was observed in 32.9% of healthy individuals, while the same genotype was detected in only 14.5% of patients with thrombosis. The percentage of CYP2C9 *1/*2 genotype was slightly different between

healthy and thrombotic subjects and corresponded to 27.5% in healthy individuals and 30.4% in thrombotic patients. CYP2C9 *1/*3 genotype accounted for 16.1% in healthy individuals. The mentioned indicator was significantly different from the similar indicator of patients with thrombosis, which corresponded to 24.1%. The largest difference between the percentages was observed according to the CYP2C9 *2/*3 (mutant heterozygote) genotype. In healthy individuals, this rate corresponded to 40.3%, and in thrombotic individuals - 11.4%. The CYP2C9 *2/*2 genotype was not observed in any of the study groups, while the percentage of CYP2C9 *3/*3 (mutant homozygous) individuals did not differ and amounted to 1.6% (in healthy individuals) and 1.2% (in thrombotic patients).

VKORC1 and / or CYP2C9 genes polymorphisms are presented in a number of clinical dosing algorithms and in prospective clinical trials.

In conclusion, it should be noted that the present work revealed a significant variability of genotypes between the groups of patients with thrombosis and healthy individuals, in Abkhazian population. The results obtained in determining the polymorphic variants of the VKORC1 and CYP2C9 genes, studied by us, should be taken into account when using algorithms to determine the optimal dosage for warfarin treatment in thrombotic individuals of the Abkhazian population, both during treatment and for the prevention of thrombosis.

Homozygous mutant genotype, it was practically the same, as in control group (11,2%). Regarding the rate of polymorphic variants of the CYP2C9 gene, quite large differences between diseased and healthy individuals were detected according to some of them. CYP2C9 *1/*1 genotype (wild-type homozygote) was observed in 32.9% of healthy individuals, while the same genotype was detected in only 14.5% of patients with thrombosis. The percentage of CYP2C9 *1/*2 genotype was slightly different between healthy and thrombotic subjects and corresponded to 27.5% in healthy individuals and 30.4% in thrombotic patients. CYP2C9 *1/*3 genotype accounted for 16.1% in healthy individuals. The mentioned indicator was significantly different from the similar indicator of patients with thrombosis, which corresponded to 24.1%. The largest difference between the percentages was observed according to the CYP2C9 *2/*3 (mutant heterozygote) genotype. In healthy individuals, this rate corresponded to 40.3%, and in thrombotic individuals - 11.4%. The CYP2C9 *2/*2 genotype was not observed in any of the study groups, while the percentage of CYP2C9 *3/*3 (mutant homozygous) individuals did not differ and amounted to 1.6% (in healthy individuals) and 1.2% (in thrombotic patients).

VKORC1 and / or CYP2C9 genes polymorphisms are presented in a number of clinical dosing algorithms and in prospective clinical trials.

In conclusion, it should be noted that the present work revealed a significant variability of genotypes between the groups of patients with thrombosis and healthy individuals, in Abkhazian population. The results obtained in determining the polymorphic variants of the VKORC1 and CYP2C9 genes, studied by us, should be taken into account when using algorithms to determine the optimal dosage for warfarin treatment in thrombotic individuals of the Abkhazian population, both during treatment and for the prevention of thrombosis.

ლიტერატურა:

1. Wadelius M, Pirmohamed M. Pharmacogenetics of warfarin: current status and future challenges. *Pharmacogenomics J* 2007;7: 99-102.
2. Oldenburg J, Watzka M, Rost S, Muller CR. VKORC1: molecular target of coumarins. *J Thromb Haemost.* 2007;5: 1-6.
3. Nelson DR. The cytochrome p450 homepage. *Hum Genomics* 2009; 4: 59-65.
4. Yin T, Miyata T. Warfarin dose and the pharmacogenomics of CYP2C9 and VKORC1 – rationale and perspectives. *Thromb Res.* 2007; 120: 1-10.
5. Scott SA, Edelmann L, Kornreich R, Desnick RJ. Warfarin pharmacogenetics: CYP2C9 and VKORC1 genotypes predict different sensitivity and resistance frequencies in the Ashkenazi and Sephardi Jewish populations. *Am J Hum Genet.* 2008; 82: 495-500.
6. Lezhava A, Ishidao T, Ishizu Y, et al. Exciton Mediated SNP detection in SmartAmp2 reactions. *Human*

- Mutation 2010; 31: 208-217.
7. Yoshida K., Takano J., Ishizu Y., Lezhava A., et al. Direct and Rapid Genotyping of SLCO1B1 388A>G and 521T>C in Human Blood Specimens Using the SmartAmp-2 Method. *The AAPS Journal*. 2013; 15, 2, 618-622.
 8. Mitani Y., Lezhava A., Kawai Y., et al. Rapid SNP diagnostics using asymmetric isothermal amplification and a new mismatch-suppression technology. *Nat Methods*. 2007; 4:257-62.
 9. Mitani Y., Lezhava A., Sakurai A., et al. Rapid and cost-effective SNP detection method: application of SmartAmp2 to pharmacogenomics research. *Pharmacogenomics*. 2009; 10:1187-
 10. Jokhadze T., Kakauridze N., Buadze T., Gaiozishvili M., Lezhava T. Frequency of polymorphism of VKORC1 and CYP2C9 genes in two regions of Georgia. *Geo Med News*, 2016; 1(250): 46-51.
 11. Moyer TP, O’Kane DJ, Baudhuin LM, et al. Warfarin sensitivity genotyping: a review of the literature and summary of patient experience. *Mayo Clin Proc*. 2009; 84:1079-1094.
 12. Lindley K., Limdi N., Cavallari L., Perera M., et al., Warfarin Dosing in Patients With *CYP2C9**5 Variant Alleles. *Clinical Pharmacology and Therapeutics*, 2022; 11(4): 950-955 <https://doi.org/10.1002/cpt.2549>
 13. Takahashi H, Wilkinson GR, Nutescu EA, et al. Different contributions of polymorphisms in VKORC1 and CYP2C9 to intra- and inter-population differences in maintenance dose of warfarin in Japanese, Caucasians and African-Americans. *Pharmacogenetics and Genomics* 2006;16: 101-110.
 14. Wu A. Use of genetic and nongenetic factors in warfarin dosing algorithms. *Pharmacogenomics, Pharmacogenomics* 2007; 8: 851-61.
 15. Sconce EA, Khan TI, Wynne HA, Avery P, Monkhouse L, King BP, et al. The impact of CYP2C9 and VKORC1 genetic polymorphism and patient characteristics upon warfarin dose requirements: proposal for a new dosing regimen. *Blood* 2005;106: 2329-2333.
 16. Tavares L., Marcatto L., Santos P. Genotype-guided warfarin therapy: current status. *PHARMACOGENOMICS*, 2018; 19 (7). <https://doi.org/10.2217/pgs-2017-0207>.
 17. Semakula J., Mouton J., Jorgensen A., Hutchinson C. et al. A cross-sectional evaluation of five warfarin anticoagulation services in Uganda and South Africa. *Plos One*, 2020; <https://doi.org/10.1371/journal.pone.0227458>
 18. Fahmi A., Elawa H. and Jilany I. Warfarin dosing strategies evolution and its progress in the era of precision medicine, a narrative review. *International Journal of Clinical Pharmacy*. 2022; 44,599-607.
 19. Ndadza A., Muyambo S., Mntla P., Wonkam A., et al. Profiling of warfarin pharmacokinetics-associated genetic variants: Black Africans portray unique genetic markers important for an African specific warfarin pharmacogenetics-dosing algorithm. *J Thrombosis and Haemostasis*. 2021; 19 (12): 2957-2973.
 20. Nguyen V., Nguyen H, Cho Y, Kim H. Comparison of multivariate linear regression and a machine learning algorithm developed for prediction of precision warfarin dosing in a Korean population. *J Thrombosis and Haemostasis*. 2021; 19 (7):

**რევმატოიდული ართრიტით დაავადებულ ავადმყოფებში
ბიოლოგიური პრეპარატებით მკურნალობის გავლენა
კარდიო-ვასკულარულ რისკ-ფაქტორებზე**

ნ. თავბერიძე, ნ. შარაშიძე, ს. შალამბერიძე, ი. ჯაში, თ. ბოჭორიშვილი, ლ. ტორაძე

*ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სსიპ გ. აბრამიშვილის სახ. თავდაცვის სამინისტროს გორის სამხედრო ჰოსპიტალი*

რევმატოიდული ართრიტი არის ქრონიკული ანთებითი დაავადება, რომლის დროსაც მიმდინარეობს აუტოიმუნური აშლილობა. ამ დროს საკუთარი ქსოვილის წინააღმდეგ გამომუშავდება ანტისხეულები. კერძოდ, სახსრების ხრტილოვან ნაწილში ვითარდება ანთება, რასაც თან სდევს სახსრების დეფორმაცია, ანკილოზი (სახსრის სრული ჩაკეცვა და ფუნქციის მოშლა), რამაც შეიძლება, პაციენტი ინვალიდობამდე მიიყვანოს.

რევმატოიდული ართრიტი შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც „ბუნებრივი ექსპერიმენტი“, ანთებასა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს შორის, სადაც ისახება ფუნდამენტალური მსგავსება: სადაც მსგავსია ათეროსკლეროზსა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარების ანთებითი მექანიზმები და დაავადებების იმუნური გენეზი.

აქედან გამომდინარე, აღნიშნული დაავადებების განვითარების საერთო მექანიზმების გათვალისწინება რევმატოიდული ართრიტის მკურნალობაში, ხელს შეუწყობს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარების შემცირებასა და პროფილაქტიკას. არსებობს კვლევები, რომლებიც ადასტურებენ ბიოლოგიური პრეპარატების დადებით მოქმედებას გულ-სისხლძარღვთა დაავადებების გამომწვევ რისკ-ფაქტორებზე.

კვლევის მიზანს წარმოადგენს დადგინდეს ანტიანთებითი ბიოლოგიური პრეპარატების (ადალიმუმაბის, ინფლიქსიმაბის) მოქმედების ეფექტი გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე რევმატოიდული ართრიტით დაავადებული ავადმყოფების მკურნალობის დროს.

კვლევაში ჩართული იყო 18 წლიდან 60 წლამდე რევმატოიდული ართრიტით დაავადებული 50 ქალი, საშუალო ასაკი იყო 53.4 წელი, დაავადების საშუალო ხანგრძლივობა ≥ 5 . და DAS28-ESR ≤ 6.2 . დიაგნოზი დასმული იყო ამერიკის რევმატოლოგიური კოლეჯის 2010 (ACR) და ევროპის რევმატოლოგიური ლიგის (EULAR) კლასიფიკაციის კრიტერიუმებით. პაციენტები იყო საშუალო და მძიმე ფორმის აქტიური რევმატოიდული ართრიტი დიაგნოზით, რომელთაც მკურნალობდნენ დაავადების მამოდიფიცირებელ ანტირევმატიულ პრეპარატებით (მათ შორის მეტოტრექსატი), მაგრამ ვერ იქნა მიღწეული რემისია.

პაციენტები განაწილებული იქნა 3 ჯგუფში:

I ჯგუფი - შეადგინა პაციენტებმა ($n=10$), ასაკი მერყეობდა 19 წ-დან 60 წ-მდე (საშუალო ასაკი 45,2 \pm 9,3წ), რომლებიც იყვნენ სტანდარტულ რევმატოიდული ართრიტის სამკურნალო თერაპიაზე.

II ჯგუფი - შეადგინა პაციენტებმა ($n=20$), ასაკი მერყეობდა 25 წ-დან 57 წ-მდე (საშუალო ასაკი 48,4 \pm 6,3წ), პაციენტები, რომლებიც სტანდარტულ თერაპიასთან ერთად იღებდნენ სამედიცინო იმუნო-ბიოლოგიური პრეპარატს - მონიკლონალურ ანტისხეულებს - რიტუქსიმაბს. რიტუქსიმაბით მკურნალობა ტარდებოდა 1000 მგ, ი.ვ. ინფუზიის გზით, რომელსაც მოყვება მეორე 1000 მგ-ის ინფუზია ორი კვირის შემდეგ, ხოლო შემდეგი ინფუზია 16 კვირის გასვლის შემდეგ.

III ქვეჯგუფი - ($n=20$), ასაკი მერყეობდა 20 წ-დან 60 წ-მდე (საშუალო ასაკი 50,1 \pm 2,1წ), რომლებიც მკურნალობდა ინფლიქსიმაბით ტარდებოდა შემდეგი სქემის მიხედვით 3 მგ/კგ მკურნალობის დასაწყისი, მე-2, მე-6, მე-14, მე-22, მე-30 კვირაში.

კვლევა მიმდინარეობდა 30 კვირის განმავლობაში. პაციენტებს გარდა რევმატოიდული ართრიტის საბაზისო კვლევებისა, უტარდებოდათ შემდეგი კლინიკო ლაბორატორიული გამოკვლევები: ელექტროკარდიოგრაფიული კვლევა, არტერიული წნევის გაზომვა, საძილე არტერიების დუპლექს სკანირება, სისხლძარღვთა კედლის ანატომიურ-მორფოლოგიური და მექანიკური მახასიათებლების გაზომვა (ინტიმა-მედიის სისქე, დამყობობა, ჰიმვადობა, რემოდელირების ინდექსი), დოპლერ-ექოკარდიოსკოპია, სისხლში ლიპიდური პროფილის (საერთო ქოლესტერინის, HDL-Chol, LDL-Chol, TG,

ათეროგენოზის ინდექსის), არტერიული კედლის ელასტიური თვისებების CRP, RF და სისხლის კლინიკური ანალიზი. აღნიშნული კვლევები ტარდებოდა კვლევის დაწყებამდე და 30 კვირის შემდეგ.

სტატისტიკური ანალიზი ჩატარდა SPSS 15.0 პროგრამული უზრუნველყოფით. ყველა პარამეტრის განაწილება შემოწმდა კოლმოგოროვ-სმირნოვის ტესტით. ნორმალურად განაწილებული მონაცემები წარმოდგენილი იყო $M \pm m$.

მიღებული შედეგები: II და III ჯგუფებში სადაც პაციენტები სტანდარტულ თერაპიასთან ერთად იღებდა რიტუქსიმაბსა და ინფლიქსიმაბს, მკურნალობიდან 30 კვირის შემდეგ გამოიკვეთა მნიშვნელოვანი გაუმჯობესება DAS28-ESR და HAQ ქულის, RF, CRP და ESR კონცენტრაციების სტანდარტულ თერაპიასთან შედარებით.

II ჯგუფის პაციენტებში TC (9%) და HDL-C (23%) მნიშვნელოვანი ზრდა LDL-C და TG-ში მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე, რის შედეგადაც შემცირდა ათეროგენულობის ინდექსი 14%-ით. III ჯგუფში საერთო ქოლესტერინის საშუალო კონცენტრაცია გაიზარდა 25%-ით, LDL-ქოლესტერინი 24%-ით და HDL-ქოლესტერინი და ათეროგენულობის ინდექსი 11%-ით გაიზარდა. II და III ჯგუფში უმნიშვნელოდ მოიმატა სისხლში უზმოზე გლუკოზაში, საწ, დაწ და BMI მონაცემების I ჯგუფთან შედარებით.

რიტუქსიმაბის თერაპიამ გამოიწვია არტერიული კედლების ელასტიური თვისებების გაუმჯობესება II ჯგუფში: ძირითადი არტერიების სიხისტის ინდექსი (SI) - შემცირდა 57%-ით და არტერიოლების ასახვის ინდექსი (RI) - შემცირდა 24%-ით, ხოლო "ძალიან ხისტი" არტერიების სიხშირე შემცირდა 3.5-ჯერ, საშუალო IMT შემცირდა 11%-ით და მაქსიმალური IMT - 9%-ით.

III ჯგუფში. პაციენტებმა, აჩვენეს ათეროსკლეროზის მნიშვნელოვანი გაუარესება ინტიმა-მედიის სისქის ზრდით და შემდგომი ათეროსკლეროზული ფოლაქების არსებობით იმ პაციენტებთან შედარებით, რომლებიც მკურნალობდნენ სტანდარტული თერაპიით. I ჯგუფში კი - არტერიული სიხისტის პარამეტრებში და IMT-ის მაჩვენებლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ დაფიქსირებულა.

II ჯგუფის, III ჯგუფის პაციენტებში მცირედ დაქვეითდა განდევნის ფრაქცია და გაიზარდა მარცხენა პარკუჭის ზომა საწყის მონაცემებთან შედარებით, რაც არ იყო სტატისტიკურად სარწმუნო მონაცემები, არ შეცვლილა გულის უკმარისობის ფუნქციური კლასი I ჯგუფთან შედარებით. ეს ყველაფერი შესაძლოა აიხსნას იმით, რომ კვლევაში არ ყოფილა ჩართული გულის მძიმე უკმარისობით დაავადებული პაციენტები.

ყველა პაციენტს მნიშვნელოვნად ჰქოდა დაქვეითებული სისხლში კალციუმისა და დ ვიტამინის დონე, რომელთა მონაცემები პირდაპირ კავშირში იყო დაავადების სიმძიმესთან.

ელექტროკარდიოგრაფიული კვლევით მხოლოდ 3 პაციენტთან III ჯგუფში და 2 პაციენტთან II ჯგუფში დაფიქსირდა ექსტრასისტოლური არითმია, რის გამოც დაგჭირდა კარდიოლოგის კონსულტაცია და ანტიარითმული მედიკამენტის დამატება, მაგრამ არცერთ პაციენტთან ეს არ ყოფილა კვლევიდან გამორიცხვის კრიტერიუმი.

რევმატოიდული ათროტიტით დაავადებულ პაციენტებში სისტემური ანთების კონტროლი განიხილება, როგორც ეფექტური სტრატეგია გულ-სისხლძარღვთა რისკის ფაქტორების მოდიფიცირებისა და პროფილაქტიკისთვის. ჩვენს მიერ ჩატარებულმა კლინიკურმა კვლევებმა აჩვენა, რომ ანტი-CD20 თერაპია ამცირებს ათეროსკლეროზის მიმდინარეობას რევმაროიდული ათროტიტით დაავადებულ პაციენტებში.

რიტუქსიმაბით თერაპია მნიშვნელოვნად თრგუნავს სისტემურ ანთებას, აუმჯობესებს ლიპიდურ პროფილს და ათეროგენურობის ინდექსს, ამცირებს კაროტიდულ IMT-ს და აუმჯობესებს არტერიული კედლის ელასტიურ თვისებებს რევმატოიდული ათროტიტით დაავადებულ პაციენტებში, რომლებსაც არ აქვთ მწვავე გულ-სისხლძარღვთა დაავადება. ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ აღნიშნული თვისებებით რიტუქსიმაბი ამცირებს კარდიო-ვასკულარული დაავადებების რისკს.

აღნიშნულმა კვლევამ აჩვენა, რომ ანტი-TNF- α -ს პრეპარატები (ინფლიქსიმაბი), რომლებსაც ვიყენებდით რევმატოიდული ათროტიტით დაავადებულ პაციენტებში 30 კვირის განმავლობაში, ზრდის ტრიგლიცერიდების და HDL დონეებს, საერთო ქოლესტერინის, LDL-ის ან AI-ის დონეზე გავლენის გარეშე. ლიპიდების დონის ზრდის მიუხედავად, ანტი-TNF- α -ს პრეპარატები ამცირებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკს, ამცირებს ენდოთელიუმის დისფუნქციას, აძლიერებს HDL ანტიოქსიდანტურ უნარს და აუმჯობესებს ინსულინის მგრძობელობას. ანტი-TNF- α -ს პრეპარატებით მკურნალობა ასევე ამცირებს ანთებას (მათ შორის CRP დონეს და ESR-ს) და ასოცირდება კარდიო-ვასკულარული რისკების შემცირებასთან.

ჩვენ კვლევაში რევმატიოდულ ართრიტიან პაციენტებში, რომლებიც მკურნალობდნენ ინფლიქსიმაბით, აჩვენებდნენ IMT-ის მიერ გაანალიზებული უსიმპტომო ათეროსკლეროზის გაუარესება და ათეროსკლეროზული ფოლაქების ზრდა, შედარებით პაციენტებთან, რომლებიც მკურნალობდნენ ტრადიციული მედიკამენტებით. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ III ჯგუფში ათეროსკლეროზის გაუარესება შეიძლება დაკავშირებული იყოს სხვა ტრადიციული ათეროსკლეროზული რისკ-ფაქტორების შესაძლო გავლენასთან, რომლებიც არ იქნა გათვალისწინებული ჩვენს კვლევაში.

რევმატიოდულ ართრიტიან პაციენტებში ინფლაქსიმაბით მკურნალობა იწვევს პულსური ტალღის უფრო მნიშვნელოვან შემცირებას, ვიდრე მარტო სტანდარტული მკურნალობა. ეს შესაძლოა აიხსნას სიმსივნის ნეკროზის ფაქტორი- α ბლოკატორების მიერ ადრეული, ეფექტური ანთების დათრგუნვით, რაც თავიდან აგვაცილებს ათეროსკლეროზის პროგრესირებას სისხლძარღვთა ფუნქციის გაუმჯობესებით.

დასკვნა:

1. რევმატიოდული ართრიტით დაავადებულ პაციენტებში მკურნალობის მიზნით B-ლიმფოციტების CD20-ის ქიმერული მონოკლონური ანტისხეულებით თერაპია მნიშვნელოვნად თრგუნავს სისტემურ ანთებას, აუმჯობესებს ლიპიდურ პროფილს და ათეროგენუროზის ინდექსს, ამცირებს კაროტიდულ IMT-ს და აუმჯობესებს არტერიული კედლის ელასტიურ თვისებებს, რითაც ამცირებს კარდიო-ვასკულარული დაავადებების რისკს.
2. რევმატიოდული ართრიტით დაავადებულ პაციენტებში მკურნალობის მიზნით TNF- α ანტაგონისტების გამოყენებას შეუძლია შეამციროს ყველა გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკი. მათი გამოყენება აუმჯობესებს ენდოთელურ ფუნქციას. აღნიშნული დამოუკიდებელია ლიპიდურ პროფილზე ამ ბიოლოგიური აგენტების ზემოქმედებისგან. მიუხედავად იმისა, რომ დისლიპიდემია ასევე მჭიდროდ არის დაკავშირებული ენდოთელური დისფუნქციის და ათეროსკლეროზის განვითარებასთან.

Influence of Biological Drug Treatment on Cardiovascular Risk Factors in Patients with Rheumatoid Arthritis

N. Tavberidze, N. Sharashidze, S. Shalamberidze, I. Jashi, T. bochorishvili, L. Toradze

I. Javaxishvili Tbilisi state University

G. Abramishvili Military Hospital of the Ministry of Defence of Georgia

Rheumatoid arthritis can be considered a “natural experiment”, between inflammation and cardiovascular diseases, where there are fundamental similarities: where the mechanism of improvement of inflammation and immune genesis of diseases, are similar between Atherosclerosis and cardiovascular diseases.

Objectives: To assess the effects of biological inflammatory treatment (Adalimumab, Infliximab) on the Cardiovascular system in patients with Rheumatoid arthritis.

Patients and Methods: Based on the inclusion and exclusion criteria, we recruited 50 RA patients (women) from 18 years to 60 years. The median age was 53.4, The average duration of the disease was ≥ 5 years, And DAS 28-ESR ≤ 6.2 . Each patient underwent both standard examinations and: ECG, BP, duplex scanning of the carotid arteries, measurement of the anatomical-morphological and mechanical characteristics of the vascular wall, Doppler Echocardiocopia, study of the blood lipid profile and elastic properties of the arterial wall before the beginning of the study and after 30 weeks.

Conclusion:

1. The Therapy of B-lymphocytes with CD-20 chimeric monoclonal antibiotics in RA patients significantly suppresses inflammation, improves the profile of lipids and atherogenic index, reduces carotid IMF, and improves elastic properties of the arterial wall, thus reducing the risk of cardiovascular disease.
2. The use of TNF-alpha antagonists in patients with RA can reduce the risk of every cardiovascular disease. Their use improves the endothelium function. This is independent of the effects of these biological agents on lipid profile. Regardless of the close connection between Dyslipidemia and the development of endothelial dysfunction and atherosclerosis.

ლიტერატურა:

1. Kerola, A.M.; Rollefstad, S.; Semb, A.G. Atherosclerotic cardiovascular disease in rheumatoid arthritis: Impact of inflammation and antirheumatic treatment. *Eur. Cardiol.* 2021, *16*, e18. [Google Scholar] [CrossRef] [PubMed]
2. Virani, S.S.; Alonso, A.; Aparicio, H.J.; Benjamin, E.J.; Bittencourt, M.S.; Callaway, C.W.; Carson, A.P.; Chamberlain, A.M.; Cheng, S.; Delling, F.N.; et al. Heart Disease and Stroke Statistics—2021 Update: A report from the American Heart Association. *Circulation* 2021, *143*, e254–e743. [Google Scholar] [CrossRef] [PubMed]
3. Visseren, F.L.J.; Mach, F.; Smulders, Y.M.; Carballo, D.; Koskinas, K.C.; Back, M.; Benetos, A.; Boavida, J.M.; Capodanno, D.; Crawford, C.; et al. 2021 ESC Guidelines on cardiovascular disease prevention in clinical practice. *Eur. Heart J.* 2021, *42*, 3227–3337. [Google Scholar] [CrossRef] [PubMed]
4. Gabriel, S.E.; Matteson, E.L.; Davis, J.M., 3rd; Therneau, T.M.; Crowson, C.S. Decreased cardiovascular mortality in patients with incident rheumatoid arthritis (RA) in recent years: Dawn of a new era in cardiovascular disease in RA? *J. Rheumatol.* 2017, *44*, 732–739. [Google Scholar] [CrossRef]
5. Jagpal, A.; Navarro-Millan, I. Cardiovascular co-morbidity in patients with rheumatoid arthritis: A narrative review of risk factors, cardiovascular risk assessment and treatment. *BMC Rheumatol.* 2018, *2*, 10. [Google Scholar] [CrossRef] [PubMed] [Green Version]
6. Hadwen, B.; Stranges, S.; Barra, L. Risk factors for hypertension in rheumatoid arthritis patients: A systematic review. *Autoimmune Dis.* 2021, *20*, 102786. [Google Scholar] [CrossRef] [PubMed]
7. Charles-Schoeman, C.; Lee, Y.Y.; Grijalva, V.; Amjadi, S.; FitzGerald, J.; Ranganath, V.K.; Taylor, M.; McMahon, M.; Paulus, H.E.; Reddy, S.T. Cholesterol efflux by high density lipoproteins is impaired in patients with active rheumatoid arthritis. *Ann. Rheum. Dis.* 2012, *71*, 1157–1162. [Google Scholar] [CrossRef] [Green Version]
8. Baker, J.F.; Billing, E.; Michaud, K.; Ibrahim, S.; Caplan, L.; Cannon, G.W.; Stokes, A.; Majithia, V.; Mikuls, T.R. Weight loss, the obesity paradox, and the risk of death in rheumatoid arthritis. *Arthritis Rheumatol.* 2015, *67*, 1711–1717. [Google Scholar] [CrossRef] [PubMed] [Green Version]
9. Smolen, J.S.; Landewe, R.B.M.; Bijlsma, J.W.; Burmester, G.R.; Dougados, M.; Kerschbaumer, A.; McInnes, I.B.; Sepriano, A.; van Vollenhoven, R.F.; de Wit, M.; et al. EULAR recommendations for the management of rheumatoid arthritis with synthetic and biological disease-modifying antirheumatic drugs: 2019 update. *Ann. Rheum. Dis.* 2020, *79*, 685–699. [Google Scholar] [CrossRef] [Green Version]
10. Jang, D.; Lee, A.H.; Shin, H.Y.; Song, Y.R.; Park, J.H.; Kang, T.B.; Lee, S.R.; Yang, S.H. The role of tumor necrosis factor alpha (TNF- α) in autoimmune disease and current TNF- α inhibitors in therapeutics. *Int. J. Mol. Sci.* 2021, *22*, 2791. [Google Scholar] [CrossRef]
11. Roubille, C.; Richer, V.; Starnino, T.; McCourt, C.; McFarlane, A.; Fleming, P.; Siu, S.; Kraft, J.; Lynde, C.; Pope, J.; et al. The effects of tumor necrosis factor inhibitors, methotrexate, non-steroidal anti-inflammatory drugs and corticosteroids on cardiovascular events in rheumatoid arthritis, psoriasis and psoriatic arthritis: A systematic review and meta-analysis. *Ann. Rheum. Dis.* 2015, *74*, 480–489. [Google Scholar] [CrossRef]
12. Ljung, L.; Rantapaa-Dahlqvist, S.; Jacobsson, L.T.H.; Askling, J. Response to biological treatment and subsequent risk of coronary events in rheumatoid arthritis. *Ann. Rheum. Dis.* 2016, *75*, 2087–2094. [Google Scholar] [CrossRef]
13. Spinelli, F.R.; Metere, A.; Barbati, C.; Pierdominici, M.; Iannuccelli, C.; Lucchino, B.; Ciciarello, F.; Agati, L.; Valesini, G.; Di Franco, M. Effect of therapeutic inhibition of TNF on circulating endothelial progenitor cells in patients with rheumatoid arthritis. *Mediat. Inflamm.* 2013, *2013*, 537539. [Google Scholar] [CrossRef] [Green Version]
14. Angel, K.; Provan, S.A.; Fagerhol, M.K.; Mowinckel, P.; Kvien, T.; Atar, D. Effect of 1-year anti-TNF- α therapy on aortic stiffness, carotid atherosclerosis, and calprotectin in inflammatory arthropathies: A controlled study. *Am. J. Hypertens.* 2012, *25*, 644–650. [Google Scholar] [CrossRef] [Green Version]
15. Tsiantoulas, D.; Sage, A.P.; Mallat, Z.; Binder, C.J. Targeting B cells in atherosclerosis: Closing the gap from bench to bedside. *Arterioscler. Thromb. Vasc. Biol.* 2015, *35*, 296–302. [Google Scholar] [CrossRef] [Green Version]
16. Benucci, M.; Saviola, G.; Manfredi, M.; Sarzi-Puttini, P.; Atzeni, F. Factors correlated with improvement of endothelial dysfunction during rituximab therapy in patients with rheumatoid arthritis. *Biologics* 2013, *7*, 69–75. [Google Scholar] [CrossRef] [PubMed] [Green Version]
17. Van Vollenhove, R.F.; Emery, P.; Bingham, C.O.; Keystone, E.C.; Fleischmann, R.M.; Furst, D.E.; Tyson, N.; Collinson, N.; Lehane, P.B. Long-term safety of rituximab in rheumatoid arthritis: 9.5 years follow-up of the global clinical trial programme with a focus on adverse events of interest in RA patients. *Ann. Rheum. Dis.* 2013, *72*, 1496–1502. [Google Scholar] [CrossRef] [Green Version]
18. Saito, K.; Hanami, K.; Hirata, S.; Kubo, S.; Nawata, M.; Yamaoka, K.; Nakayamada, S.; Nakano, K.; Tanaka, Y. Comparison of lipid profile including high molecular weight adiponectin (HMW-AN) after treatment with three different biologics in the patients with bio-naïve rheumatoid arthritis. *Ann. Rheum. Dis.* 2014, *72*, 459. [Google Scholar] [CrossRef]
19. Charles-Schoeman, C.; Gugiu, G.B.; Ge, H.; Shahbazian, A.; Lee, Y.Y.; Wang, X.; Furst, D.E.; Ranganath, V.K.; Maldonado, M.; Lee, T.; et al. Remodeling of the HDL proteome with treatment response to abatacept or adalimumab in the AMPLE trial of patients with rheumatoid arthritis. *Arteriosclerosis* 2018, *275*, 107–114. [Google Scholar] [CrossRef]
20. Kang, E.H.; Jin, Y.; Brill, G.; Lewey, J.; Paterno, E.; Desai, R.J.; Kim, S.C. Comparative cardiovascular risk of abatacept tumor necrosis factor inhibitors in patients with rheumatoid arthritis with and without diabetes mellitus: A multidatabase cohort study. *J. Am. Heart Assoc.* 2018, *24*, e001393. [Google Scholar] [CrossRef] [Green Version]
 31. Ljung, L.; Rantapaa-Dahlqvist, S.; Jacobsson, L.T.H.; Askling, J. Response to biological treatment and subsequent risk of coronary events in rheumatoid arthritis. *Ann. Rheum. Dis.* 2016, 75, 2087–2094. [[Google Scholar](#)] [[CrossRef](#)]
 32. Rodriguez-Jimenez, N.A.; Garcia-Gonzalez, C.E.; Ayala-Lopez, K.P.; Trujillo-Hernandez, B.; Aguilar-Chavez, E.A.; Rocha-Munoz, A.D.; Vasquez-Jimenez, J.C.; Olivares-Flores, E.; Salazar-Paramao, M.; Corona-Sanchez, E.G.; et al. Modifications in lipid levels are independent of serum TNF- α in rheumatoid arthritis: Results of an observational 24-weeks cohort study comparing patients receiving etanercept plus methotrexate or methotrexate as monotherapy. *Biomed Res. Int.* 2014, 2014, 510305. [[Google Scholar](#)] [[CrossRef](#)] [[PubMed](#)] [[Green Version](#)]
 33. Spinelli, F.R.; Metere, A.; Barbati, C.; Pierdominici, M.; Iannuccelli, C.; Lucchino, B.; Ciciarello, F.; Agati, L.; Valesini, G.; Di Franco, M. Effect of therapeutic inhibition of TNF on circulating endothelial progenitor cells in patients with rheumatoid arthritis. *Mediat. Inflamm.* 2013, 2013, 537539. [[Google Scholar](#)] [[CrossRef](#)] [[Green Version](#)]
 34. Angel, K.; Provan, S.A.; Fagerhol, M.K.; Mowinckel, P.; Kvien, T.; Atar, D. Effect of 1-year anti-TNF- α therapy on aortic stiffness, carotid atherosclerosis, and calprotectin in inflammatory arthropathies: A controlled study. *Am. J. Hypertens.* 2012, 25, 644–650. [[Google Scholar](#)] [[CrossRef](#)] [[Green Version](#)]
 35. Tam, L.S.; Kitas, G.D.; Gonzalez-Gay, M.A. Can suppression of inflammation by anti-TNF prevent progression of subclinical atherosclerosis in inflammatory arthritis? *Rheumatology* 2014, 53, 1108–1119. [[Google Scholar](#)] [[CrossRef](#)] [[Green Version](#)]
 36. Hoisnard, L.; Vegas, L.P.; Dray-Spira, R.; Weill, A.; Zureik, M.; Sbidian, E. Risk of major adverse cardiovascular and venous thromboembolism events in patients with rheumatoid arthritis exposed to JAK inhibitors versus adalimumab: A nationwide cohort study. *Ann. Rheum. Dis.* 2022, 74. [[Google Scholar](#)] [[CrossRef](#)]
 37. Tsiantoulas, D.; Sage, A.P.; Mallat, Z.; Binder, C.J. Targeting B cells in atherosclerosis: Closing the gap from bench to bedside. *Arterioscler. Thromb. Vasc. Biol.* 2015, 35, 296–302. [[Google Scholar](#)] [[CrossRef](#)] [[Green Version](#)]
 38. Benucci, M.; Saviola, G.; Manfredi, M.; Sarzi-Puttini, P.; Atzeni, F. Factors correlated with improvement of endothelial dysfunction during rituximab therapy in patients with rheumatoid arthritis. *Biologics* 2013, 7, 69–75. [[Google Scholar](#)] [[CrossRef](#)] [[PubMed](#)] [[Green Version](#)]
 39. Van Vollenhove, R.F.; Emery, P.; Bingham, C.O.; Keystone, E.C.; Fleischmann, R.M.; Furst, D.E.; Tyson, N.; Collinson, N.; Lehane, P.B. Long-term safety of rituximab in rheumatoid arthritis: 9.5 years follow-up of the global clinical trial programme with a focus on adverse events of interest in RA patients. *Ann. Rheum. Dis.* 2013, 72, 1496–1502. [[Google Scholar](#)] [[CrossRef](#)] [[Green Version](#)]
 40. Saito, K.; Hanami, K.; Hirata, S.; Kubo, S.; Nawata, M.; Yamaoka, K.; Nakayamada, S.; Nakano, K.; Tanaka, Y. Comparison of lipid profile including high molecular weight adiponectin (HMW-AN) after treatment with three different biologics in the patients with bio-naïve rheumatoid arthritis. *Ann. Rheum. Dis.* 2014, 72, 459. [[Google Scholar](#)] [[CrossRef](#)]
 41. Charles-Schoeman, C.; Gugiu, G.B.; Ge, H.; Shahbazian, A.; Lee, Y.Y.; Wang, X.; Furst, D.E.; Ranganath, V.K.; Maldonado, M.; Lee, T.; et al. Remodeling of the HDL proteome with treatment response to abatacept or adalimumab in the AMPLE trial of patients with rheumatoid arthritis. *Arteriosclerosis* 2018, 275, 107–114. [[Google Scholar](#)] [[CrossRef](#)]
 42. Kang, E.H.; Jin, Y.; Brill, G.; Lewey, J.; Patorno, E.; Desai, R.J.; Kim, S.C. Comparative cardiovascular risk of abatacept tumor necrosis factor inhibitors in patients with rheumatoid arthritis with and without diabetes mellitus: A multidatabase cohort study. *J. Am. Heart Assoc.* 2018, 24, e001393. [[Google Scholar](#)] [[CrossRef](#)] [[Green Version](#)]
 43. Meune, C.; Touze, E.; Trinquart, L.; Allanore, Y. High risk of clinical cardiovascular events in rheumatoid arthritis: Levels of associations of myocardial infarction and stroke through a systematic review and meta-analysis. *Arch. Cardiovasc. Dis.* 2010, 103, 253–261. [[Google Scholar](#)] [[CrossRef](#)] [[Green Version](#)]

პირის ღრუს ნორმალური მიკროფლორა და მისი ცვლილებები პაროდონტის დაავადებათა, გულ-სისხლძარღვთა, სომატური, მწვავე COVID-19 ვირუსულ და სხვა ქრონიკული ინფექციური დაავადებების დროს

მ. როგავა, თ. კაჭკაჭიშვილი**
ჯანმრთელობის ცენტრი*, უნივერსიტეტი გეომედი***

პირის ღრუს ნორმალური მიკროფლორის მნიშვნელობა დიდია ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და მისი სიცოცხლის ხანგრძლივობის საქმეში. ეს დიდი ხანია ცნობილია სამედიცინო სფეროს მუშაკებისათვის. კბილების მოვლას და ნორმალური მიკროფლორის შენარჩუნებასა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანი ხანგრძლივი, ჯანმრთელი და ბედნიერი ცხოვრებისათვის, რაც პირად ცხოვრებაში თითოეული ინდივიდის ღირებულება და მის შინაგან თვითდაჯერებულობაშია აღბეჭდილი. თავად სტომატოლოგიური პრობლემები კი თანამედროვე მედიცინის ერთ ერთ საკვანძო საკითხსა და გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს, როგორც ადამიანებში ისე ძუძუმწოვარ ცხოველებში. მინდა ხაზი გაუსვა საღებო კბილების როლს სპილღოს სიცოცხლის ხანგრძლივობასა და მისი ჯანმრთელობის საკითხთან დაკავშირებით, რადგან სიცოცხლის ხანგრძლივობის მონაცემებით ისინი ყველაზე ახლოს დგანან ადამიანებთან.

პირის ღრუს მიკროფლორა განუყოფელი ნაწილია საჭმლის მომნელებელი სისტემის. იგი უშუალოდ მონაწილეობს საკვების გადამუშავებაში, ვიტამინების სინთეზსა და ნივთიერებათა ცვლაში, იმუნური პასუხის ფორმირებაში და ორგანიზმის საერთო არასპეციფიკურ რეზისტენტობაში. ამავე დროს პირის ღრუს მიკროფლორის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს სიმბიოტური მიკროფლორა, რომელსაც დღეს ჩვენს ყოველდღიურ პრაქტიკაში, სამწუხაროდ ნაკლები ყურადღება ეთმობა; პირის ღრუს მიკროფლორის მდგრადობა ხელსაყრელ პირობებს ქმნის მთელი ორგანიზმის ჯანმრთელობისათვის; საერთოდ პირის ღრუს „სტომატოლოგიური ჯანმრთელობა“, მთელი ორგანიზმის და კერძოდ გულ-სისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობის და მასში მიმდინარე პათოლოგიური პროცესების ამსახველი სარკეა პროფესიონალი ინტერნისტი ექიმებისათვის.

პირის ღრუს მიკრობიოცინოზი ანუ მიკროფლორა იქმნებოდა ამ უკანასკნელთა, როგორც ურთიერთმოქმედებითა და ადაპტაციით ერთმანეთთან, ისე მაკროორგანიზმთან ურთიერთქმედების ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

ზოგადად, სამედიცინო თვალსაზრისით პირის ღრუს ნორმალური მიკროფლორის როლი შეიძლება ასე წარმოდგინდეს: ფლორის ანტაგონისტური ზემოქმედება უცხო, პათოლოგიური ფლორის მიმართ აფერხებს ამ უკანასკნელთა გამრავლების პროცესს, მათში მალალი ბიოლოგიური პოტენციალის არსებობის ე.წ. (Log-ფაზის) გამო, რაც მათ სწრაფ გამრავლებას გულისხმობს შესაბამისი საკვებისა და pH ფონზე. ხოლო სპირტის პროდუქცია, წყალბადის ზეჟანგი, რძისმჟავა, ცხიმოვანი მჟავები და ა.შ. ხელს უშლიან მათ. ნორმალური მიკროფლორის წარმომადგენლები აკეთებენ ლიზოციმის, აცელოფილის, ბაქტერიოცინის სინთეზს, რომლებიც გამოირჩევიან ბაქტერიოციდული აქტივობით უცხო და პათოლოგიური მიკროფლორის მიმართ. ისინი ხელს უწყობენ ლორწოვანი გარსის ფიზიოლოგიურ ანთებით პროცესს, რომელიც ამაღლებს იმუნურ რეაქციებს, აძლიერებს თვით გაწმენდის პროცესს პირის ღრუში; ხელს უწყობს მომარაგებას ამონომჟავებითა და ვიტამინებით, რომლებიც სინთეზირდებიან

სანერწყვე და ლორწოვან ჯირკვლებში. მათი ფუნქციის მოშლა განაპირობებს ძირითად სტომატოლოგიურ დაავადებებს.

ადამიანის პირის ღრუში, მის სხვა ღრუებთან შედარებით, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ჩათვლით არის ყველაზე მეტი სხვადასხვა სახის ბაქტერიები. კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სხვადასხვა მონაკვეთზე, როგორც წესი განსხვავებული მიკრობთა რაოდენობაა. მსხვილი ნაწლავის 1 მლ შიგთავსში მრავალ ავტორთა მონაცემებით საშუალოდ 10¹⁰-10⁶⁰ სხვადასხვა სახის ფლორაა. ეს მონაცემები თითქმის სტაბილურია და წარმოდგენილია პირობითი პათოლოგიური ფლორით, რომელიც მუდამ სიმბიოზურ დამოკიდებულებაშია ადამიანის ორგანიზმთან.

კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სხვადასხვა მონაკვეთი, როგორც წესი განსხვავდება მიკრობთა რაოდენობით. რაც შეეხება ნორმალურ ფლორას, მას ძირითადად ქმნიან ანაერობული ბაქტერიები, როგორცაა გრამდადებითი და ანაერობული სტრეპტოკოკები და ჰეპტოციდები, ლაქტობაცილები და აქტინომიცეტები, გრამდადებითი ბაქტერიები და ვეილანები. აგრეთვე პირის ღრუში უხვად გვხვდება ფაკულტა ანაერობული და აერობული სტრეპტოკოკებისა და დიკტეროციტების სახით. რეზისტენტული ფლორაში გვხვდება შედარებით იშვიათი წარმომადგენლები: (სპიროქეტები, მიკროპლაზმა, ნეისერები. ზოგჯერ ჯანმრთელ ადამიანის პირის ღრუში აღმოჩნდება ბეტაჰემოლიზური სტრეპტოკოკები, კანდიდას ჯგუფის სოკოები). ცნობილია, ისიც რომ ტრანზიტორული მიკროფლორა წარმოადგენს მზარდ 1-4% საერთო მასის ნაწლავურ ფლორას და ფართოდ აისახება პირის ღრუს ლორწოვანზე, ენაზე (თეთრი ნაღების სახით) შეცვლილი pH და ა.შ. [Beckar, M.R. et al (2002); Парфенов А.И., Чижилова М.Д.(2002); Overton DA. (2005); . Bruttin Ann, And Harald Brussow (2005)]. აგრეთვე არაჯანსაღი და არასწორი კვების შედეგად იცვლება ნაწლავური მიკროფლორა, რაც პირდაპირ პროპოციულად ისახება კბილის მაგარი ქსოვილის მინანქარზე [Coruh T. et al 2013; Loesche WJ. 1985; M. G. Domínguez-Bello et al (2010); Ismail AI. (1998); Noack J. et al. (1998)].

მიკრობიოცინეზის დარღვევები – დისბაქტერიოზი ხასიათდება ლატენტური და ოთხი ხარისხის დარღვევებით: ლატენტური ფორმის დროს პირის ღრუს ნორმალური მიკლოფლორის შემადგენლობა რაოდენობრივ ცვლილებებს არ განიცდის. I-II ხარისხის დარღვევების დროს პირის ღრუს ნორმალური მიკლოფლორის დაქვეითება არ შეიმჩნევა, არ არის გამოხატული, თუმცა ადგილი აქვს 2-3 სახის სხვადასხვა პათოლოგიური ფლორის ზრდის პროცესს. III ხარისხის დარღვევების დროს პაციენტს აქვს შესამჩნევი კლინიკური სიმპტომები და შეიმჩნევა პათოლოგიური მონოკულტურის უხვი ზრდა დაავადების გამოხატული კლინიკური სიმპტომატიკით. IV ხარისხის დროს შეინიშნება პათოლოგიურ ბაქტერიათა ასოციაცია დროჟის შემცველ სოკოებთან. პირის ღრუში ფიქსირდება გარკვეული რაოდენობისა (100 დან 160) და სხვადასხვა სახის ბაქტერიები. მრავალ ავტორთა მონაცემებით 1 მლ ნერწყვში განთავსებულია (მერყეობს) 43 მილიონიდან 5,5 მილიარდამდე ბაქტერია; მიკრობული კონცენტრაცია კბილის ფოლაქზე და ღრძილის ღარზე თითქმის 100 ჯერ აღემატება ზემოთ მოყვანილ ბაქტერიათა რაოდენობას ერთ გრამ მასალაზე. პირის ღრუში აღწერილია ოცდაათი მიკრობული სახეობის ნახევარი ეკუთვნის ე.წ. რეზიდენტულ ფლორას. მეორე ნახევარი კი ფაკულტეტურს და ობლიგატურანაერობულ სტრეპტოკოკებს.

პარადონტის ანთებით დაავადებები (მ. ფიცხალავა თანაავტ. ერთად 2002წ) თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. მას არა მარტო სტომატოლოგიურ დაავადებებში, არამედ გულ-სისხლძარღვთა, აგრეთვე სომატურ დაავადებათა გარ-

თულებებსა და მათ განვითარებაში წამყვანი ადგილი უჭირავთ. მათ შორის შაქრიანი დიაბეტისა და ფეხმძიმობის არასასურველ და მძიმედ მიმდინარეობის პროცესების დროსაც. ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ქრონიკული ინფექციური პროცესების დროს პირის ღრუში მიმდინარე პათოლოგიური ცვლილებები და მის მიერ გამოწვეული გართულებები, სადღეისოდ ნაკლებად არის აქცენტირებული და სტომატოლოგიურ პრაქტიკაში შესწავლილი. სამწუხაროდ, ჩვენი აზრით ამ დაავადებათა ზრდის ტენდენცია, საკმაოდ მზარდი ტემპითაა დღეს წარმოდგენილი და ის, როგორც სამეცნიერო ისე პრაქტიკული თვალსაზრისით არანაკლებ პრობლემას შეადგენს მედიცინის ყველა დარგისათვის; მათ შორის სტომატოლოგიურ პრაქტიკაში არა მარტო ამ დაავადებათა გადაძვლები მიზეზთა, არამედ თავად პაციენტის ორგანიზმში მიმდინარე გართულებათა პროფილაქტიკური, სამკურნალო ღონისძიებათა დაგეგმარებისა და პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განსაზღვრის მიზნით. აქვე გვინდა გამოვეყოთ უკვე საკმაოდ ცნობილი პათოლოგიური პროცესები, რადგან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის სიცოცხლის მთელ მანძილზე სიმბიოზურ მიკროფლორას, რაც დიდ გავლენას ახდენს ფიზიოლოგიურ, ბიოქიმიურ, იმუნოლოგიურ პარამეტრთა წარმოჩენისათვის, თავად ორგანიზმში ყბა-კბილთა განვითარებაზე (გენეტიკურ მონაცემებთან ერთად (ხ. პაჭკორია თანავტ. ერთად 2002წ), რაზედაც გავლენას ახდენს კუჭ-ნაწლავის ფლორა. მისი არასრულფასოვნება კი როგორც ცნობილია იწვევს მთელ რიგ დაავადებებს როგორცაა რაქიტი, ანემია, ჰემორაგიული დიათეზი და სხვა დაავადებები, რაც კუჭ-ნაწლავის არასრულფასოვან ფუნქციონირებაზე მიუთითებს.

ენაზე ნადების არსებობა ყველაზე ხშირი სიმტომია და ძირითადად ვლინდება გასტრიტის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვან დაავადებების, გასტროკოლიტის, კუჭის რეზექციის დროს. კუჭ-ნაწლავის დაავადებები განაპირობებენ მიკროელემენტებისა და ცილების არასრულფასოვან შეწოვას, რკინისა და B₁₂ ვიტამინის შეწოვის შეფერხება/დეფიციტს. გლოსიტის დროს კი ენის ძაფისებრი ღვრილების განლევა, ატროფია ხდება, რაც ენის გაშიშვლებას, წყლულების გაჩენასა და მის გაწითლებას იწვევს [J. Dent Educ. (2001); Turnbaugh, P. J. et al (2007)]. ხოლო გენეტიკური ფილიტიები ანუ არა აქტივიზირებული მიკროფლორა [A.W. Walker et al (2011); Ase J. A. et al (2005)] სტრეპტოკოკების 38 სახეობის, თითქმის ნახევარი ეკუთვნის ნორმალურ პირის ღრუს ფლორას, აქედან ტიპურად ითვლება სტრეპტოკოკები: *Str. mutans*, *Str. sanguis* და სხვა. მათ გარკვეულ სახეობას აქვს თავისი ნიშა: *Str. sanguis* ენის ღვრილებში, *Str. mitis* ლოყის ეპითელზე, *Str. sfingus* და *Str. mitium* კბილების ზედაპირზე.

კარიესის გავრცელება ევროპის წამყვან ქვეყნებში როგორცაა ინგლისი, შვედეთი და ფინეთი და სხვა 1-32%-მერყეობს, ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში იგი 56%-ს აღწევს, ჩვენში კი სამწუხაროდ ამ მიმართულებით დამუშავებული და მიღებული სტატისტიკა არ გავაჩნია. ამ პათოლოგიის მაპროვოცირებელი ფაქტორები კი მთელ მსოფლიოში კვლავ პრობლემური რჩება [Chanishvili N.A.(2009); Becker M. R. et al (2002); Hawrelak JA, Myers SP (2004); Milnes AR. (1996); Oral Health surveys basic methods. (2013); Ratnaik, R.N. Acute and chronic arsenic toxicity.2003; Sheiham A. (2006); Song M. I. et al (2011);Himan Saini et al (2011)]. ამ თვალთახედვით ბავშვთა კონტიგენტში ამერიკის შეერთებული შტატების სტატისტიკური მონაცემებით პირველ ადგილზეა შაქრის მოხმარება და პირის ღრუს არასრული ჰიგიენა! გასტრო-რეფლუქსური დაავადებებისა და ქრონიკული პარადონტის განმაპირობებელი რისკ-

ფაქტორებს პირველ რიგში სანერწყვე ჯირკვლების ჰიპო ან ჰიპერ ფუნქცია წარმოადგენს [Himani Saini et al(2011); Inglehart MR. at. al. (2002); Al- Hoseani, E. Rugg, Gunn A. C. (1998)].

შაქრიანი დიაბეტის დროს კი პირის ღრუში პრობლემას წარმოადგენს კბილების კარიესი, პირის ღრუს კანდილოზი და გლოსიტი, პარადონტიის დაავადებები (ზოგიერთ პაციენტს შესაძლებელია აღენიშნებოდეს აცეტონის სუნი და სეროსტოპმია).

სადღეისოდ ცნობილია რომ პირის ღრუში მიმდინარე ანთების საწინააღმდეგო მკურნალობა დადებით შედეგს იძლევა კარდიოვასკულარულ, ფილტვის, სისტემურ, მათ შორის რევმატიულ დაავადებათა მიმდინარეობაზე. ცნობილია ისიც, რომ პარადონტიის დაავადებები საგრძნობლად წინ უსწრებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების კლინიკურ გამოვლინებებს [Song M et al 2013; Pavita Saini et al 2011; Collins, M. D. et al 1994; Munson, M.A. et all 2004]. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთებითი პროცესები ძალზე იშვიათად ჩნდება, ვიდრე ის თეორიულად შესაძლებელია წარმოვიდგინოთ. ეს კი იმითაა განპირობებული, რომ მისი ქსოვილი ძალზე მდიდარია სისხლძარღვოვანი ქსოვილით, ინერვაციით, რომლებიც აჩქარებენ რეგენერაციულ პროცესებს და აძლიერებენ მის მგრძობელობას გარეგან ფაქტორებზე, როგორც ქიმიურ ისე ფიზიკურ და მას ზემოქმედი მექანიზმები ხელს უშლიან ანთებითი პროცესების განვითარებასა და მის განვრცობას.

პირის ღრუს ადგილობრივი იმუნიტეტი ეყრდნობა კოლონიზატორულ რეზისტენტობას, რაც არის რთული კომპლექსური დამცველი და ხელს უწყობს მექანიზმებს, რომელიც წარმოდგენილია, როგორც ლოკალური, თავის საზღვრებში შემოფარგლური აუტოიმუნური სისტემა საკუთარი ფუნქციით. ამ ფუნქციის გამშვები მექანიზმები წარმოდგება შემდეგი დიდი ფაქტორებით: პირის ღრუს გარსის თავისებური შენებით, ნორმალური მიკრობების არსებობით (კოლონიარული რეზისტენტობით), ლიმფოციტებით, მიკროელემენტებით, ბუკოლური ეპითელის დესკვამაციით; რაც შეეხება სპეციფიკურ დაცვის ფაქტორებს იგი წარმოდგენილია SIgA, რომელიც ფიქსირებულია ლორწოვანზე; არასპეციფიკური დაცვის ფაქტორებს კი განეკუთვნებიან: ლიზოციმი, ლაქტოფერინი, პერიოქსიდაზა, beta-lizini, tetrape-ptidi, sialoni, mJave glikoproteini; cilebi, romlebic mdidaria proliniTa da histidiniT; nukleazebi, mucini, interferoni. specifikuri dacvis faqtori SIgA-Ti.

კბილების კარიესზე მრავალი, თითქმის ოთხასამდე თეორია არის შემოთავაზებული და წარმოდგენილი სხვადასხვა ავტორების მხრიდან, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ ქიმიურ-პარაზიტულ, ქიმიო-ფიზიკურ, ბიოლოგიურ, ტროფონეროგენურ და მრავალ სხვა ფაქტორებზე. ზოგიერთი ავტორი არ ითვალისწინებს კბილებზე გაჩენილ ნადებებს, კბილის ფოლაქებისა და პირის ღრუს ჰიგიენას. დღეს-დღეობით მიღებულია და კბილის კარიესის მიზეზად ითვლება რთული და თავისებური ინფექციური დაავადებები ეტიოლოგიური და პათოლოგიური თვალსაზრისით, რაც შემდეგში მდგომარეობს: პირის ღრუს მიკროფლორა, საკვების მიღების თავისებურება და თავად კვების რეჟიმი, ფტორის შემცველობა სასმელ წყალში, ნერწყვის გამოყოფის რაოდენობა და მისი ხარისხი (შემცველობა), ორგანიზმის ზოგადი მდგომარეობა, ექსტრემალური ზემოქმედება ორგანიზმზე და სხვა.

კარიესის გამომწვევი ფაქტორები შეიძლება იყოს ადგილობრივი და ზოგადი სახის. ზოგადი ფაქტორები: არასრულფასოვანი კვება (დიეტა) და ცუდი ხარისხის წყალი, სომატური დაავადებები, ორგანიზმისა და ორგანოების ფუნქციური გადახრები ორგანოთა განვითარებისა და კბილების ქსოვილების ზრდა-განვითარება, ორგანიზმზე ექსტრემალური ზემოქმედება,

მემკვიდრეობა. რაც სტრუქტურების არასრულფასოვნებას და მათი სტრუქტურისა და ქიმიურ შემადგენლობას განსაზღვრავს. ნახშირწყლების მიღება იწვევს მჟავე არის წარმოქმნას: თეთრი შაქრის მიღებას მივყავართ რძის მჟავის გაზრდამდე 10-16 ჯერ, რაც იწვევს pH-ის დაქვეითებას; ნერწყვის pH 6,2-ზე დაბალია, ის გაჯერებულია მაღალი შემცველობის ჰიდროქრიაპტიდით და ხდება არაგაჯერებული, შესაბამისად ის მინერალიზებულიდან ხდება დემინერალიზებული (რომელიც შლის კბილების მყარ ქსოვილებს); ხოლო მისი pH 4-5-ზე ქვევითაა, მაშინ იქმნება რეალური ნიადაგი კარიესის წარმოქმნისათვის, თუ ეს მდგომარეობა დიდხანს რჩება.

პირის ღრუში არსებული ჯირკვლები დღე-ღამეში გამოიმუშავენ 0,5 ლიტრიდან 20 ლიტრამდე ნერწყვს, რომლის შემადგენლობა 94% წყალია 6% კი მშრალი ნაშთია, რომლის შემადგენლობაში შედის ქლორიდების, ფოსფატების და სხვა სახის, Na, K, Ca კათიონები, მიკროელემენტები, არაორგანული 33% და ორგანული 67% ნივთიერება, სხვადასხვა ფერმენტები. ნერწყვის რაოდენობა და შემცველობა დამოკიდებულია ასაკზე, კვებაზე, ნერვიული სისტემის მდგომარეობაზე, წელიწადის დროზე (სეზონზე); რა თქმა უნდა ის მაკროორგანიზმის ჰომეოსტაზის ანარეკლია. ნერწყვს გააჩნია ბაქტერიოსტატიკური, ბაქტერიოციდული თვისებები, რომელიც განვითარებულია მასში არსებული მრავალი ფაქტორებით: ლიზოციმით, ლაქტოფერინით, პეროქსიდაზით და ა.შ. ნერწყვი - თხევადი სეკრეტია, რომელიც პროდუცირდება (გამომუშავდება) ყურთანმდებარე, ენისქვეშა და ყბისქვეშა ჯირკვლებით, აგრეთვე წვრილი ჯირკვლებით, რომლებიც განლაგებულია ლორწოვან გარსზე, ენაზე და ტუჩებზე. ნერწყვის ძირითადი ფაქტორები აფერხებენ პირის ღრუს არასპეციფიკურ რეზისტენტობას.

მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაცია ასახელებს გულის იშემიურ დაავადებას და ინსულტს, როგორც სიკვდილიანობის წამყვან მიზეზს ინდუსტრიულ სამყაროში (12,2% და 9,7% შესაბამისად.) პირის ღრუს დაავადებათა გავლენა ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე სხვადასხვა დაავადებებზე და ზოგადად მის ჯანმრთელობაზე ათწლეულების მანძილზე იქნა გამოკვლეული მრავალი ეპიდემიური კვლევით. ამ კვლევებით აშკარად იკვეთება მჭიდრო კავშირი, რაც განპირობებულია ორგანიზმში მიმდინარე ერთიან ბიოლოგიურ პროცესთა ინტენსიური ურთიერთ კავშირით; მის რომელიმე ნაწილში მიმდინარე ცვლილებები გავლენას ახდენს ორგანიზმის სხვა რეგიონში მიმდინარე პროცესებზეც. მაგალითად პირის ღრუს დაავადება, როგორცაა პარადონტიდი, გავლენას ახდენს სისტემურ დარღვევებთან, როგორცაა ათეროსკლეროზული გულ-სისხლძარღვთა დაავადება (გსდ) ან მეტაბოლური სინდრომი Riedewald VE, et al (2009). გსდ დაავადება მოიცავს გულის იშემიურ დაავადებას (გიდ), ცერებროვასკულარულ დაავადებას (ცვდ) და პერიფერიულ სისხლძარღვთა დაავადებას (პსდ), საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-9 რევიზიით ICD-9-ს. ეს არის პროგრესირებადი, ქრონიკული მდგომარეობა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მწვავე კორონარული იშემია, კლინიკურად მკერდის ტკივილი, სტენოკარდიული შეტევა, მიოკარდიუმის ინფარქტი ან ინსულტი [Jiménez-Beato G, et al 2005; Lockhart PB, et al 2012]. ცალკე ვირუსული დაავადებები ჩვენი ორგანიზმისათვის ყველაზე დიდ და მძიმე პრობლემას წარმოადგენს, რაც გულ-სისხლძარღვთა დაზიანებითა და მძიმე გამოსავალით ხასიათდება, როგორც ე.წ. სპეციფიკური ენტერო, ჰეპატიო თუ კარდიოტროპული ვირუსების სახით, თუმცა თითოეული მათგანი ერთდროულად აზიანებს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან „მანკიერ წრეის სამიზნე ორგანოებს“მ. როგავა (1997-2006წ.).

მოსახლეობის დაბერება და რისკის ფაქტორის ზრდა ასევე იწვევს ორივე დაავადების გავრცელების ზრდას. პარადონტის დაავადება ასევე ძალიან ხშირია, პრევალენტობით, რომელიც დამოკიდებულია

განხილულ ასაკობრივ ინტერვალზე, მერყეობს 1%-დან 20-29 წლის პაციენტებში, 39%-მდე 65 წელზე უფროსი ასაკის პაციენტებში. ზოგიერთი ავტორი მიუთითებს პარადონტის დროს ანთებითი აქტივობის გაზრდაზე, როგორც ძირითად შუამავალ ელემენტზე, რაც ხელს უწყობს გულ-სისხლძარღვთა დაავადების გამომწვევი ათერომის დაფის განვითარებას Bahekar AA, et al (2007); Beck JD, et al (2005). სხვა დამაკავშირებელი მექანიზმი შეიძლება იყოს ჯვარედინი რეაქტიულობა ანტისხეულებს შორის პარადონტის მიკროორგანიზმების წინააღმდეგ და სითბოს შოკის პროტეინებს შორის, როგორცაა HSP60 ენდოთელარულ უჯრედებში. ეს ცილები დასკავშირებულია ათერომის დაფის (ფოლაქის) წარმოქმნასთან Lockhart PB, et al (2012). მეორე მხრივ, ვარაუდობენ რომ პარადონტალური წარმოშობის ბაქტერიემიას შეიძლება ჰქონდეს პირდაპირი ეფექტი, რადგან ამ მიკროორგანიზმების ლიპოპოლისაქარიდები იწვევენ მაკროფაგების სტიმულაციას და ანთებითი შუამავლების (IL-1 α ; -1 β და TNF- α) გამოყოფას, რომლებიც მნიშვნელოვნ როლს ასრულებენ ათეროგენეზში. ამ პარადონტის ფლორამ ასევე შეიძლება გამოიწვიოს თრომბოციტების აგრეგაცია, რითაც გაზრდის თრომბოემბოლიური ფენომენის რისკს (Lockhart PB, et al (2012). ამ ორ დაავადებასთან დაკავშირებული სხვადასხვა კვლევები იყო ძალიან მრავალფეროვანი და მათ გამოიყენეს სხვადასხვა მეთოდოლოგია; ამიტომ მიღებულ შედეგთა შედარება და მათ შორის ურთიერთობათა დადგენა ზოგჯერ ძალზე რთულია.

სამწუხაროდ პარადონტის მკურნალობაზე ანტიბიოტიკების საშუალებით გამოქვეყნებულ სტატიების მიმოხილვის უმრავლესობაში არ იყო განსაზღვრული კლინიკური ინდექსი (როგორცაა ნადების ინდექსი, ღრძიების სისხლდენა, ჯიბის სიღრმე და მიმაგრების დაკარგვა, ან პირის ღრუს კითხვარების გამოყენება). ჩვენი აზრით ასევე შესასწავლია მიკრობიოლოგიური მარკერები: ანტისხეულების (მარკერები IgG ან IgA) კონცენტრაცია შრატში, რასაც ადასტურებს ავტორთა მონაცემები Lockhart PB, et al 2012; Piñón P, et al (2010). კვლევებმა, რომლებიც ფოკუსირებული იყო რისკის ქვეშ მყოფ პოპულაციაზე, აჩვენა გაზრდილი კაროტიდის მედია-ინტიმის სისქე, როგორც ათეროსკლეროზის მარკერი, დაკავშირებული პარადონტის დაავადებასთან; განსაკუთრებით პაციენტებში, რომლებსაც აქვთ პარადონტალური დაავადება Lockhart PB, et al (2012); Yakob M, et al (2013). პოლიმერაზულ ჯაჭვურ რეაქციაზე (PCR) დაფუძნებული კვლევები, ღრძილქვეშა დაფაში არსებულ *Prevotella gingivalis* და *Prevotella nigrescens* პარადონტის მიკროორგანიზმებზე, დაკავშირებულია საძილე არტერიის მედია-ინტიმის გაზრდილ სისქესთან. რაც გამოითვლება კაროტიდის დუპლექს ულტრაბგერით გამოკვლევის საშუალებით.

სხვა კვლევებმა გამოავლინა მნიშვნელოვანი პირდაპირი კავშირი IgG ანტისხეულებს შორის პარადონტის მიკროორგანიზმების წინააღმდეგ და საძილე მედია-ინტიმის სისქე ≥ 1 მმ-ს Lockhart PB, et al (2012); Yakob M, et al (2011). ასევე დამყარდა კავშირი ანთებასა და ენდოთელიუმის დისფუნქციას შორის, პაციენტებში გულ-სისხლძარღვთა დაავადების გარეშე და პარადონტით ან მის გარეშე; მძიმე პარადონტიდის მქონე პაციენტებში კი დაფიქსირდა ენდოთელიური პასუხის მნიშვნელოვანი შემცირება. თავის მხრივ, პერსპექტიულმა შემდგომმა კვლევებმა გამოხატა კავშირი პარადონტის მკურნალობისა და სისხლძარღვთა ენდოთელიური პასუხის გაუმჯობესებას შორის Higashi Y, et al (2008).

ქრონიკული სისტემური ანთებითი მდგომარეობის არსებობა, ასევე შესწავლილია პარადონტის მქონე პაციენტებში. კვლევებში აღინიშნა, რომ პირებს რომლებსაც აქვთ მომატებული სისხლის ანთებითი შუამავლები, როგორცაა მაღალი მგრძობელობის C-რეაქტიული ცილა (hsCRP), ფიბრინოგენი, და IL-6 Piñón P, Kaski JC. (2010) დაკავშირებულია გულ-სისხლძარღვთა დაავადებებთან.

Paraskevas S, et al (2008) მიერ ჩატარებული კვლევით და სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებული მეტა-ანალიზით ირკვევა, რომ არსებობს ძლიერი მტკიცებულება ჯვარედინი სექციური კვლევებიდან, რომ პლაზმის C-რეაქტიული ცილა იზრდება პარადონტის მქონე პაციენტებში, თუმცა უფრო მცირე ხარისხით. დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების ქოლესტერინისა და მისი დაჟანგვის პროდუქტების (OxLDL) გაზრდილი დონე განიხილება გულ-სისხლძარღვთა დაავადების რისკის მარკერად და ნაჩვენებია, რომ ორივე გაიზარდა პარადონტის მქონე პაციენტებში (>2.1 მგ/ლ) და ეს დონე უფრო მეტიც, შეიძლება შემცირდეს პარადონტის მკურნალობისას. სხვა ანთებითი მარკერები ასევე გაიზარდა ამ ტიპის პაციენტებში, თუმცა უფრო მცირე ხარისხით. დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების ქოლესტერინისა და მისი დაჟანგვის პროდუქტების (OxLDL), როგორც ზემოთ ავლინებთ ნაჩვენებია როგორც გულ-სისხლძარღვთა მარკერი და რომ, ორივე შემთხვევაში გაიზარდა პარადონტის მქონე პაციენტების კრევიკულარულ სითხეში Suzuki K, et al (2010). სხვა კვლევებმა, რომლებიც ეხება დაავადების ორ მდგომარეობას, შეაფასა პარადონტის მიკრობიოლოგიური პარამეტრების მანაწილეობა ათეროსკლეროზში პირის ღრუს პათოგენების (*Actinobacillus actinomyces* *comitans* [Aggregatibacter], *Porphyromona gingivalis*, *Streptococcus mutans*) გამოყოფასა და იდენტიფიკაციაზე Lockhart PB, et al (2012); Padilla C, et al (2006) ათერომაში. თუმცა ყველა კვლევამ ვერ შეძლო ამ პათოგენების იზოლირება ათერომატულ ფოლაქებში; მიუხედავად ამისა PCR ტექნიკამ გამოავლინა ბაქტერიული დნმ-ის არსებობა Lockhart PB, et al (2012), თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლებელი იყო ამის დადასტურება, რომ ეს დნმ სპეციფიკურია პარადინტიდის ბაქტერიებისთვის.

პარადონტის დაავადებასა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებას შორის ურთიერთობის შემდგომი მხარდაჭერის მიზნით Machuca et al (2012) ჩატარა 10-წლიანი ლონგიტუდინალური (გახანგრძლივებული) პერსპექტიული კვლევა, რომელშიც კორონარული დაავადების მქონე პაციენტებს აღმოაჩნდათ უფრო ცუდი პარადონტის მდგომარეობა, ვიდრე პაციენტებს კორონარული დაავადების გარეშე და უფრო მეტიც, ნაკლებად დადებითად რეაგირებდნენ პაროდონტალურ მკურნალობაზე.

როდესაც განიხილეს სისტემური ანთებითი მარკერები W. Kamil et al (2011) დაადგინეს, რომ პარადონტის (არაქირურგიული მკურნალობის მიმოხილვა), კორონარული დაავადების ან გულ-სისხლძარღვთა რისკ-ფაქტორებიან პაციენტებში მნიშვნელოვნად მცირდება შრატში C-რეაქტიული ცილის კონცენტრაცია და ათერომატოზური ლიპიდების კონცენტრაცია (LP-pu, LA2, Li, ოქსიდირებული) დისლიპიდემიის მქონე პაციენტებში. ეს გაუმჯობესებები იცვლება დროთა განმავლობაში და, როგორც წესი, შეინიშნება მკურნალობის 6 თვის შემდეგ – თუმცა საწყის დონეზე დაბრუნება შეინიშნება სხვადასხვა ავტორთა მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, მკურნალობიდან ერთი წლის გავლის შემდეგ (Lockhart PB, et al 2012). ავტორების Paraskevas S, et al (2008) მიერ ჩატარებული სისტემური მიმოხილვისა და მეტაანალიზის მიხედვით, C-რეაქტიული ცილის კონცენტრაციის ცვლილებები პარადონტალური მკურნალობის

შემდეგ, იძლევიან დასკვნას, რომ ამ ანთებითი მარკერის დონე ოდნავ მცირდება მკურნალობის შემდეგ, საშუალოდ დაფიქსირებული შემცირებით (0,50 მგ/ლ; 95% CI:0,08-0,9. P = 0,02).

კვლევების დიდი რაოდენობისა და ხშირად ურთიერთ გამომრიცხავი შედეგების გამო ტარდება მეტაანალიზი, რათა დადგენილ იქნას მეცნიერული მტკიცებულება პარადონტიისა და კორონარულ დაავადებებს შორის კავშირი. 2007 წელს გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი პარადონტიის დაავადებასა და კორონარულ დაავადებას შორის, როგორც სიხშირის, ისე გავრცელების თვალსაზრისით. თუმცა ავტორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ კავშირი ორ მდგომარეობას შორის იყო ზომიერი (შანსების კოეფიციენტი $OR < 2$). კონკრეტულად, კორონარული დაავადების რისკი 1,24 ჯერ მეტი იყო უკბილო ადამიანებში (<10 კბილით) და დაფიქსირდა საპირისპირო კორელაცია კბილების რაოდენობასა და კორონარულ დაავადების რისკს შორის. ნებისმიერ შემთხვევაში; ავტორებმა ასევე აღნიშნეს, რომ ნაწილობრივ უკბილო მოსახლეობას აქვს უფრო ცუდი პირის ღრუს ჰიგიენა, დიეტაში ნახშირწყლების მაღალი მიღება და მწვევლთა მნიშვნელოვანი რაოდენობის პირებში Bahekar AA, et al (2007); Humphrey LL, et al. (2008) წელს მიერ ჩატარებულმა პარადონტიის მეტაანალიზმა (გინგივიტის, ძვლის და კბილების დაკარგვის ჩათვლით, როგორც ანალიზმა აჩვენა, ზოგად პოპულაციაში (იგი არ შემოიფარგება მხოლოდ გულ-სისხლძარღვთა დაავადების მქონე პაციენტებში) და დაასკვნა, რომ პარადონტიის დაავადება, როგორც ჩანს, დამოუკიდებელი, მაგრამ სუსტი რისკია, როგორც კორონარული დაავადების ფაქტორი. მყარი სამეცნიერო მტკიცებულება, რომელიც დაფუძნებულია ხანგრძლივ კვლევებზე, სტანდარტიზირებული გაზომვებით და შესაბამისი დაკვირვებით, სხვა რანდომიზირებულ კვლევებზე – მეტაბოლური სინდრომი (მბს), დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციის (დსფ) მიხედვით, არის სიმპტომების კომპლექსური სერია, რომელიც განისაზღვრება მბს-ის ხუთი დამახასიათებელი კომპონენტიდან სამი ან მეტის არსებობით: ჰიპერტენზია, ჰიპერტრიგლიცერიდემია, დაბალი HDL-ქოლესტერინი, სიმსუქნე და გლუკოზა (ან ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტი) Alberti KG, et al [2006]. ბევრმა ეპიდემიოლოგიურმა კვლევამ შეისწავლა კავშირი პირის ღრუს ჯანმრთელობასა და სხვადასხვა სისტემურ მდგომარეობას შორის, როგორცაა მბს [Nibali L, et al 2013; Morita T, et al 2010;]. კვლევები [Kuo LC, et al 2008; Janket SJ, et al 2005] ფოკუსირებული იყო ამ დაავადებათა შესაძლო მექანიზმების იდენტიფიცირებაზე და იმის დადგენაზე, იწვევს თუ არა პირის ღრუს დაავადების მკურნალობა სისტემური დაავადების მარკერების გაუმჯობესებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ სფეროში ბევრი წინააღმდეგობაა, ავტორთა უმეტესობა თანხმდება, რომ დაავადების ორივე მდგომარეობას აქვს საერთო ფიზიოპათოლოგიური მექანიზმი, რომელიც დაკავშირებულია სისტემური ანთების და ინსულინის წინააღმდეგობის არსებობასთან [D'Aiuto F, et al 2010]. კონკრეტულად, არაერთმა კვლევამ აჩვენა, რომ შაქრიანი დიაბეტი არის პარადონტიის რისკის ფაქტორი [Mealey BL, et al 2006; Campus G, et al Salem 2005]. ჰიპერგლიკემია შეიძლება იყოს დიაბეტური გართულების მთავარი მიზეზი გლიკოლიზაციის გამო პროტეინების და ლიპიდების არაფერმენტული გლიკოლიზაციის გამო. დიაბეტსა და პარადონტიის დაავადებას შორის ფიზიოპათოლოგიური კავშირი აიხსნება ორივე დაავადებას დარღვევის უნართ, გამოიწვიონ ანთებითი პასუხის ან ბაქტერიების დაგროვების გზით, შესაბამისად, რაც იწვევს ანთებითი შუამავლების წარმოქმნას [Kim], et al 2006].

სხვადასხვა უჯრედები, როგორცაა ენდოთელური უჯრედები ან ფაგოციტები, წარმოადგენენ რეცეპტორებს (RAGE) ზედაპირის დონეზე. ამ კონტექსტში, AGE/RAGE შეკავშირება

მონობირთვულ ან პოლიმორფო-ნუკლეარულ უჯრედებზე (PMN-ს) აინჰიბირებს ქიმიოტაქსის და ამ უჯრედების ფაგოციტურ შესაძლებლობებს, რაც იძლევა გრამუარყოფითი ბაქტერიების გამრავლების შესაძლებლობებს. ამ მექანიზმის შედეგად, მაკროფაგები და PMN-ები აჩვენებენ ჰიპერრეაქტიულობას ბაქტერიული ანტიგენების მიმართ, ციტოკინების გაზრდილი გამონთავისუფლებით, როგორცაა IL-1 β და TNF- α , აგრეთვე ანთებითი შუამავლები – რაც იწვევს პარადონტის განადგურებას. გარდა ამისა, ფიბრობლასტების პოპულაციის ცვლილება გამოიწვევს კოლაგენის გამოშვების ცვლილებებს, რაც თავისთავად გამოიწვევს ჭრილობების შეხორცების პრობლემებს და ხელს შეუწყობს პარადონტის დაავადების განვითარებას. ეს კი, თავის მხრივ გაამწვავებს მიმდინარე პროცესს, კოლაგენაზს და სხვა ფერმენტების აქტივობის გაზრდით შემაერთებელი ქსოვილის დონეზე [Mealey BL, et al (2006); Campus G. et al(2005); Mealey BL, Oates TW (2006); Bascones-Martinez A, et al(2011)]. შაქრიან დიაბეტს, (როგორც დაავადებას) შეუძლია გავლენა მოახდინოს პირის ღრუში მიმდინარე პროცესზე, ხოლო ანთებითმა პროცესმა კი უარყოფითი გავლენა დიაბეტის მეტაბოლურ კონტროლზე ანთებითი შუამავლების გამონთავისუფლების შედეგად, როგორცაა TNF- α , რომელიც მოქმედებს უჯრედულ ინსულინის რეცეპტორზე, რითაც ართულებს ინსულინის მოქმედებას. ამ კონტექსტში, ლიპოპოლისაქარიდებს შეუძლიათ დიაბეტის გამწვავება IL-1 β , TNF- α და PGE2 გაზრდილი წარმოების გზით. თავის მხრივ, ბაქტერიულ ინფექციებს შეუძლიათ შეამცირონ გლუკოზის ათვისება ჩონჩხის კუნთების მხრივ, რითაც ასევე გამოიწვიოს ინსულინის რეზისტენტობა Kuo LC, et al 2008. ფაქტობრივად, წარმოდგენილმა კვლევამ, რომელიც აანალიზებდა პარადონტის დაავადების სიმძიმესა და სისხლში გლუკოზის დონის კონტროლს შორის, დაასკვნა, რომ იმ პაციენტებმა, რომლებსაც აქვთ კბილებიდან სისხლდენის ნაკლები პროცენტი სისხლდენის დროს და ჯიბეები 5 მმ სიღრმეზე მცირე, უკეთესად აკონტროლებდნენ სისხლში გლუკოზის დონეს, ვიდრე იმ პაციენტებს, რომლებსაც უფრო ცუდი აქვთ პარადონტის დაავადებები Lim LP, et al (2007). ზოგიერთი ავტორები, როგორცაა Kiran M, et al. (2005) აღწერს გლიკოზირებული ჰემოგლობინის (HbA1c) დონის სტატისტიკურად მნიშვნელოვან შემცირებას დიაბეტიან პაციენტებში პარადონტის მკურნალობის შემდეგ. თუმცა Janket SJ, et al (2005), 456 შაქრიანი დიაბეტიანი პაციენტების ტიპი 1 და 2 ტიპის მეტაანალიზმმა დააფიქსირა HbA1c-ის 0,38%-იანი შემცირება დიაბეტიან ავადმყოფებში პარადონტის მკურნალობის შემდეგ. ეს შემცირება უფრო დიდია (0,71%) იმ პაციენტებში, რომლებსაც ჰქონდათ შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2, თუმცა ამ კვლევაში არ იყო სტატისტიკურად მნიშვნელოვანი მონაცემები, რომელიც მოიცავს მონაცემების საკმაო რაოდენობას, რაც საშუალებას მოგვცემდა დაგვედასტურებია პარადონტის მკურნალობის ეფექტი დიაბეტის მეტაბოლურ კონტროლში.

ცნობილია, რომ ცხიმოვანი ქსოვილი გამოყოფს მთელ რიგ ჰორმონებს და ციტოკინებს, რომლებიც ხელს უწყობენ სისტემურ ანთებას და ინსულინის რეზისტენტობას – რითაც ვარაუდობენ, რომ არსებობს ფიზიოპათოლოგიური მსგავსება სიმსუქნესა და პარადონტიტს შორის, რამაც თავის მხრივ შეიძლება გამოიწვიოს ტიპი 2 დიაბეტისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარება [Cullinan MP, et al 2009; Marchetti E, et al 2012]. ადეპოციტების ყველაზე მნიშვნელოვანი ციტოკინებია ლეპტინი და ადეპოლექტინი, თუმცა არსებობს მოლეკულებიც, როგორცაა რეზისტინი Pischon N, et al (2007); Marchetti E, et al (2012). ლეპტინი ავლენს დამცავ ეფექტს სიმსუქნის წინააღმდეგ და დაკავშირებულია ძვლის მეტაბოლიზმთან. ვარაუდობენ, რომ ლეპტინის მომატებული დონე მკაცრად არ არის დადგენილი. ადიპონექტინი თავის მხრივ აუმჯობესებს ინსულინის მგრძობელობას და მცირდება სიმსუქნე ადამიანებში. ითვლება, რომ ის მოქმედებს როგორც ანთებითი შუამავალი. რეზისტინი თავის მხრივ ავლენს ძლიერ პროანთებით ეფექტს Pischon N, et al (2007). თუმცა ბევრი

მკვლევარი მიუთითებს TNF- α -ზე, რომელიც უხვად არის გამოხატული მსუქან ინდივიდების ცხიმოვან ქსოვილში, როგორც სიმსუქნესთან და პარადონტიტთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი შუამავალი. მოცირკულირე TNF- α -ს მატება, როგორც ჩანს, ამბაფრებს პაროდონტის ანთებას და ეს შეიძლება იყოს ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მსუქანი პირები უფრო მგრძობიარე არიან პაროდონტის დაავადების მიმართ Nishimura F, et al (2003). ამრიგად TNF- α -ს ზრდა არა მხოლოდ გავლენას ახდენს ინსულინის მგრძობელობაზე მსუქან სუბიექტებში არამედ გავლენას ახდენს პარადონტის ანთებაზე. პარადონტის გამწვავებულმა ანთებამ, თავის მხრივ, შეიძლება კიდევ უფრო გაზარდოს TNF- α -ს კონცენტრაცია მონოციტების სტიმულაციის გზით და მოახდინოს დამატებითი ეფექტი ინსულირეზისტენტობაზე – რაც პირდაპირ გავლენას ახდენს სამიზნე ორგანოებზე, როგორცაა ღვიძლი, კუნთები და ადიპოციტები, ან ირიბად იწვევს ადიპოციტების ლიპოლიზს. თავისუფალი ცხიმოვანი მჟავების გამოყოფა, რომელიც ასევე აფერხებს ინსულინის მოქმედებას Marchetti E, et al. (2012); Nishimura F, et al. (2003). რსებული სამეცნიერო მტკიცებულება ვარაუდობს, რომ სიმსუქნე და განსაკუთრებით შაქრიანი დიაბეტი შეიძლება დაკავშირებული იყოს პარადონტისადმი მგრძობელობის გაზრდასთან. თუმცა, არ არის ნათელი, შეუძლია თუ არა პარადონტალურ მკურნალობას ასეთი პაციენტის სისტემური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ავტორები Eugenia Gianos et al (2021), როგორც მიუთითებენ პარადონტის დაავადება გავრცელებულია მთელ მსოფლიოში, მათ შორის აშშ; სამეცნიერო მტკიცებულებებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პირის ღრუს ცუდი ჯანმრთელობა ასოცირდება ათეროსკლეროზულ გულ-სისხლძარღვთა დაავადებებთან. თუმცა, ეს ურთიერთობა არ ყოფილა ძირითადი აქცენტი კლინიკურ კარდიოლოგიაში. მოცემული ნაშრომი განიხილავს მტკიცებულებებს, რომლებიც აკავშირებს პირის ღრუს დაავადებებს, მათ შორის პარადონტისა და გულ-სისხლძარღვთა პათოფიზიოლოგიურ მექანიზმების თანაარსებობის რისკ ფაქტორებს. თუმცა, სხვა პრევენციის სტრატეგიებმა შეიძლება ხელი შეუწყონ გულ-სისხლძარღვთა დაავადებათა სხვა რისკების გამოვლენას, რამაც შეიძლება მკვეთრად გაზარდოს ადამიანთა დღეგრძელობის წლები.

პირის ღრუსა და ნაწლავებში როგორც ცნობილია 700 მეტი სხვადასხვა დასახელების მიკრობი სახლობს და მათ გარკვეული უბნები უკავიათ, დენტალური დაფა შეიცავს გარკვეულ ბიოფლორას, რომელიც ეგუება გარემო ფლორის ცვლილებებს. თავად გინგივიტი ვითარდება მაშინ, როცა კბილის დაფიდან არსებული ფლორა ვრცელდება მიმდებარე ღრძილებისკენ, რაც იწვევს იმუნურ პასუხს და ანთებას რის შედეგადაც ვითარდება გინგივიტის. გინგივიტი კი შეიძლება გადაიზარდოს კბილის აპიკალურ ფესვების გასწვრივ და შეაღწიოს კბილის დამხმარე სტრუქტურებამდე, შეაღწიოს თავად ძვლამდე; ამ პროცესმა შეიძლება გამოიწვიოს კბილის შემაერთებელი ქსოვილის ბოჭკოების დაშლაც, რაც იწვევს ძვლის რეზორბციას და კბილის დაკარგვას, 30 წლამდე 47% შემთხვევებში გვხვდება, 65 წლოვანების პირებში კი 70%-მდე მერყეობს. ეს უფრო ხშირია მამაკაცებში, ვიდრე ქალებში, შესაბამისად (56,4% და 38,4%) [M. Kilian, et. al. (2016);]; G. Thornton Evans, et al. 2009-2010]. PD-ის ფაქტორები მოიცავს შაქრიან დიაბეტს, პირის ღრუს ცუდ ჰიგიენას, სტრესს, მეძვიდრობითობას, დაკრუნჩხულ კბილებს, იმუნიტეტის დაქვეითებას და იმ ჰორმონთა ცვლილებებს, რომლებიც იცვლება ორსულობის, კონტრაცეპტული აბების მიღების და სხვა მედიკამენტების მოხმარების დროს.

დისბიოზი – არის პირის ღრუს ფლორის დისბალანსი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს პირის ღრუში არსებულ ბაქტერიათა ფლორის დიბალანსი, ბაქტერიემია და ხელი შეუწყოს

ბაქტერიათა სისტემური ანთების გავრცელებას, რასაც მოჰყვება ღრმა ლოკალური და სისტემური ანებითი და იმუნური შუამავლობით გამოწვეული რეაქციები 6 PD-ს რისკ ფაქტორები (Y.A. AlJehani 2014). დისბიოზი, რომელიც განისაზღვრება როგორც პირის ღრუს ფლორის ანთებითი უჯრედები, მათ შორის ნეიტროფილები, მონოციტები და მაკროფაგები, მონაწილეობენ ათეროსკლეროზის, როგორც ადგილობრივ ისე სისტემური განვითარების ყველა ფაზაში Ogaya Y, et al (2015). მსგავსი ანთებითი გზები დაკავშირებულია [P. Libby et. al. (2020) ათეროსკლეროზის განვითარებასა და პროგრესირებასთან. თავად gingivali არის მაკროფაგების და თანდაყოლილი იმუნური რეაქციების ძლიერი აქტივატორები – Lukeš P, et al (2012), რომელიც იწვევს სითბურ ღარტყმას პროტეინში, ტრიგერის მოლეკულაში, რომელიც აკავშირებს PD და ASCV -Marbaix S, et al (2013). პირის ღრუს პათოგენები პირდაპირ კავშირშია თრომბოციტების აგრეგაციასთან და თრომბოემბოლურ მოვლენებთან, რაც მიუთითებს სხვა მექანიზმებზე, რომელთაც შეიძლება გამოიწვიოს ASCVD მოვლენები. ექსპერიმენტულ კვლევებში Streptococcus sanguis, რომელიც ხშირად იზოლირებულია სტომატოლოგიური დაფიდან აქტიურებს მოციკულარე თრომბოციტებს ბაქტერიემიის დროს, აყალიბებს თრომბოემბოლიებს და იწვევს მიოკარდიუმის გარდამავალ იშემიას კორონარული ოკლუზიის გზით – M.C. Herzberg, et al. (1998).

პაციენტებში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ დამოუკიდებლად ასოცირდება სისხლის თრომბოციტების გაზრდასთან – M. Romandini. et al.(2018) და რომ პარადონტის მკურნალობა ხელს უშლის თრომბოციტების დაჩქარებულ აქტივაციას PD-ის მქონე პაციენტებში – M. Laky, et al (2018). თრომბოციტების ამ გაძლიერებული რეაქციის შესახებ მხარს უჭერს ანტითრომბოციტული აგენტების დანიშნულების გაგრძელებას რუტინული სტომატოლოგიური პრაქტიკის დროს. მკვლევარებმა დააფიქსირეს, რომ ინტენსიური პარადონტული მკურნალობა იწვევს ენდოთელიუმის ფუნქციის გაუმჯობესებას (ანუ მხრის არტერიის ნაკადის გაზრდას) – M. S. Tonetti. et al (2007). აღმოჩენილია, რომ პარადონტალური ბაქტერიები, Actinobacillus actinomyce-temcomitans და gingivalis აღწევს ადამიანის სისხლძარღვთა ენდოთელიუმში E.V. Kozarov, et al. (2005) და იწვევს ენდოთელიუმის დისფუნქციას LPS-ის შუამავლობით M. Keschull, et. al. (2010). ასევე შეიძლება წვლილი შეიტანონ რეაქტიული ჟანგბადის სახეობის (ROS) ფორმირებაში სისხლძარღვების კედლებში და პარადონტის მკურნალობა ამით ამცირებს ოქსიდაციური სტრესის ბიომარკერებს J.C. da Silva, et al (2018). PD-ს შეუძლია გაზარდოს პროტოგლიკანების რაოდენობა ინტიმურ უჯრეთგარე მატრიქსში და ხელი შეუწყოს ნარჩენი ლიპოროტეინების ჩაკეტვას ინტიმაში [B.F.Bale, A.L. Doneen, D.J. Vigerust (2017)].

პარადონტის ანთება დაკავშირებულია აგრეთვე ენდოგენური ვაზოდილატატორების (აზოტის ოქსიდი, პროსტაციკლინი) სინთეზის დისბალანსთან და არტერიული კედლის დაჭიმვის ცვლილებებთან [L. N. Nicolosi, et al (2017),]. შეიძლება მიღებულად ჩაითვალოს, რომ SCVD რისკ-ფაქტორები მათ შორის ფიზიოლოგიური და ქცევითი რისკ-ფაქტორები ხშირია ორივე დაავადების დროს და იწვევს ანთებას, როგორც ღრძილის ქსოვილში ისე არტერიის კედლებში. ყოველივე ეს კი იწვევს PD-ს და ასევე ASCV მოვლენებს. PAROKRANK-ის კვლევებში გამოვლინდა დისგლიკემია როგორც დამოუკიდებელი რისკ-ფაქტორი, რომელიც დაკავშირებული იყო მიოკარდიუმის მძიმე ინფარქტთან, ასევე როგორც PD-თან ერთად. ასევე ეს ასოცირდებოდა ინსულინის რეზისტენტობასთან გლუკოზის მიმართ, ხოლო PD-ს აგრესიული მკურნალობა დაკავშირებულია გლიკემიური კონტროლის გაუმჯობესებასთან მეორე ტიპის

დიაბეტის დროს და სისხლძარღვთა ფუნქციის გაუმჯობესობასთან [S. G. Grossi, et al (1997); D'Aiuto F. et al (2010);]. ასევე არსებობს არაპირდაპირი მტკიცებულება, რომელიც გულისხმობს ენდოთელიუმის დისფუნქციას პარადონტიში. მძიმე მიმდინარე პარადონტის დაავადების დროს ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა მხრის არტერიის დინების შუამავლობით შესუსტებული დილატაცია შესაბამის კონტროლთან შედარებით S. Amar, et al (2003). M. S. Tonetti et al (2007),] დააფიქსირა, რომ ინტენსიური პარადონტალური მკურნალობა იწვევს ენდოთელიუმის ფუნქციის გაუმჯობესებას (ანუ მხრის არტერიის ნაკადის გაზრდას).

აღმოჩენილია, რომ პარადონტალური ბაქტერიები, *Actinobacillus actino-myces emcomitans* და *gingivalis* აღწევს ადამიანის სისხლძარღვთა ენდოთელიუმში [E.V. Kozarov, et al. 2005] და იწვევს ენდოთელიუმის დისფუნქციას LPS-შუამავლობით [M. Kechschull, et al (2010). ასევე შეიძლება წვლილი შეიტანოს რეაქტიული ჟანგბადის სახეობების (ROS) ფორმირებაში სისხლძარღვების კედლებში და პარადონტის მკურნალობა ამით ამცირებს ოქსიდაციურ სტრესის ბიომარკერებს [J. C. da Silva, et al (2018)]. პარადონტიტს შეუძლია გაზარდოს პროსტოციკლინების რაოდენობა ინტიმურ უჯრედგარე მატრიქსში და ხელი შეუწყოს ნარჩენი ლიპოპროტეინების ჩაკეტვას ინტიმაში [B. F. Bale et al(2017)]. და ბოლოს, პარადონტის ანთება დაკავშირებულია ენდოგენური ვაზოდილატატორების (მაგალითად აზოტის ოქსიდი, პროსტაციკლინი) სინთეზის დისბალანსთან და არტერიული კედლის დაჭიმვის ცვლილებებთან [L.N. Nicolosi, et al.2017]. დისბიოზი, რომელიც განისაზღვრება, როგორც პირის ღრუს ფლორის ანთებითი უჯრედები, მათ შორის ნეიტროფილები, მონოციტები და მაკროფაგები, მანაწილეობენ ათეროსკლეროზის ყველა ფაზაში [P. Libby 2012]. მსგავსი ანთებითი გზების უჯრედფებროზულ ინტიმასა და პარადონტიუმში, შესაბამისად [P.J. Pussinen, et al. 2004]. მაკროფაგების, T და B უჯრედების აქტივაციისთვის [P. Libby, et al .2020]. ასეთი იმუნური რეაქციები ასევე დაკავშირებულია ათეროსკლეროზის განვითარებასა და პროგრესირებასთან [Huang R, et al. 2015]. *gingivalis* არის მაკროფაგებისა და თნდაყოლილი იმუნური რეაქციების ძლიერი აქტივატორი [L. Stol Lynn et al 2004], რომელიც წარმოქმნის სითბოს დარტყმის პროტეინს, ტრიგერის მოლეკულას, რომელიც აკავშირებს პარადონტიტსა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის ათეროსკლეროზულ დაავადების რისკს [Marbaix S, et al 2013].

პირის ღრუს პათოგენები ასევე პირდაპირ კავშირშია თრომბოციტების აგრეგაციასთან და თრომბოემბოლიურ მოვლენებთან ადამიანის ინ ვიტრო კვლევებში [M.C. Herzberg, - M.W. Weyer 1998], რაც მიუთითებს სხვა მექანიზმზე, რომლითაც შეიძლება გამოიწვიოს ASCVD მოვლენები. *Streptococcus sanguis*, რომელიც ხშირად იზოლირებულია სტომატოლოგიური დაფებიდან, აღინიშნა ცხოველებზე ჩატარებულ კვლევებში, რომ ააქტიურებს მოციკულარე თრომბოციტებს ბაქტერიემიის დროს, აყალიბებს თრომბოემბოლიებს და იწვევს მიოკარდიუმის გარდამავალ იშემიას კორონარული ოკლუზიის გზით [M.C. Herzberg, .W. Weyer 1998]. ადამიანებში ჩატარებულმა შემდგომმა კვლევებმა აჩვენა, რომ დამოუკიდებლად ასოცირდება სისხლის თრომბოციტების გაზრდასთან [Dowsett SA, Kowolik MJ. 2003] და რომ პარადონტის მკურნალობა ხელს უშლის თრომბოციტების დაჩქარებულ აქტივაციას პარადონტიტით დაავადებულ ავადმყოფებში [Namiot DB, et al 2010]. თრომბოციტების ამ გაძლიერებული რეაქციის შესახებ ინფორმირებულობა მხარს უჭერს ანტითრომბოციტული აგენტებით მკურნალობის პრაქტიკას რუტინული სტომატოლოგიური პროცედურის დროს. ძლიერი ასოციაციები პარადონტიტსა და სისხლძარღვთა რისკ-ფაქტორებ შორის, იწვევს საერთო ჰიპოთეზის

განვითარებას. ეს კონცეფცია ამტკიცებს, რომ გულ-სისხლძარღვთა რისკ-ფაქტორები, მათი ფიზიოლოგიური და ქცევითი რისკ-ფაქტორები, ხშირია ორივე დაავადების დროს და იწვევს ანთებას, როგორც ღრძილის ქსოვილში ისე არტერიულ კედელში, რაც თავისთავად იწვევს ცნობილ კლინიკურ მოვლენებს. ეს ურთიერთობები შეიძლება იყოს ორმხრივი, რადგან ამ დაავადებების მდგომარეობებმა შეიძლება ასევე გააუარესოს კონკრეტული რისკის ფაქტორები. როგორც პარადონტთან დაკავშირებული ისე გულ-სისხლძარღვთა სისტემაში. ეს კი აჩენს მნიშვნელოვან კითხვას, შეიძლება თუ არა ამ საერთო რისკის ფაქტორების შერბილების მცდელობამ შეამციროს როგორც პირის ღრუს ისე გულ-სისხლძარღვთა დაავადების რისკი. შაქრიანი დიაბეტის ორმხრივი კავშირის გასარკვევად PAROKRANK-ს კვლევაში, გამოუკვლევნილი დისლიპიდემია დამოუკიდებლად იყო დაკავშირებული როგორც მიოკარდიუმის ინფარქტთან, ასევე იგი ასოცირდებოდა ინსულინის რეზისტენტობასთან, რაც აღრმაგებდა ორივეს რისკს [A. Norhammar et al. 2019]. ერთცენტრიანი, პარალელური ჯგუფის, რანდომიზირებული საკონტროლო კვლევამ აჩვენა, რომ IPD დაკავშირებული იყო HbA_{1c} დონის გაუმჯობესებასთან 12 თვეში, ვიდრე ორალურ მკურნალობის დროს [F. D'Aiuto, N. et al . 2018]. რაც შეეხება სიგარეტის მოწვევას და ელექტრონულ სიგარეტს ორივე ასოცირდება გულ-სისხლძარღვთა სისტემაში პათოლოგიური მოვლენების მნიშვნელოვან ზრდასთან. ორივე ასევე ასოცირდება პარადონტიტთან, პირის ღრუს ძვლის დაკარგვასთან, გინგივიტთან და კბილის დაკარგვასთან [B. W. Chaffee, et al. 2015]. სავარაუდო მექანიზმები ასოცირდება, როგორც ოქსიდაციურ სტრესთან ისე ანთებითი ციტოკინების ზრდასთან [Boylan MR, et al. 2014].

დიდ რეტროსპექტიულ კვლევაში, დღეში 15 ან მეტი სიგარეტის მოწვევა დაკავშირებული იყო ოქსიდაციურ სტრესთან, მამაკაცებში კბილების დაკარგვასთან. ანალოგიურად NHANES-ის კვლევაში ამერიკელი ზრდასრული ადამიანის მონაცემებზე დაყრდნობით, პარადონტის ძლიერი რისკი დაფიქსირდა ახალგაზრდა მწვეველებში არამწვეველებთან შედარებით. 50 წელზე მეტი ასაკის მწვეველებისთვის პარადონტიტის რისკი კიდევ უფრო მაღალი იყო, როგორც ჩანს დენტალური დაფის ბიოფილმზე (და პირის ღრუს მიკროფლორაზე) გავლენას ახდენს მოწვევა [B.W. Chaffee, E.T. Couch, M.I. Ryder 2015; T.Dietrich, et al 2016]. ლიპოპროტეინების მეტაბოლიზმში პროათეროგენურ ცვლილებებთან, რაც აისახება არა ესტეროფიციური ცხიმოვანი მჟავების, ქოლესტერინის და ტრიგლიცერიდის პლაზმური დონის მატებაზე [H.A. Schenkein, et al 2013].

2017 წლის მეტაანალიზმა აჩვენა მნიშვნელოვანი დადებითი კავშირი პარადონტიტსა და დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების ქოლესტერინის (LDL-C) და ტრიგლიცერიდების (TG) სისხლში ამაღლებულ დონეებსა და მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების ქოლესტერინის (HDL-C) დაბალ დონეებს შორის, პოტენციური დამამდიებლების თანხლებით, მათ შორის დიაბეტი და მოწვევა [R. Nepomuceno, et. al. S.C. 2017]. LDL ნაწილაკები პარადონტიტის მქონე პაციენტებში არის უფრო პატარა, მკვრივი და უფრო ათეროგენური [R. Griffiths, et al 2010]., [F. Nishimura, et al 2006]; ხოლო A.Taniguchi, et al (2006) აღნიშნავენ, რომ gingivalis-ს საპასუხოდ გამონთავისუფლებული ადამიანის ანთებითი ციტოკინები ზრდის 3-ჰიდროქსი-3-მეთილ-გლუტარულ კოენზიმ A (HMG-CoA) რეგულატორებს ექსპრესიას, რის გამოც ღვიძლი ზრდის ქოლესტერინის სინთეზს და ძალიან დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების (VLDL) მოციკულარე დონეებს სისხლში. ობსერვაციულ კვლევებში სტატინებით მკურნალობა დაკავშირებულია პარადონტიტის სისხშირის შემცირებასთან [F. Nishimura, et al 2006]. ეს დასკვნები შეიძ-

ლება ეხებოდეს სტატინების ანთების საწინააღმდეგო პლეოტროპულ ეფექტებს; ჯანმრთელობის დაცვის უკეთესი ხელმისაწვდომობის გამო დაბნევის პოტენციალი არ არის გამორიცხული მიუთითებენ [F. Muniz, et al. 2018]. თუმცა ასევე უნდა აღენიშნოს, რომ პარადონტალურ მკურნალობას არ აქვს გავლენა ლიპიდურ პარამეტრებზე აღნიშნავენ ავტორები [W. Kamil, et al. 2011].

206. Irene Soffritti, Maria D’Accolti, Chiara Fabbri, Angela Passaro, Roberto Manfredini, Giovanni Zuliani, Marco Libanore, Maurizio Franchi, Carlo Contini, Elisabetta Caselli – 2021 - Oral Microbiome Dysbiosis Is Associated With Symptoms Severity and Local Immune/Inflammatory Response in COVID-19 Patients: A Cross-Sectional Study - <https://www.frontiersin.org/>

გულ-სისხლძარღვთა სისტემის თავისებურებები
ჭარბი წონის მქონე ავადმყოფებში

ნ. ცინცაძე ნ.კობალაძე

ბათუმის რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ცნობილია, რომ ასაკის მატება ასოცირებულია ისეთი დაავადებების აღმოცენებასთან როგორცაა სიმსუქნე, ჰიპერტენზია, დისლიპიდემია, შაქრიანი დიაბეტი (48, 49), რაც თავის მხრივ ზრდის კარდიო-ვასკულარული დაავადებების რისკს (50, 51, 52). ჭარბწონიანობა რომ ფართოდაა გავრცელებული შრომისუნარიან პოპულაციაში, ამაზე მსოფლიოში ჩატარებული მრავალრიცხოვანი კვლევები მეტყველებს. სიმსუქნე აზიანებს თითქმის ყველა ორგანოს და სისტემას, მაგრამ ყველაზე ადრე პათოლოგიურ პროცესში ერთვება კარდიოვასკულარული სისტემა. ამავე დროს ეს ავადმყოფები იღუპებიან სწორედ გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით (53, 64). სიმსუქნე შესაძლებელია იყოს არსებითი ფაქტორი სიკვდილიანობის.

დამტკიცებულია, რომ როგორც ზოგადი, ისე აბდომინალური სიმსუქნე უკავშირდება ნაადრევი სიკვდილიანობის რისკს (59, 60, 61), თუმცა დაავადების გარკვეულ სტა-დიაში, სხეულის მასის შემცირების პირობებში შესაძლებელია პრაქტიკულად ბევრი ცვლილებების სრული რეგრესის მიღწევა (4, 27, 53).

WHO მიხედვით სიმსუქნე განიმარტება, როგორც ჭარბი ცხიმის დაგროვება, რომელიც ჯანმრთელობისთვის საფრთხეს წარმოადგენს, და აღწერს მას, როგორც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრობლემას, რომელმაც ეპიდემიის მასშტაბებს მიაღწია (53, 54).

ითვლება, რომ ჭარბი წონა მოზრდილებში აღინიშნება მაშინ, როცა სხეულის მასის ინდექსი 25-დან 29 კგ/მ², ხოლო სიმსუქნე, როცა ინდექსი 30 კგ/მ². თუ სხეულის მასა ნორმალურ წონას 2-ჯერ და მეტად აღემატება, ლაპარაკია მორბიდულ სიმსუქნეზე (53, 57, 58).

სიმსუქნე თითქმის ყველა ორგანოთა სისტემაზე ახდენს პოტენციურ უარყოფით კლინიკურ ზემოქმედებას, ამავე დროს წარმოადგენს ფსიქოსოციალურ და ეკონომიკურ ტვირთს (54). გარდა ამისა ჭარბი წონის დიაგნოზი და მართვა ხშირად რთულია ან წარუმატებელი, რადგან სიმსუქნეს აქვს მულტიფაქტორული ხასიათი (55, 56).

პათოლოგიური სიმსუქნის დროს გულ-სისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობა სრულფასოვნად არ არის შესწავლილი. ლიტერატურული მონაცემები ზერელე და უერთიერთგამომრიცხავია. ნაწილობრივ ეს უკავშირდება იმას, რომ სიმსუქნის დროს ავადმყოფის გამოკვლევის გარკვეული სიმძნელები აღინიშნება.

ფიზიკალური მონაცემები ნაკლებ ინფორმაციულია, რადგანაც ცხიმის სქელი ფენა გულმკერდზე აძნელებს აუსკულტაციას და პერკუსიას. მოსვენებულ მდგომარეობაში ქოშინი, შეშუპება, ღვიძლის გადიდება, ასციტის აღმოცენება, რომელიც ასევე არც ისე იოლი სადიაგნოსტიკოა სიმსუქნის დროს, მეტყველებს გულის უკმარისობის სურათის ლეგალიზებაზე, რომელიც არ არის იშვიათობა პათოლოგიური სიმსუქნის მქონე ავადმყოფებში (2, 8, 53). პათოლოგიური სიმსუქნის მქონე

ავადმყოფების გულის ანატომიური თავისებურებების აღწერისადმი მიძღვნილია მრავალრიცხოვანი კვლევები (2, 5, 10).

ზოგიერთი ავტორი ამტკიცებს, რომ ხდება ცხიმის რაოდენობის მატება როგორც არა პერიკარდიალურ მიდამოებში, ასევე მარჯვენა პარკუჭის და მწვერვალის, ასევე საკუთრივ კუნთოვან ქსოვილში.

ამრიგად გულის მასა მატულობს სწორედ ცხიმოვანი ქსოვილის ხარჯზე (41). ზოგი ავტორი თვლის, რომ გულის მასის, პარკუჭების კედლების სისქის მატება განპირობებულია კუნთოვანი ბოჭკოების რიცხვის და ზომების გაზრდით და არა ცხიმოვანი ინფილტრაციით (8, 40).

ლიტერატურული მონაცემების განსხვავებულობა ალბათ უკავშირდება იმას, რომ შესწავლილი პაციენტები იმყოფებოდნენ დაავადების სხვადასხვა სტადიაზე. ცნობილია, რომ გარკვეულ ეტაპამდე ჭარბი წონა არის ერთ-დაგვარი მუდმივი ტრენირებადი ფაქტორი, რომელსაც მივყავართ მიოკარდიუმის ჰიპერტროფიამდე, რაც დასტურდება ექსპერიმენტალური მონაცემებით (45, 63).

შემდგომი ეტაპი, რომელიც სხეულის მასის ზრდით, ორგანიზმის დაბერებით (24), თანხმლები დაავადებების მიერთებით ხდება, განაპირობებს იმას, რომ ჰიპერტროფია გადადის დისტროფიაში, ვითარდება მიოკარდიუმის მასიური ცხიმოვანი ინფილტრაცია, რომელიც საფუძველია გულის უკმარისობის და გულ-სისხლძარღვთა სის-ტემის დეკომპენსაციის. მარცხენა პარკუჭის ჰიპერტროფიის და დილატაციის პათოგენეზში სიმსუქნის დროს შეიძლება გამოვყოთ მოვლენათა შემდეგი ჯაჭვი: ჭარბი მასა ზრდის მეტაბოლურ მოთხოვნილებებს და ჟანგბადზე ზოგად მოთხოვნას, შესაბამისად ცირკულაციაში მყოფი სისხლის მოცულობას, წუთმოცულობას, სისხლის მიმოქცევა იზრდება წნევის ციფრებიდან დამოუკიდებლად.

გულისცემის სიხშირე სიმსუქნის დროს არსებითად არ იცვლება. წუთ-მოცულობის გაზრდა ხდება დარტყმითი მოცულობის ხარჯზე. ცირკულაციაში მყოფი სისხლის მოცულობის გაზრდა განაპირობებს პრედდატვირთვის მატებას მარცხენა პარკუჭზე და მასში დიასტოლური წნევის გაზრდას. ამ ფაქტორების ხანგრძლივი მატება მიზეზია მარცხენა პარკუჭის ჰიპერტროფიის და დილატაციის ნორმალური არტერიული წნევის პირობებშიც კი (4, 9, 47).

კარდიომიოცოტების ჰიპერტროფია სიმსუქნის დროს ძალიან სწრაფად გამოდის ფიზიოლოგიური საზღვრებიდან. ამავე დროს ქვეითდება თანაფარდობა ზედაპირი/მოცულობა, ხდება უჯრედის მიერ კალცის მოხმარების შემცირება, იზრდება შეკუმშვის პროცესის ხანგრძლივობა, იზრდება მიოკარდის დიასტოლური სიმაგრე (28) რიგიდობის გაზრდის გამო მატულობს მარცხენა პარკუჭის დისფუნქცია, რის ადრეულ გამოვლინებად ითვლება მაღალი საბოლოო დიასტოლური წნევა (14). ამგვარად მარცხენა პარკუჭის ფუნქციის დაქვეითება შედეგია კუნთოვანი შეკუმშვის დარღვევის, რაც დასტურდება სისხლის განდევნის დროის გახანგრძლივებით პათოლოგიური სიმსუქნის მქონე ავადმყოფებში (12, 14).

არტერიული ჰიპერტენზია, რომელიც ხშირად თან ახლავს სიმსუქნეს, თავის მხრივ ზრდის დატვირთვას მარცხენა პარკუჭზე და იწვევს კიდევ უფრო მეტად მის ჰიპერტროფიას (18, 31). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დილატაციას იწვევს მხოლოდ გადატვირთვა გამოწვეული დიასტოლური წნევით, იმ დროს როცა არტერიული წნევა იწვევს კონცენტრულ ჰიპერტროფიას, შემაერთებელი ქსოვილის ზრდას და კიდევ უფრო მეტად მიოკარდის რიგიდობის მატებას (28, 64). არტერიული წნევის

ანალიზის საფუძველზე მკვლევარები მივიდნენ იმ აზრამდე, რომ არტერიული ჰიპერტენზია დაახლოებით 2/3 შემთხვევაში თან ახლავს სიმსუქნეს (3, 53). თუმცა ბევრი ავტორი ვერ ნახულობს მნიშვნელოვან კორელაციას ჭარბ წონასა და არტერიული წნევის ციფრების მატებას შორის (14, 16, 53). ამავე დროს გამოვლინდა გარკვეული კანონზომიერებები: ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ სიმსუქნის ანდროიდული ტიპი მეტადაა მიდრეკილი გულ-სისხლძრღვთა სისტემის დაავადებების გამვითარებისკენ, მათ შორის ჰიპერტენზიის (22, 23). F. Messerli (30, 32) არტერიული ჰიპერტენზიის პათოგენეზის ახსნისას გამოჰყოფს რამოდენიმე შესაძლო მიზეზს: მაღალი ჰიპერტენზია ან მედიკამენტები, რომელიც წნევის დაწვევისათვის იხმარება, სტიმულირებას ახდენს ენერჯის ჭარბი მოხმარების, რომელიც მიიღება საკვებით: სიმსუქნე და მისი თანმდევი მეტაბოლური დარღვევები შეუღლებული დაბალ ფიზიკურ აქტივობასთან, სტიმულირებას ახდენენ არტერიული წნევის მატების; სიმსუქნე და ჰიპერტენზია განპირობებულია ერთიდაიგივე აქამდე უცნობი ფაქტორით.

ირიბ დამამტკიცებელ ფაქტორად სიმსუქნის და ჰიპერტენზიის კავშირის შესახებ რჩება ის გარემოება, რომ წონის უმნიშვნელო შემცირების შედეგადაც კი არტერიული წნევა მცირდება ან უბრუნდება ნორმალურ მაჩვენებელს (7, 29, 53). ეს ალბათ უკავშირდება სხეულის მასის შემცირების გავლენას ორგანიზმის მოთხოვნილებებზე, რომელიც თავის მხრივ იწვევს ცირკულაციაში მყოფი სისხლის შემცირებას, ასევე წუთმოცულობის და შესაბამისად პრედდატვირთვის მარცხენა პარკუჭზე, რომელიც გარკვეულწილად პასუხისმგებელია არტერიული წნევის მატებაზე.

გლუვი კუნთის მორფოლოგიური თავისებურებების აღწერა წინათ ძირითადად ეყრდნობოდა აუტოფსიის მასალას, თუმცა ულტრაბგერითმა დიაგნოსტიკურმა ტექნიკამ საშუალება მოგვცა ეს ვაწარმოთ სიცოცხლეში. ავტორები (7, 27, 33), რომლებიც ექოკარ-დოპლერულ კვლევას აწარმოებდნენ პათოლოგიური სიმსუქნის მქონე ავად-მყოფებში, აღმოაჩინეს პარკუჭთაშუა ძგიდის და უკანა კედლის გასქელება 56, 80 % შემთხვევაში, მარცხენა პარკუჭის შიდა დიასტოლური ზომების მომატება 39 %, მარჯვენა პარკუჭის 32 %.

მსგავსი ცვლილებები აღინიშნება ჰემოდინამიკური დარღვევების დროს, რომლის შესწავლაში დიდი როლი მიუძღვის ამერიკელ მეცნიერს J. Alexander (1, 3, 6, 63) ტექნიკურად რთული და საფრთხის შემცველი, განსაკუთრებით ამ ტიპის ავადმყოფებში, არაინვაზიური მეთოდის (გულის მარცხენა და მარჯვენა ნაწილების კათეტერიზაცია) გამოყენებით აღმოაჩინა ჰემო-დინამიკური ცვლილებები დამახასიათებელი მსუქანი ავადმყოფებისთვის. ეს ცვლილებებია: ცირკულაციაში მყოფი სისხლის მოცულობის გაზრდა, წუთმოცულობის, რომელიც მიიღწევა დარტყმითი მოცულობის გაზრდის ხარჯზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საერთო პერიფერიული წინააღმდეგობა პათოლოგიური სიმსუქნის მქონე ავადმყოფებში ქვეითდება და ნორმალიზდება მხოლოდ არტერიული წნევის მატების შემთხვევაში (30, 32, 41).

ეს საფუძველს გვაძლევს ეჭვი შევიტანოთ ერთმნიშვნელოვან ჰიპოთეზაში არტერიული წნევის მატების კავშირისა და პერიფერიული წინააღმდეგობის გაზრდის. დარტყმითი მოცულობის მატება მოსვენებულ მდგომარეობაში განაპირობებს ადაპტაციურ-კომპენსატორული შესაძლებლობების დაქვეითებას სიმსუქნის დროს.

ფიზიკური დატვირთვის ტესტზე ასეთი ავადმყოფები პასუხობენ წნევის და გულის სიხშირის არაადექვატური მატებით (4), რაც გამოიხატება ადვილად დაღლაში, შრომისუნარიანობის მკაფიო დაქვეითებაში: სხეულის მასის დაქვეითებისას ბევრმა მკვლევარმა დააფიქსირა ზოგიერთი ჰემოდინამიკური ცვლილების უკუგანვითარება: წნევის დაქვეითება, ცირკულაციაში მყოფი სისხლის მოცულობის, დარტყმითი მოცულობის, წუთმოცულობის, წნევის ფილტვის არტერიაში (4, 5, 7), ასევე გულის ზომების შემცირება (4), გულის მასის, პარკუჭების კედლების სისქის (7, 27).

მხოლოდ საბოლოო დიასტოლური წნევა რჩება უცვლელი, სხეულის მასის დაქვეითებისას შორეულ პერიოდშიც კი, რაც მიუთითებს გულის კუნთში ღრმა ცვლილებებზე, რომელიც გამოწვეულია ჭარბი წონის ხანგრძლივი ზემოქმედებით (4). ყველაზე უფრო ხელმისაწვდომი მეთოდით, კლინიკურ პრაქტიკაში, ელექტრო-კარდიოგრაფიით მაღალი ხარისხის სიმსუქნის მქონე ავადმყოფებში მარცხენა პარკუჭის ჰიპერტროფიის ან ღრუების დილატაციის გამოვლენის ალბათობა შეზღუდულია (16, 19, 33, 44, 12).

ზოგადად, მიღებული განხრით ინფორმაციულობის და სპეციფიციურობის განსაზღვრის მიზნით A. Nath და თან. (33) გამოიკვლიეს პათოლოგიური სიმსუქნის მქონე რამოდენიმე ჯგუფი ჰიპერტენზიის და გამოხატული გულ-სისხლძარღვთა დაავადებების გარეშე. ეს მონაცემები კონტროლდებოდა ექოკარდიოგრაფიით, რომლის სარწმუნოება დასტურდებოდა გამოკვლევების სერიაში, სადაც ერთმანეთს დარდებოდა ექოკარდიოგრაფიული და ანატომიური მონაცემები (38).

მარცხენა პარკუჭის ჰიპერტროფიის ინფორმაციულობა მერყეობდა 0-დან 20%-მდე, სპეციფიურობა 73-დან 100%-მდე, მარჯვენა პარკუჭის ჰიპერტროფიისას 0-დან 16 და 95-დან 100%-მდე. მაღალი სპეციფიურობა უკავშირდებოდა ძალიან დაბალ ინფორმაციულობას ავადმყოფთა თითოეულ ჯგუფში, რაც შესაძლოა აიხსნას გულმკერდის სისქის ანომალიით, რის გამოც იზრდება მანძილი გულსა და ელექტროდებს შორის, მცირდება ვოლტაჟი, რისი ზომის მიხედვითაც ხშირად კეთდება დასკვნა პარკუჭების ჰიპერტროფიის შესახებ (21). ამასთანავე ბიოპოტენციალის გატარება ელექტროდამდე გამწვანებულია ცხიმოვანი ფენის სისქის გამო (37).

მნიშვნელოვანია აგრეთვე ის ფაქტი, რომ ორივე პარკუჭის ჰიპერტროფიის დროს ხდება ერთგვარი ურთიერთ გადაფარვა ბიოპოტენციალის, ელექტროკარდიოგრაფიის შესაძლებლობების დაქვეითება (13). მეტნაკლებად ინფორმაციულად მარცხენა პარკუჭის ჰიპერტროფიის დიაგნოსტიკისთვის ითვლება aVL და V₁ (38), აგრეთვე კრიტერიუმები SL (SV₁ + RV₅V₆) ≥ 35 მმ (43). სიმსუქნის დროს მეტად დამახასიათებლად ეკვ ითვლება (19, 20) ვოლტაჟის დაქვეითება, ელ. ღერძის გადახრა მარცხნივ. ჩნდება არა ღრმა Q_{III} კბილი და სუსტად უარყოფითი T_{III} განხრაში.

ბევრი ავტორის აზრით აღნიშნული ცვლილებები განპირობებულია გულის მდებარეობის ანატომიური თავისებურებებით პათოლოგიური სიმსუქნის მქონე ავადმყოფებში, მიუხედავად ამისა ზოგი ავტორი განსაზღვრულ მნიშვნელობას ანიჭებს ელექტრული ღერძის გადახრას მარცხნივ.

სეროზულ, მაგრამ ნაკლებად შესწავლილ გამოვილენებად ითვლება გულის რიტმის დარღვევა პათოლოგიური სიმსუქნით ავადმყოფებში, რომელსაც შეუძლია ისეთი ფატალური გართულების გამოწვევა, როგორც პარკუჭების ფიბრილაცია და

ასისტოლია. G. Peiser და თან. (34) აღნიშნავენ არითმიების მაღალ სიხშირეს სიმსუქნის დროს. ამ ავტორების მონაცემებით ექსტრასისტოლია ამ კატეგორიის ავადმყოფებში გვხვდება 20% შემთხვევაში. მოციმციმე არითმია სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობაა, რომლის დროსაც წინაგულების ელექტრული აქტივობა შეადგენს 350-700 იმპ/წთ, რაც არ იძლევა შესაძლებლობას შეიკუმშონ კორდინირებულად. სიმსუქნე ზრდის ამ არითმიის რისკს 50%-მდე სხეულის მასის ინდექსის მატების პარალელურად (65).

უეცარი სიკვდილი, სიკვდილის შემდგომი დიაგნოზი აღენიშნებათ პრაქტიკულად ჯანმრთელ პაციენტებს სიმსუქნით 40-ჯერ უფრო მეტად, ვიდრე ნორმალური წონის პირებს (62). ამ ფაქტს უკავშირებენ გულის გაზრდილ მგრძობელობას ელექტრული იმპულსების მიმართ სიმსუქნის დროს, რაც შესაძლებელია იყოს მიზეზი ხშირი პარკუჭოვანი არითმიების.

მნიშვნელოვანი ფაქტია ისიც, რომ სხეულის მასის შემცირების პირობებში (ნებისმიერი მეთოდით დიეტა, ქირურგია) გულის გაჩერების ალბათობა იზრდება 65 100000-ზე რაც 40-ჯერ მეტია, ვიდრე აღნიშნული ნორმალური წონის პირებში. უფრო მაღალია ეს მაჩვენებელი ოპერაციის შემდგომ პერიოდში (17).

ზუსტი მიზეზი უეცარი სიკვდილის გაურკვეველია, ერთადერთი მაჩვენებელი, რომელმაც შესაძლოა გააფრთხილოს ექიმი Q-T ინტერვალის გახანგრძლივება ეკგ-ზე 0,425-მდე და მეტი (17). ცნობილია, რომ QT ინტერვალის გახანგრძლივება კავშირშია გულის წასვლის სიხშირესთან და უეცარ სიკვდილთან არა მხოლოდ სიმსუქნის მქონე პაციენტებში, არამედ პოპულაციში სხეულის ნორმალური მასით (41). აღნიშნული ფაქტის ინტერპრეტაციას ართულებს ის, რომ 55% შემთხვევაში პირებში, რომლებიც იმყოფებიან დიეტაზე ან პოსტოპერაციულ პერიოდში (ოპერაცია დაკავშირებული წონის შემცირებასთან), Q-T ინტერვალი აღემატება 0,425 -მდე და მეტი (26, 35, 36, 39).

Q-T ინტერვალის გახანგრძლივება შესაძლებელია კავშირში იყოს არა მხოლოდ ელექტროლიტურ ან ცილოვან უკმარისობასთან, არამედ ჯერ-ჯერობით უცნობ გამოუვლენ ნივთიერებათა ცვლის თავისებურებებთან მიოკარდში. უეცარი სიკვდილის შემთხვევების სიხშირის მატება პრეოპერაციულ პერიოდში მიოკარდში პათოლოგიური ცვლილებების გარეშე (ჰიპერტროფიის გარდა) მიუთითებს სტრესის წამყვან როლზე. სიმპატიკური ტონუსის მატებით შეიძლება აიხსნას ბევრი ჰემოდინამიკური გადახრები სიმსუქნის მქონე პაციენტებში: წნევის, წუთმოცულობის და დარტყმითი მოცულობის მატება, რიტმის ხშირი დარღვევები, სიმპატიკური ტონუსის დაქვეითება, ასევე კატექოლამინების აღწერილია შიშხილის დროს (15, 25). ალბათ ამით უნდა აიხსნას ადრეული ჰემოდინამიკური მაჩვენებლების გაუმჯობესება, რომელიც გვხვდება 10-20 დღეს დაბალ კალორიულ დიეტაზე ყოფნისას (12).

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად თანამედროვე გამოკვლევის მეთოდებისა, სიმსუქნის მქონე ავადმყოფების კვლევა მანც გარკვეულ სირთულეებს უკავშირდება, მაგრამ ამ დარღვევების ცოდნა აუცილებელია მკურნალობის მეთოდების შერჩევისას, ჩვენებების და უკუჩვენებების შესაფასებლად. ოერაციული მკურნალობისას ამ მონაცემებს ემიჭებათ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა.

ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია ადექვატური პრედოპერაციული მომზადებისას და პოსტოპერაციული პერიოდის სწორად წარმართვისას. ამ თვალთა - ხედვით მეტნაკლებად ინფორმაციულ და უსაფრთხო მეთოდებად გვევლინება ექოკრადიოკარდიოგრაფია, ვარიაციული პულსომეტრია, დატვირთვის ტესტი,

სისხლში გაზების შემცველობის განსაზღვრა, ფილტვების ფუნქციის შესწავლა კომპლექსურად.

მკვლევარების უმრავლესობა აღიარებს სიმსუქნის გავლენას გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარებასა და პროგრესირებაზე. მიუხედავად სიმსუქნის პარადოქსის არსებობისა, რომლის თანახმადაც პირებს ზედმეტი წონით და კარდიო-ვასკულარული დაავადებით აქვთ უფრო კეთილსაიმედო პროგნოზი, ვიდრე გამხდარ პაციენტებს იმავე დიაგნოზით. მრავალრიცხოვანი გამოკვლევები ასაბუთებს, რომ წონის შემცირება ეფექტურია დაავადებების პროფილაქტიკის და მკურნალობისათვის.

Cardiovascular System Disorders
in the patients with obesity

N. Tsintsadze N.Kobaladze
Batumi State University

This article is about cardiovascular changes in the patients with obesity. Weight loss is positive factor for regression heart disease in the similar patients.

ლიტერატურა

1. Alexander J. K. // *Mod. Concepts cardiovasc. Dis.* – 1963. – Vol. 32. – P. 799-803.
2. Alexander J. K. // *Amer. J. Card.* – 1963. – Vol. 14. – P. 860-865.
3. Alexander J.K., Peterson K. L. // *Geriatrics.* – 1967. – Vol. 22. – P. 101-108.
4. Alexander J.K., Peterson K. L. // *Circulation.* – 1973. – Vol. 45. – P. 310-318.
5. Alexander J. K. // *The Heart.* – New York, 1982. - P. 1584-1590.
6. Alexander J. K. // *Prog. cardiovasc. Dis.* – 1985. – Vol. 27. – P. 325-334.
7. Alpert M. A., Terry B. E., Kelly D. L. // *Amer. J. Cardiol.* – 1985. – Vol. 55. – P. 783-786.
8. Adam K. H., Brennan J. K., Alexander J. K. // *Circulation.* – 1965. – Vol. 55. – P. 740-745.
9. Backman L., Freyschuss U., Hallberd D., Melcher A. // *Acta med. scand.* – 1973. – Vol. 193. – P. 437-445.
10. Bedford. E. // *Brit. Heart J.* - 1972. – Vol. 34. – P. 23-28.
11. Björntorp P. // *Ann. intern. Med.* – 1985. – Vol. 106, Suppl. – Pt 2. – P. 994-995.
12. Caviezel F., Margonato A., Slaviero G. et al. // *Int. J. Obesity.* – 1986. – Vol. 10. – P. 421-426.
13. Chou T. *Electrocardiography in Clinical Practice.* – New York, 1977. – P. 66-68.
14. De Devitis O., Fasio S., Pettino M. et al. // *Circulation.* – 1981. - Vol. 64. – P. 477-482.
15. De Haven J., Sherwin R., Hendler R., Felig P. // *New Engl. J. Med.* – 1980. – Vol. 302. – P. 477-482.

16. Devereux R. B., Casale P. N., Eisenberg R. R. et al. // *J. Amer. Coll. Cardiol.* – 1984. – Vol. 3. – P. 82-87.
17. Drenick E. J., Fisler J. S. // *Amer J. Surg.* – 1988. – Vol. 155. – P. 720-726.
18. Dunn. F. G., Chandraratna P. N., De Carvalho J. P. et al. // *Amer J. Cardiol.* – 1977. – Vol. 39, N 9. – P. 789-795.
19. Eisenstein J., Elestein J., Sarna R. et al. // *J. Electrocardiol.* – 1982. – Vol. 15. – P. 115-118.
20. Jaffe H. D., Carday E., Master A.M. // *Amer Heart J.* – 1948. – Vol. 36. – P. 911-914.
21. Killy S. E., Lepeschkin E. // *Circulatin.* – 1965. – Vol. 31. – P. 77-84.
22. Kissebah A. H., Vydellingum N., Murray R. // *J. clin Endocr.* – 1982. – Vol. 54. – P. 254-260.
23. Krotkiewski M., Bjorntorp P., Sjostrom L., Smith U. // *J. clin. Invest.* – 1983. – Vol. 72. – P. 1150-1162.
24. Lakatta E. J., Mitchel J. H., Pomerance A., Rowe G. G. // *J. Amer. Coll. Cardiol.* – 1987. – Vol. 10, Suppl. – P. 42A-50A.
25. Landsberg L., Young J. B. // *New Engl. J. Med.* – 1978. – Vol. 298. – P. 1295-1300.
26. Linnet O. I., Butler D., Caswell K. et al. // *Int. J. Obesity.* – 1983. – Vol. 7. – P. 313-320.
27. Mac Mahon S. W., Wilcken D. E. L., Mac Donald G. I. // *New Engl. J. Med.* – 1986. – Vol. 314. – P. 334-339.
28. Mann D. L., Spann J. F. // *Mod. Concepts cardiovasc. Dis.* – 1988. – Vol. 57. – P. 13-17.
29. Maxwell M. H., Kushiro T., Dornfeld L. P. et al. // *Arch. intern. Med.* – 1984. – Vol. 144. – P. 1581-1584.
30. Messerli F. H. // *Lancet.* – 1982. – Vol. 1. – P. 1165-1168.
31. Messerly F. H., Sundgaard-Riise K., Reisin E. et al. // *Amer J. Cardiol.* – 1982. – Vol. 49. – P. 977-982.
32. Messerli F. H., Sundgaard-Riise K., Reisin E. et al. // *Ann. intern. Med.* – 1983. – Vol. 99. – P. 757-761.
33. Nath A., Alpert M. A., Terry B. E. et al. // *Amer J. Cardiol.* – 1988. – Vol. 62. – P. 126-130.
34. Peiser J., Ovnat A., Uwyyed K. et al. // *Clin. Cardiol.* – 1985. – Vol. 8. – P. 519-521.
35. Pringle T. H., Scobie I. N., Murray R. G. et al. // *Int. J. Obesity.* – 1983. – Vol. 7. – P. 253-

261.

36. Rasmussen L. H., Andersen T. // *Acta med. scand.* – 1985. – Vol. 217. – P. 217-275.
37. Ray C. T., Horan L. G., Flowers N. C. // *J. Electrocardiol.* – 1970. – Vol. 3. – P. 57-64.
38. Reichel N., Devereux R. B. // *Circulation.* – 1982. – Vol. 63. – P. 1391-1398.
39. Reisin E. D., Frohlich E. D., Messerly F. H. et al. // *Ann. intern. Med.* – 1983. – Vol. 98. – P. 315-319.
40. Saphir O., Corrigan H. // *Arch. intern. Med.* – 1933. – Vol. 52. – P. 410-412.
41. Schwartz R. I. // *Ann. intern. Med.* – 1983. – Vol. 99. – P. 561-562.
42. Smith H. L., Willins F. A. // *Arch. intern. Med.* – 1933. – Vol. 52. – P. 910-942.
43. Sokolow M., Lyon T. P. // *Amer. Heart J.* – 1946. – Vol. 37. – P. 161-167.
44. Terry B. E. // *Gastroent. Clin. N. Amer.* – 1987. – Vol. 16. – P. 215-223.
45. Van Liere E. J., Northup D. W. // *J. appl. Physiol.* – 1957. – Vol. 11. – P. 91.
46. White M. H. // *Circulation.* – 1959. – Vol. 19. – P. 511-518.
47. Woodward C. B., Quinones M. A., Alexander J. K. // *Ibid.* – 1978. – Vol. 58. – Suppl. 2. – P. 230-239.
48. Kivimaki M., Standberg T. et al. Body-mass uindex and risk of obesity-related complex multimorbidity: an observational multicohort study. *Lancet diabetes Endocrinol.* 2022 Mar. 3:5 2213-8587(22) 00033-x.
49. Lin D., Richardson G. et al. Inflammageing in the cardiovascular system: mechanisms, emerging targets and novel therapeutic strategies. *Clin. Sci. (Lond.)* 2022 Sep 18; 134(17): 2243-2262.
50. Blochl M., Schaar H. L. et al. Age-Dependent Association Between Vascular Risk Factors and Depressed Mood. *J. Genontol B. Psychol. Sci. Soc. Sci.* 2022 Feb 3, 77(2) 284-294.
51. Haysbert D. B., Lo J.C., et al. Cardiovascular Disease Risk Factors Among Middle Aged and Older Adult Vietnamese. *American Members of a Northern California Health Plan Public Health Rep* 2022 Feb 20: 33364922 10766543.
52. Muratsu J., Kamide K., et al. The Combination of High Levels of Adiponectin and Insulin Resistance Are Affected by Aging in Non-Obese Old Peoples. *Front Endocrinol (Lanscinne)* 2022 Jan 7; 12:805244.
53. Levie C. J., Milani R. V. et al. Obesity and cardiovascular disease: risk factor, paradox, and impact of weight loss // *J. Am. Cardiol.* 2009 May 26; 53(21) 1925-32 doi 10 1016 J. Jacc 2008, 12. 068.
54. D'Errico M., Pavlova M. et al. The economic burden of obesity in Italy: a cost of illness study *Eur. J. Health* 2022, 23(2) 177-192.
55. Man T. O'Brien M. et al. Life-span Extension Drug Interventions Affect Adipose Tissue Inflammation is Aging *J. Gerontol. Biol. Sci. Med. Sci.* 2020 Jan 1: 75(1) 89-98.
56. Mancuso P., Bouchard B. The impact of Aging on a Dipose Function and Adipokine Syntesis *Front Endoc.* 2019 Mar 11:10 137.
57. P. Poirier, T. D. Giles et al. Obesity and cardiovascular disease: pathophysiology, evaluation, and effect of weight loss. *Circulation*, 113(2006), pp 898-918.
58. S. Klein, L. E. Burke et al. Clinical implicationals of obesity with specific focus on cardiovascular disease astatment for professional from the Am. Healt Association *Circulation* 110(2004) pp 2952-2967.
59. S. F. Litwin Which measures of obesity best predict cardiovascular risk. *J. Am. Coll. Cardiol.* , 52(2008) pp 616-619.
60. T. Pischon, H. Boeing et al. General and abdominal adiposity and risk of death in Europe *N. Engl. J. Med.* 359(2008) 2105-2010.
61. E. S. Ford, S. Gapewell Coronary heart disease mortality among young adults in U.S. from 1980-2002. *J. Am. Coll. Cardiol.*, 50(2007) pp. 2128-2132.
62. A. Romero-Corral et al. Relationships between leptin and C-reactive protein with cardiovascular disease in the adult general population. *Nat. Clin. Pract. Cardiovasc. Med.*

- 5(2008) pp 418-425.
63. M. A. Alpert Obesity cardiomyopathy: pathophysiology and evolution of the clinical syndrome. *Am. J. Med. Sci.*, 321(2001) pp 225-236.
 64. Lavie C. S. Milani R. V. et al. Disparate effects of left ventricular geometry and obesity on mortality in patients with preserved left ventricular ejection fraction. *Am. J. Cardiol.* 2007; 100 1460-4.
 65. Wanahita N., Messerli F. H., et al. Atrial fibrillation and obesity - results of meta-analysis. *Am. Heart J.* 2008, 155: 310-5.

*„ყველა ძირითადი არსის შეცნობის საშუალება - გეომეტრიაა” – პლატონი;
 „მეცნიერული წარმოსახვა არ ამოიწურება მათემატიკითა და ლოგიკით – რადგან მასში
 არის კიდევ რაღაც – სილამაზე და პოეზია” – მარია მიტჩელი (1818 - 1889);
 „ გულია ისევ მსოფლიო ღერძი ... ” ტერენტი ვრანელი (1901 - 1934).*

**გულის ანატომიისა და რაობის – მათი სრულყოფილი
 შემეცნების საკითხისათვის
 მ.როგავა*, ილ.თავხელიძე**
 კლინიკა - ჯანმრთელობის ცენტრი, უნივერსიტეტი „გეომედი” *,
 ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის უნივერსიტეტი****

სამყაროში ნებისმიერი არსების ყველაზე ძვირფას და უმთავრეს საგანძურს მისთვის ღვთისგან ბოძებული სიცოცხლე წარმოადგენს, რომლის გვირგვინიც ღვთისადაც ადამიანის - Homo sapiens-ის მოდემის არსებობა გახლავთ. ინდივიდის სიცოცხლე მისი მუცლადყოფნის პერიოდიდან და გულისცემის დაწყებიდან ითვლება და სიცოცხლის დასრულებამდე, ანუ გულისცემის შეწყვეტამდე გრძელდება. საერთოდ სიცოცხლის, მათ შორის ადამიანის და თითოეული ცოცხალი ორგანიზმის თუ უჯრედის არსებობისა და ცხოველყოფობის მთავარი პირობა საკუთარი ერთიანი გარსის ქონაა (მიუხედავად მათი სხვადასხვა ფორმის, არქიტექტურული შენების, ფიზიკო-ქიმიური თუ ბიოლოგიური მახასიათებლებისა, ენერჯის გამოძევა-ვებისა და ხარჯვის, ინფორმაციის მიღებისა და გაცემის თავისებურებებისა). ჩვენი აზრით ერთიანი გარსისა და აურის მქონე ღვთის მიერ ბოძებული ადამიანის ორგანიზმი (სხეული) არის კვანტური და არა ლოკალურ სისტემათა ერთობლიობა (კავშირი), რომლის უმთავრესი სიცოცხლის ძალის მომნიჭებელი და მოძრაობის წარმმართველი ორგანო არის გული.

ზოგადად გულის, როგორც სისხლის მიმოქცევის უმთავრესი ორგანოს განვითარების პროცესები გრძელ და რთულ ეტაპებს მოცავს. მისი განვითარება იცვლებოდა როგორც ფიზიკური ისე მისი ფუნქციური დატვირთვის შესაბამისად. მისი განვითარება გულის ფუნქციის მქონე უმარტივესი წარმონაქმნიდან ე.წ. „დგუშისებრი” ორგანოდან დაიწყო (სამედიცინო წურბელები – Medical Hyrudinalis), შემდგომ ეტაპზე კი ერთკამერიანიდან ოთხ კამერიანამდე (ძუძუმწოვრებში და ფრინველებში თავისებურად აისახა). ადამიანის წინაპრებიდან მისი სრულყოფილი ჩამოყალიბების პროცესში, მისი გულის განვითარება ჩვენი თვალთახედვით ცენტრალური ნერვული სისტემის განვითარებასთან ერთად მჭიდრო კავშირში მოხდა, (რასაც ჩასახვის დროიდან ონტოგენეზურ პერიოდში ის დაჩქარებული ტემპით გადის).

ავტორთა უმრავლესობა გულის უმთავრეს ფუნქციაზე აქცენტს ე.წ. სისტოლაზე და დიასტოლაზე აკეთებს და ე.წ. „აქტიური დიასტოლის” აღმოჩენის შემდგომაც მის მოძრაობასთან დაკავშირებით არა-ფერი შეცვლილა, როგორც ორგანოზომილებიან ისე სამგანზომილებიან, ნახევრად მბრუნავ თუ „მოძრავ” სამგანზომილებიან გულის მათემატიკურ მოდელებშიც. ძოგადად მეცნიერები და პრაქტიკოსი ექიმები გულის მოძრაობას პარკუჭების დიასტოლისა და სისტოლის მომენტებიდან, ანუ მოძრაობის საწყის და ბოლო მომენტებად განიხილავდნენ. (იგულისხმება მანძილი წრის ცენტრიდან რადიუსის წრეხაზამდე და არა წინაგულების სისტოლიდან, არამედ პარკუჭების დიასტოლიდან სისტოლამდე – ჰორიზონტალურად და არა ვერტიკალურად) და შესაბამისი ალგორითმითა და გეომეტრიული ფორმულით დღემდე სარგებლობენ, ცალკე დიასტოლისა და ცალკე სისტოლის პარამეტრების ჩასასმელად. აღნიშნული პარამეტრები მიიღება ექოკარდიოგრაფიული, კონტრასტული ვენტრიკულოგრაფიული, გულის რეზონანსულ-ტომოგრაფიული გამოსახულებების დამუშავებით). ამ მეთოდების საშუალებით ხდება სუბიექტურად არჩეული გეომეტრიული ფიგურის მოცულობის გაგება (იხ სურათი №1). მიუხედავად იმისა, რომ მარცხენა პარკუჭის მოცულობა საბოლოო სისტოლასა და დიასტოლის დროს მაღალი ალბათობით ემთხვეოდა ჩვენს მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტს (მ. როგავა

1981;MM. Porava 1985), ვენტრიკულოგრაფისა და თავად პარკუჭის ღრუს – მისი ასლის მოცულობას, ხოლო მარჯვენა პარკუჭის შედარება რაიმე ერთიან გეომეტრიულ ფიგურასთან მისი მოცულობის განსაზღვრა უფრო მეტ პრობლემას ქმნიდა. ზოგიერთი ავტორი მისი მოცულობის განსაზღვრისათვის ორ გეომეტრიულ ფიგურათა კომბინაციას მიმართავდა, თუმცა ეს არსებულ პრობლემას ვერ აგვარებდა. ჩვენი აზრით გულის ფუნქციონირების, ანუ მისი სისტოლურ-დიასტოლური მოძრაობის (ანუ მუშაობისა და ჰემოდინამიკის) შესწავლა დღემდე არსებული მეთოდების გამოყენებით შეუძლებელია. მათ რიცხვს მიეკუთვნება გულის ცალკეული პარკუჭების ან მათი „მსგავსი“ სტატიკური ან ნახევრად მოძრავი ფიგურები, მარტივი გეომეტრიული (დღემდე ცნობილი) და №1 სურათზე ნაჩვენები მეთოდები და ფიგურათა მოცულობის გამოთვლის ფორმულებიც (მ. როგავა 2005, 2007). ამავე ჯგუფში ერთიანდება თანამედროვე მეთოდებით აგების შემთხვევებიც;

Algorithm	Formulation	Geometric Model
Simpson's rule	$V = (A_n) \frac{L}{3} + \left(\frac{A_m + A_p}{2} \right) \frac{L}{3} + \frac{1}{3} (A_p) \frac{L}{3}$	
Ellipsoid - Biplane	$V = \frac{\pi}{6} L \left(\frac{4A_m}{\pi D} \right) \left(\frac{4A_1}{\pi L} \right)$	
Ellipsoid - Single plane	$V = \frac{8(A_1)^2}{3\pi L}$	
Hemisphere - Cylinder	$V = (A_n) \frac{L}{2} + \frac{2}{3} (A_n) \frac{L}{2}$	
Modified Ellipsoid	$V = \left(\frac{70}{2.4 + D} \right) D^3$	

$$V = \frac{H}{3\pi} (A_0 + 4A_1 + 2A_2 + 4A_3 + \dots + 4A_{n-1} + A_n) + \frac{A_1}{2} \left(L - \frac{n-1}{n} H \right)$$


$$K = 1 + 2 \frac{r_1 \times r_2}{r_1^2 + r_2^2}$$

სამგანზომილებიანი
მქოკარდიოგრაფიული
მეთოდიკა 1981წ.
მ.როგავა


სურათი №1

№2,3,4 სურათებში ნაჩვენებია შესანიშნავი, მიოკარდიუმის ცალკეულ შრეთა და (სხვა-დასხვა) ბოჭკოთა მიმართულება, რომლებიც განსხვავებულ ფერებშია მოცემული, რასაც ავტორები თავიანთი მინიშნებით ტორენტ გუპასის გულის მოდელთან, მის ანატომიასთან აიგივებენ; ხოლო მათ მიერ გამოყოფილ მიოკარდიუმის ბოჭკოთა შრეების განლაგების ზოგად პრინციპზე და მათ მოძრაობა/კუმშვადობის მიმართულებაზე რაიმე მინიშნებაც გარდა სპირალური დახვევისა არაა გამოთქმული (L.Zhukov, A. H. Barr 2003; Semid P.et al.2005; Pifers I. et al.2006; Rohmer D.et. al. 2007; და სხვა წყაროებშიც) როგორც ჩვენ (მ. როგავა 2014წ.) ეს უკვე აღვნიშნეთ. გულის მოძრაობა/მუშაობა ვლინდება თავად გულმკერდის სივრცეში, მაგისტრალურ სის-

ხლძარღვებში სისხლის მოძრაობის ორიენტაციით. ვ. ბ. ბაბინსკი და ვლ. კარპმანი (აქტიური დიასტოლის „აღიარების“ დრომდე) წინა საუკუნის სამოციან წლებში მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ გულის კინეტიკის შესწავლა, რომელიმე ერთი - გრძივი ან განივი (დინამოგრაფიული) მეთოდის გამოყენებით არასაკმარისია. ისინი აღნიშნავენ, რომ ამ პროცესზე სუნთქვის ფაზებიც ახდენს გავლენას და ამიტომ ისინი დინამოკარდიოგრაფიის ჩაწერას ახდენდნენ სტაბილიზაციის მომენტში – ამოსუნთქვისას. ისინი თვლიდნენ რომ საჭიროა დინამოკარდიოგრაფიის ჩაწერა როგორც სიგრძის ისე განივი ანუ გვერდითი მიმართულებით. მათ მიაჩნდათ, რომ ვექტორო-კარდიოგრაფიის ზუსტი აგება უნდა ყოფილიყო სიგრძივი და გარდვიარდმო დინამოკარდიოგრაფიის საფუძველზე (ყოველივე ეს დიდ დროს მოითხოვდა და მიღებული შედეგები დახარჯული დროის ექვივალენტად არ ფასდებოდა).



სურათი №2



სურათი №3 და №4

ჩვენი აზრით, უსულო სხეულის ან უსხეულო სულის კლინიკური შესწავლა შეუძლებელია ცალ-ცალკე, ისევე როგორც აფექტურობის, სენსორულობისა თუ მენტალობის განხილვა უერთმანეთოდ. ასევე არ შეიძლება გულის ფუნქციონირების ანუ მისი სისტოლურ-დიასტოლური მოძრაობის (მუშაობისა და ჰემოდინამიკის) შესწავლა დღემდე არსებული გულის ცალკეული პარკუჭების ან მათი „მსგავსი“ – სტატიკური ან ნახევრად მოძრავი, მარტივი გეომეტრიული (დღემდე ცნობილი) და გამოყენებული №1 სურათზე ნაჩვენები მეთოდებითა და ფიგურების მოცულობის გამოთვლის ფორმულათა მეშვეობით (მ. როგავა 1981-1985; 2005; 2007), რაც მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია.

უპირატესად, სისხლის (კორონარული) ნაკადის მეტი მოცულობის მოწოდებით გამოირჩევა გულის სუბენდოკარდიალური და სუბეპიკარდიალური შრე, რომელიც ხორციელდება წინაგულთა სისტოლისა და პარკუჭებში სისხლის გადანაცვლების დროს. ცირკულატორული

შრის სისხლისმომარაგება კი იწყება რელუცირებული გადატყორცნის ფაზაში და თავის მაქსიმუმს აღწევს პარკუჭთაშიგნითა წნევის იზოვოლემიური დაქვეითებისას. ამ ორი ფაზის დროს ხდება გარეთა ირიბი და შიდა სწორი მიოკარდიუმის კუნთების შეკუმშვა და ცირკულატორული კუნთების მოდუნება, რომელშიაც მცირდება ინტრამურალური წნევა და იქმნება სასურველი პირობები გულში არტერიული სისხლის მიწოდებისათვის. აქვე მინდა ვთქვა, რომ იგი მხოლოდ თავისი გამომუშავებული ანუ გადატყორცნილი სისხლის მოცულობის მხოლოდ 10%-მდე ხარჯავს და არ იქცევა მოკვდავივით! პარკუჭებისა და წინაგულების შესწავლამ აჩვენა, წერს [ფეტენკოვი 1990], რომ გულის მუშაობაში ჩაბუდებულია ზოგადი ბიოლოგიური კანონი, რომელიც განსაზღვრავს განივზოლიანი კუნთების ფუნქციონალურ ურთიერთობას: მოდუნებული კუნთის გაჭიმვაობა შესაძლებელია მხოლოდ სხვა კუნთების შეკუმშვისას. ძალზე მჭიდრო შეკავშირება რომელიც არსებობს მიოკარდიუმის შრეებს შორის, თავად ქმნიან გულის კედლებს, ურთიერთხელსაყრელ პირობებს მექანიკური მოძრაობის რეგულაციისთვის”.

დედამიწაზე ყველა უძრავ და მოძრავ უსულო საგანსა და ცოცხალ ობიექტს სჭირდება საყრდენი წერტილი, რომელიც მას წონასწორობის ან მოძრაობის საშუალებას აძლევს. საყრდენის განყენებულ აზრობრივი შეხედულებისგან ლირიულ გადახვევას გვაწვდის ესპანელი მეცნიერი, ექიმი კარდიოლოგი, პროფესორი **ფრანცისკო ტორენტ გუაპსი (1973-1990 წწ.)**, რომელსაც მიაჩნია, რომ გულს არ სჭირდება მექანიკურად მყარი საყრდენი წერტილი, რადგან მოძრაობის (შეკუმშვის) დროს ის თავად (ეყრდნობა) მის წიაღში არსებულ შიგთავსს – სისხლს და ზღუდავს მას. ის თვლიდა, რომ გულზე უნდა ვილაპარაკოთ, როგორც ჰომეოსტეზზე და არა როგორც კარდიოსტეზზე. ის აგრეთვე თვლიდა რომ გულის კუნთის – მიოკარდიუმის შეკუმშვა ხდება თანმიმდევრობით: ჯერ იკუმშება მწვერვალი, რის შემდგომ ხდება (გულის კუნთის) მიოკარდიუმის დატრიალება გრძივი ღერძის მიმართულებით – ზედა და ქვედა ორმაგი მარყუჟის შეკუმშვით. სისტოლის ბოლოს მიოკარდიუმს აქვს სპირალის ფორმა, რომელიც უნდა გაიშალოს მოდუნების დროს. მასვე ეკუთვნის გულის კუნთის – მიოკარდიუმის ბოჭკების განშრეების ორიგინალური მეთოდი, რომელიც მან წარმატებით გამოსცადა და შეისწავლა. ჩვენ ვთვლით, რომ გულის მოძრაობა და ანატომიური აგებულება ემყარება მებიუსის პრინციპს (მ. როგავა 2005 წ.). აქვე გვინდა განვმარტოთ აღნიშნული, რომ ტოპოლოგიური თვალთახედვით წრე არ განსხვავდება კვადრატისაგან და არც სამკუთხედისაგან, რადგან ისინი შეიძლება უწყვეტად გადავაქციოთ ნებისმიერ, აღნიშნულ ფიგურად. ხოლო რაც შეეხება მებიუსის ლენტს, მასში განთავსებული წერტილი შეიძლება შევადაროთ სხვა ნებისმიერი წერტილთან. და ნებისმიერი მასზე მოძრავი სხეული ან ჭიანჭველა, როგორც ეს გამოსახული აქვს ცნობილ მხატვარს მ. ესხერს, მათ არ მოუწევთ. ერთი კიდიდან მეორეში გადასვლა, რადგან მათი მოძრაობა არის *დინამიური და უწყვეტი* როგორც გულის მოძრაობა. ნებისმიერი საგნისა თუ ფიგურის მახასიათებელია მისი ერთიანობა და შეკრულობა. თუ ჩვენ ერთი მიმართულებით გავჭრით რაიმე სხეულს ან ფიგურას მივიღებთ ცალკეულ ერთეულებს (ობიექტს ან ობიექტებს), რაც იმას გვიჩვენებს, თუ რამდენად არიან ეს საგნები (ობიექტები) ურთიერთკავშირში. მიღებულ შედეგს, ობიექტის რაოდენობას – *ბეტის* რიცხვი ეწოდება. შესაბამისად, წრეს ექნება ერთი *ბეტი*, რადგან მისი გაჭრით მიიღება ერთი მრუდე ხაზი (ობიექტი). ტორის გაჭრით კი ორი ობიექტი და ა. შ. ხოლო რაც შეეხება მებიუსის ლენტს მისი ერთი მიმართულებით შუა ხაზის გასწვრივ გაჭრით მიიღება არა ორი არამედ ერთი მებიუსის ტიპის უფრო გრძელი ლენტი. ხოლო შუა ხაზიდან პერიფერიის გასწვრივ გაკეთებული გაჭრის შედეგად კი ურთიერთ გაყრილი ორი რგოლისაგან შემდარი ობიექტი.

თუ ჩვენ ერთდროულად ვაწარმოებთ აღნიშნული მიმართულებით მებიუსის ლენტის გაჭრას არა ორ არამედ სამ ნაწილად, არა შუა ნაწილიდან, არამედ ლენტის ერთი მესამედიდან, მივიღებთ კიდევ ერთ მებიუსის უფრო მომცრო ლენტს, მოცემულთან შედარებით და სისქით მის ერთ მესამედს, რომელშიაც გაყრილი იქნება თავის ღერძზე ორმაგად დახვეული გრძელი ლენტი. მებიუსისი სხვადასხვა ფერებით შეღებვა, ისე რომ მათ ერთი შეხების წერტილი

ჰქონდეთ, მივიღებთ საოცრებების ექვს ფერს, სფეროს ფიგურაზე მხოლოდ ოთხს, ტორზე ექვსს, რაც XX საუკუნეშიც ცნობილი იყო. ცნობილი იყო ისიც, რომ ტორი მათემატიკურად აღიწერება როგორც წრის ბრუნვით მიღებული სხეული, რომელიც ძვეს მის სიბრტყეზე და არ კვეთს მას (მისი მოცულობა გამოიანგარიშა იოჰან კეპლერიმ). ყოველგვარი წრის ან ელიფსის მიერ ბრუნვით მიღებული სხეულის მოცულობა ტოლია ამავე სივრცის ცილინდრის მოცულობის, რაც ასე გამოიხატება: $V = 2r^2R$, ხოლი მისი ზედაპირის ფართობი კი $4r^2R$ ანუ ორი მისი შემოწერილობის ტოლია. ტოპოლოგიის მიხედვით ტორი ძალზე მარტივი სხეულია და ის შეიძლება ალგებრულად გამოისახოს. ი. ეილერის აზრით ნებისმიერი ამოწეილი B-წახნაგა სხეულისათვის ტოპოლოგიურად ეკვივალენტურია სფერო, შემდეგი ურთიერთობით: $B - P + r = 2$, სადაც B – წახნაგის რაოდენობაა, P–წიბოების რაოდენობა, ხოლო r-წვეროების რაოდენობა. მაგალითისთვის კუბს 8 წვერო აქვს, მას 12 წიბო აქვს და 6 წახნაგი: $8-12+6=2$; ხოლო n-კუთხა პირამიდას (n+1) წვერო, 2n წიბო, და (n+1) გვერდი: $(n+1)-2n+(n+1)=2$; მრავალწახნაგა ეკვივალენტური ტორისათვის შესაბამის რაოდენობას კი ი. ეილერის მახასიათებელი ეწოდება. ტორის ზედაპირის თვისებების შესწავლისათვის იყენებდნენ მართკუთხედს, რომლის მოწინააღმდეგე გვერდები იყო შეწებებული. მრავალკუთხა სხეულის ეკვივალენტ სფეროში არის მხოლოდ სამკუთხა გვერდიანი სხეულები, რომელსაც აქვს მხოლოდ სამკუთხა გვერდები. ყველაზე მცირე 4 გვერდი აქვს ტეტრაედრს, ხოლო ტორის ეკვივალენტ მრავალკუთხედს, რომელის ყველა გვერდი – სამკუთხედი, ყველაზე მცირე რიცხვი 14-ია. ჩვენ თუ შევაერთებთ სამკუთხედების ცენტრს, რომელთაც აქვთ საერთო შეხების ზღვარი, მივიღებთ ტორის ზედაპირზე 7 გაყოფილ ერთეულს („ქვეყნებს“). და თუ თქვენ წარმოიდგენთ იმასაც, რომ ჭადრაკის დაფის გვერდები დაწებებულია მაშინ არ გვექნება, „გვერდით“ და „განაპირა“ მხარეები. თუ წარმოვიდგენთ მანქანის ან ველოსიპედის კამერის ამობრუნებას, რასაც შეიძლება მივალწიოთ კიდევ. თუმცა იოლი სრულებათ არაა. რაც შეეხება მებიუს-ლისტინგ-თავხელიდის* სამგანზომილებიან (ტორს) გულის მათემატიკურ მოდელად მიღებულ სხეულს, რაზედაც პროფესორი ილია თავხელიძე სხვებთან ერთად მუშაობდა (Tavkhelidze, I., et al (2010); 2011;2013; 2017; Tavkhelidze I, Ricci P.E (2017); Gielis, J., & Tavkhelidze, I. (2020). Gielis, J., Tavkhelidze, I., Ricci, P.E. (2021). ძირითადი სამუშაო დამთავრდა 2023 წელს. ეს ჩვენ ძალიან გვახარებს. ამ სამგანზომილებიანი სხეულის კვეთის ფიგურების ხილვა სამყაროს ვარსკვლავთა კალეიდოსკოპის სურათებთან ასოცირებას იწვევს და რაც მთავარია მიღებული შედეგების უახლესი მონაცემები სულ უფრო გვაახლოებს ჩვენს მიერ მოწოდებულ გულის მოდელთან. პროფესორ ი. თავხელიძის მიერ დადგენილია, m – გვერდის (m-პრიზმის ფუძე) სამი სხვადასხვა ტიპის გაჭრა – (Vertex – Vertex- დიაგონალური)-VV; (Vertex-side - წვერიდან-გვერდზე) -VS;(Side-side - გვერდიდან-გვერდამდე)-SS; ნებისმიერი m – რიცხვისა და ნებისმიერი n გრეხვის შემთხვევაში გამოთვლილია რამდენ და რა ტიპის ბრტყელი ფიგურა – ფუძე გამოისახება (დაქუცმაცდება).


* ნებისმიერი საკმარისი სივრცის ერთგვაროვანი ან კომპოზიტი ქსოვილისგან დამზადებული ლენტის ბოლოების შეერთებით ვღებულობთ წრეს, ცილინდრს, რომელთაც აქვთ შიდა და გარე ზედაპირი, ხოლო მისი ერთი ბოლოს 180 გრადუსით შებრუნებით და მათი ბოლოების შეერთებით ვიღებთ მებიუს-ლისტინგის ფიგურას, რომელსაც აქვს მხოლოდ ერთი ზედაპირი და ერთი საზღვარი! მებიუსის ზედაპირი (ლენტი) წარმოადგენს ეკვლიდის სამგანზომილებიანი სივრცის არაორიენტირებულ ერთმხრივ ზედაპირს (ყველა სხვა ზედაპირი ეკვლიდის სივრცეში შემოსაზღვრულია ორო მოპირდაპირე მრუდით) ანუ მებიუსის (ლისტინგის ლენტის) ლენტს (ფიგურას) ერთმხრივი საზღვარი აქვს. ეკვლიდის სივრცეში მებიუსის ზედაპირი აღიწერება შემდეგი პარამეტრული განტოლებით $X = (U, V) = (1 + \frac{V}{2} \cos \frac{U}{2} \cos(U); Y = (U, V) = (1 + \frac{V}{2} \sin(U); Z = (U, V) \sin \frac{U}{2}$; სადაც $0 \leq U < 2\pi, -1 \leq V \leq 1$ ამ განტოლებებით აღიწერება ერთეულოვანი სივანისა და ერთეულოვანი რადიუსის მქონე მებიუსის ლენტი, რომლის ცენტრის კოორდინატებია (0,0,0) და რომელიც მოთავსებულია XY სიბრტყეში.

PS. მებიუსის სემანტიკური ანალიზის გამოსახატავად, რაც ნიშნავს - ორი საპირისპირო – გაერთიანებულია ერთში. სწორედ ამ აზრის წარმოსახვისთვის მოგვყავს ქართველი პოეტისა და ავანგარდისტი მხატვრის ტერენტი გრანელის სტროფი: „არა სიკვდილი, არა სიცოცხლე, არამედ რაღაც სხვა“.

ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ №1 სურათზე მოცემული ფიგურები გამოიყენებოდა და დღესაც გამოიყენება მარცხენა პარაკუჭის მოცულობის განსაზღვრის მიზნით. გამოდის, რომ ერთგანზომილებიანი ზედაპირი, ხაზი, იყოფა ნულოვანი გაზომვით – წერტილით. ორგანზომი-

ლებიანი ზედაპირი იყოფა ორად ერთგანზომილებიანი ხაზით, ხოლო სამგანზომილებიანი კუბის ფიგურა კი – ორგანზომილებიანი სიბრტყით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „ზღვარი“ ამ სიბრტყეების სხეულთა შორის კიდევ რაღაც „სხეულია“, რომლის განზომილება ერთზე ნაკლებია.

ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქ ვაშინგტონში, „ისტორიისა და ტექნიკის“ მუზეუმის შემოსასვლელში ორ მეტრიან პედისტალზე დგას ნელა მბრუნავი ფოლადის ლენტისაგან 180 გრადუსით შემობრუნებული და შეერთებული ერთზედაპირიანი ფიგურა. რაზილიაში გამართულ საერთაშორისო მათემატიკური კონგრესის მეურვებმა, რომელიც 1967 წელს გაიმართა, ლონისძიების აღსანიშნავად გამოუშვეს სამახსოვრო მარკა (5 სენტავოს ღირებულების), რომელზედაც გამოსახული იყო მებიუსის ფიგურა, გერმანელი მათემატიკოსისა და ასტრონომის ავგუსტ ფერდინანდის ძე მებიუსის დაფასებისა და პატივისცემის ნიშნად. ოყვანილ და სხვა ნაშრომებშიც, ჩვენთვის ხელმისაწვდომ ლიტერატურაში გულის სიმძიმის ცენტრზე ან მის ცვლილებებზე (აღწერილი ან გამოყენებული) და მისი მნიშვნელობის შესახებ ფიზიოლოგიასა და სხვადასხვა პათოლოგიური პროცესების დროს ჩვენ არ შეგვხვედრია. მცნება გულის სიმძიმის ცენტრის შესახებ მხოლოდ ჩვენ (მ. როგავა, ი. თავხელიძე 2013) მიერ იქნა შემოღებული და აღწერილი, რაც მისი კუმშვადობა/მუშაობის შესახებ მეტად მნიშვნელოვანია, რაც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული მისი კვლევის პროცესში და ფუნქციის შეფასებისას. კლასიკურ ვარიანტში თუ მებიუსის ლენტი გაიჭრება როგორც ზემოთ ვახსენეთ, გვქონდა ორი შემთხვევა. პრიზმის შემთხვევაში პროფ. ი. თავხელიძის მიერ აღმოჩენილ იქნა ფენომენი: ფუძეში პრიზმის შემთხვევაში ასეთი გაჭრის შედეგად შესაძლებელია გაჩნდეს (III თუ I-ე) ნებისმიერი რაოდენობის ობიექტი ერთიდან III-ის გამყოფის რაოდენობის შესაბამისად. ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ობიექტის – გულის, მათემატიკური მოდელი თავისი ანატომიური აგებულებით, მისი ფორმის, ზომის, წონისა და სიმძიმის ცენტრის გათვალისწინებით, მისი რთული და წარმოუდგენლად დიდი სიგრძის მიკროკაპილარული სისტემით და თავად ვენური, ლიმფური, არტერიული და უჯრედთა-შორისო სივრცეების კვეთათა მრავალი სახის გეომეტრიულ ფიგურათა არსებობითაა წარმოდგენილი (სურათი №5-ზე მხოლოდ შემთხვევათა მცირე ნაწილია მოტანილი). ამ სისტემაში (ანუ გულში) სითხის მიმოქცევის ურთიერთ საწინააღმდეგო და სხვადასხვა მიმართულებებით ცირკულირება, მისი ფუნქციონირება (ე. წ. სისტოლასა და დიასტოლაში), როგორც ეს მის ფიზიოლოგიურ თუ პათოლოგიურ მდგომარეობში ფუნქციონირების (ნებისმიერ) მომენტში ხორციელდება, არ ეწინააღმდეგება და სრულ თანხვედრაშია ჩვენს მიერ მოწოდებულ მებიუსლისტინგ-თავხელიძის გულის სამგანზომილებიან მათემატიკურ მოდელთან.



სურ.5

ვთვლით, რომ ცოცხალ ორგანიზმში კოოპირირებულ თვითმარეგულირებად სისტემაში, მათ შორის გულის, როგორც ფუნქციური სისტემის ორგანოს მუშაობის, მისი მთლიანი (ერთიანი) ფუნქციის სწორი შეფასება უნდა მოხდეს მისი ფიზიოლოგიის გათვალისწინებთ და მისი მოძრაობა/მუშაობის აღწერით, მხოლოდ „დინამიური“ (მიდგომით)

შესატყვისი მათემატიკური აპარატის გამოყენებით [მ.როგავა 2005]. ადამიანის ჩამოყალიბების პროცესში, ნაყოფის წმინდა არეში ჩაბუდებულ, განუმეორებელ და ხელთუქმნელ „აბსოლიტურ სინათლეს“ – მის სულს, ყველაზე ძლიერი, გამძლე და მგრძობიარე მიოკარდიუმის შემცველი კომპოზიტი ქსოვილი შეუქმნა და მოძრავი სხეული – გულის სახით დაუხვია შემოქმედმა, მასში პიროვნების შინაგანი „მე“-ს ჩაბუდებისა და მისი ამქვეყნიური არსებობის – სიცოცხლის დაფუძნებისათვის. ჩვენ მიერ „სულის გარსად“ წოდებული მღვიმისებრი ღრუკუნთოვანი წარმონაქმნი – გული უნდა განვიხილოთ როგორც ერთდროულად სხეულისა და გარსის ბიოლოგიური თვისებების მქონე ორგანო, რომელიც უშუალოდ ავსებს მისთვის განკუთვნილ სივრცეს ადამიანის ორგანიზმში კომპოზიტად ნაქსოვი და *მებიუსის პრინციპით** კონსტრუირებული კარდიომიოციტების შემცველი ფრაქტალური ღვედებით შეკრული სხეულით.

როგორც არისტოტელე ბრძანებდა „სიცოცხლე მოძრაობას მოითხოვს“ და იგი რეალურადაც მუდმივად, თვალნათლივ ვლინდება ინდივიდის ჩანასახის ზრდა განვითარების პროცესში, როგორც მოძრაობაში მყოფი სიცოცხლე; „დრო კი ის ქსოვილია, რომლისგანაც იქსოვება სიცოცხლე“ – აღნიშნავდა ბენჟამენ ფრანკლინი.

ინდივიდის სიცოცხლის უზრუნველყოფის ძირითადი ორგანო გულია და მისი უმთავრესი დანიშნულება არტერიული და ვენური წნევის წარმოქმნა, მათი მუდმივი სხვაობის შენარჩუნება, ორგანიზმისთვის ჟანგბადისა და სიცოცხლისათვის საჭირო სხვა ნივთიერებების მიწოდება და ამავე დროს იგი ფავორიტი ენდოკრინული ორგანოცაა (მ. როგავა, თ. სამხარაძე 2013). ადამიანის ემბრიონში ორი ჩანასახოვანი რგოლის – გულად - ანუ „სულის გარსად“ ქცევის მომენტიდან, (როგორც მას ჩვენ ვუწოდებთ) ის შეზღუდული სივრცისა და დროის ყოველ განსაზღვრულ მონაკვეთში გამუდმებით იცვლის ფორმასა და შიგთავსის მოცულობას. ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლის არსებობისა და უწყვეტობისთვის თავად დედამიწა პერმანენტული რხევების ფონზე, გარკვეულ წილად გამუდმებით იცვლის თავის ფორმას სივრცისა და დროის უსასრულობაში.

ბოლო ათწლეულში მკვეთრად გაიზარდა დიდი ესპანელი მეცნიერის, ექიმ-კარდიოლოგის, პროფ. **ტორენტ გუაპსის** შეხედულების გავლენა გულის მოდელირების საქმეში. ყველა დაავადებას თავისი პათოგნომირი ნიშანი აქვს და ის უმთავრეს მიღწევად (ოქროს სტანდარტად) ითვლება, როგორც დიაგნოსტიკის და მკურნალობის სწორი ტაქტიკისა და სტრატეგიის, პროგნოზირებისა და კოორდინაციის თვალსაზრით. ჩვენი შეხედულება გულის ანატომიასთან დაკავშირებით მკვეთრად არ განსხვავდება **ტორენტ გუაპსის** ანატომიური შეხედულებებისაგან. მიგვაჩნია, რომ მისი აღმოჩენით დაიწყო ახალი ერა გულის მეცნიერული კვლევის ისტორიაში (მ.როგავა 2013). თუმცა ჩვენი აზრით ის სრულყოფილად ვერ პასუხებს და ვერ ხსნის გულის, როგორც მოძრავი ორგანოს ფიზიოლოგიურ, ისე მასში მიმდინარე პათოლოგიური რემოდელირების პროცესებს, რომელთაც თან ახლავს პროგნოზულად მძიმე და საშიში, როგორც მწვავე ისე ე.წ. ქრონიკული გულის უკმარისობის სინდრომი (ქეუს), რაც საბოლოოდ ინდივიდთა ლეტალობით მთავრდება. გულის მწვავე უკმარისობა უმთავრესად გამოწვეულია თავად გულის არტერიულ სისხლძარღვთა დახშობისა და ან მათი კვეთის 50% მეტად შემცირების შემთხვევაში. აგრეთვე მისი პეისმეკერულ-ნერვული სისტემისა და კუმშვადი ფუნქციის მოშლასთან, ხოლო ქეუს კი მანკიერი წრის ჩამოყალიბების პროცესთან (მ. როგავა 1997-2002-2006), რომელშიც გულ-სისხლძარღვთა სისტემის გარდა ჩართულია ორგანიზმის სხვა სისტემებიც (მ. როგავა 2005 წ. მ. როგავა, ზ. ლურჯაია, 2005 წ.).

XX საუკუნის 80-იან წლებიდან მიღებული იყო ცნობილი კარდიოლოგის **ე. ბრაუნვალდის** (ა.შ.შ.) ქეუს-ის განმარტება. ჩვენ 2010 წელს (M. Rogava) ქეუს მქონე ტერმინალურ სტადიაში მყოფ პაციენტებში აღებული გულის ბიოპტატებში არსებული მორფოლოგიური მონაცემებისა და სხვადასხვა სტადიაში მყოფ ქეუს პაციენტთა მკურნალობის პროცესში მიღებული (რემოდელირებისა და დერემოდელირების) შედეგების მიხედვით, ქეუს სისტემური

პათოლოგიის გამოვლინებად მივიჩნით, რომელიც უმეტესად გამოწვეულია მიოკარდიუმში არსებული შემადგენელი ქსოვილოვანი, ელასტიური ბოჭკოების და თავად კარდიომიოციტთა მულტიფაქტორული დაზიანებისა და სისხლის ქსოვილის შემადგენელ ნაწილთა სპეციფიკური ცვლილებების შედეგად, რაც შესაძლებელია მტკიცებადი სახით იყოს წარმოდგენილი მიზანმიმართული კვლევის შედეგად. ყველა შემთხვევაში, ჩვენი გამოცდილებით ამ პროცესებს მანკიერი წრის ჩამოყალიბება და შესაბამის სამიზნე ორგანოებში სხვადასხვა სახის მნიშვნელოვანი პათოლოგიური ცვლილებები ახლავს, ქვე სინდრომის ხარისხთან (სტადიასთან) მიმართებაში, რასაც თავად გულის კამერების რემოდელირება და კლინიკურად ქვეს შესაბამისი გამოვლენა ახლავს. ამრიგად, ჩვენი აზრით ქვე სინდრომი არ გახლავთ მხოლოდ რამოდენიმე დაავადების გართულება, როგორც მას XX საუკუნის დიდი კარდიოლოგი E. Braunvald 80-იან წლებში თვლიდა. ქვეს ყველა შემთხვევაში, ვთვლით, რომ უნდა დადგენილეს (გამომწვევი აგენტი ან მიზეზთა ერთობლიობა) მანკიერ წრეში ჩართულ ორგანოთა წვლილი ამ პროცესის განვითარებაში და მოსალოდნენ გართულებათა თავიდან აცილების, მანკიერი წრის გახლეჩის, მკურნალობის სწორი ტაქტიკისა და სტრატეგიის განსაზღვრის მიზნით (მ. როგავა 1997-2006წ.).

მიტოქონდრიული დისფუნქცია არის გულის უკმარისობის ძირითადი ფაქტორი. მიტოქონდრიული ელექტრონული სატრანსპორტო ჯაჭვის ვარიაბილება აღინიშნება სხვადასხვა კარდიომიოპათიების დროს, აქტივობის, დეპრესიის ან ექსპრესიის გარეშე ოქსიდაციური ფოსფორილრილება შეფასებული იქნა, როგორც მიტოქონდრიების ინტეგრაციული ფუნქცია, რაშიც ჩართულია სხვადასხვა ნივთიერებები მიტოქონდრიული მემბრანის ტრანსპორტის, დეჰიდროგენაზას აქტივობის და ელექტრონული ტრანსპორტის განსახორციელებლად. ეს მიმართულია ატფ-ის სინთეზისაკენ. მიტოქონდრიული დეფექტი განიხილება, როგორც სუპერმოლეკულური პრობლემა და არა როგორც ინდივიდუალური წყარო ენერჯისა. დეფექტი გამოწვეულია ძირითადი მიტოქონდრიული სუბპერმოლეკულური კომპლექსის (რესპირასომების) შემცირებით. ქრონიკული გულის უკმარისობის დროს, სხვა კვლევებმაც აჩვენა, კარდიოლიპინის ალტერაციის კავშირი იმ სპეციფიკურ მექანიზმზე, რაც ცვლის მიტოქონდრიის ფუნქციას, ნეირო-ჰუმორალურ აქტივაციას და ზრდის სიკვდილობის გამოსავალს. აქედან გამომდინარე მეტად მნიშვნელოვანია გულის რემოდელირებისა და დერემოდელირების პათოფიზიოლოგიური მექანიზმების მოძიება (M.Rogava et al 2010).

კლინიკურ კვლევებში გამოყენებულ და მეცნიერული ხედვით შეფასებულ, დღემდე არსებულ სხვა („მოდრავი“) მოდელებისაგან განსხვავებით, გულის ჩვენი სამგანზომილებიანი მებიუს-ლისტინგ-თავხელიძე² ანატომიურ-ფუნქციური მათემატიკური მოდელი შეიძლება სიტყვებით ასე გამოიხატოს: ადამიანის გულმკერდში მოთავსებული, ცნობილი ანატომიური კონფიგურაციის მქონე მღვიმისებრი ღრუკუნთოვანი წარმონაქმნი – გული თავისი წინაგულებით, პარაკუჭებითა და ფიზიოლოგიური მონაცემებით აღქმული უნდა იქნას ერთდროულად, როგორც სპეციფიკურად მოძრავი სხეულისა და გარსის ბიოლოგიური თვისებების მატარებელი ორგანო.

გულის განზოგადებული მებიუს-ლისტინგ-თავხელიძის² მოდელი – სამგანზომილებიანი გეომეტრიული სხეულია, რომელიც მიიღება მოცემულ m კუთხა პრიზმის „n დაგრეხვით“ და შემდგომ მისი ფუძეების „გაივივებით“ ანუ გლუვი* გადაბმით.

გული აღქმული უნდა იყოს აგრეთვე, როგორც სპეციფიკურად განლაგებული, მებიუსის პრინციპით ნაქსოვი და დახვეული, მიოკარდიუმის ფრაქტალურ ღვედებში ჩაწნული სისხლძარღვებითა და წარმოდგენლად გრძელი (თუმცა არსებულ მომენტში რეალური გულის შესაბამისი) კაპილარული ქსელით, პეისმეკერული და ნერვული უჯრედებით აღჭურვილი, საკუთარი, დამოუკიდებელი ნერვული სისტემით, რომელსაც ცენტრალურ ნერვულ სისტემასთან

მჭიდრო კავშირი აქვს და მის შესაბამის დონეზეა განვითარებული. იგი აღქმული უნდა იყოს აგრეთვე, როგორც ჰემოდინამიკური და ორგანიზმში არსებული სითხეების ცირკულირების უმთავრესი და წამყვანი ორგანო, რომელიც აღიწერება არტერიული, ვენური, პულსური წნევის ფიქსირებით, გულის ფიზიოლოგიური რიტმითა და მისი დარღვევებით, დამოუკიდებელი სისხლის მიმოქცევის მქონე ორგანო. სისხლის მიმოქცევა თავად გულის ღრუებში და სისხლძარღვებში აღქმული უნდა იყოს არა როგორც ღუნედ მიმდინარე გარკვეული მოცულობის სითხის გადაადგილება, არამედ როგორც გარკვეულ თვისებათა და ღინების კვეთის სპეციფიკური პროფილის მქონე მოძრაობა.

კლინიკურ პრაქტიკაში ჩვეულებრივ გამოიყენება ქულების ორი შკალა - რანსონის შკალა, შემუშავებული და უფრო ხშირად გამოყენებული აშშ-ში და გლაზგოს (ან იმრიის) შკალა, შემუშავებული და უფრო ხშირად გამოყენებული დიდ ბრიტანეთში. ორივე მოიცავს კრიტერიუმებს, რომლებიც პროგნოზირებენ გამოსავალს. ისინი საკმაოდ ჰგვანან, გლაზგოს მასშტაბი უფრო მარტივია რვა კრიტერიუმის გამოყენებით, ვიდრე 11. ორივე დადასტურებული იყო, თუმცა რანსონის ვალიდაცია დადასტურდა უპირატესად ალკოჰოლით გამოწვეული პანკრეატიტის ნიმუშში, ხოლო გლაზგოს სკალა დადასტურებული იყო პაციენტებში როგორც ალკოჰოლით, ასევე ნაღვლის კენჭებით გამოწვეული პანკრეატიტით. რანსონის კრიტერიუმი გამოიყენება სიმძიმისა და სიკვდილობის რისკის შესაფასებლად, რომელიც ჰოსპიტალიზაციის საწყის ეტაპზე იყო 2, რაც იმას ნიშნავს, რომ ნაკლებად სავარაუდო იყო ამ პაციენტში პანკრეატიტის მძიმე მიმდინარეობა. როდესაც სამი ან მეტი კრიტერიუმი დადებითია, რანსონის შკალის მიხედვით პანკრეატიტის მძიმე მიმდინარეობა გართულებული პანკრეასის ნეკროზით შეიძლება პროგნოზირდეს.

პაციენტი მოთავსდა შინაგანი მედიცინის ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში და დაწყებული იქნა რეჰიდრატაცია ჰიპოვოლემიის გამოსასწორებლად და ჰემოდინამიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად. დაიწყო ტკივილის მართვა ანალგეტიკებითა და ლებინების საწინააღმდეგო საშუალებებით. პაციენტის ალკოჰოლიზმის ისტორიის გათვალისწინებით, მულტიდისციპლინური მიდგომა განხორციელდა ალკოჰოლის მოხმარების შეწყვეტის თაობაზე. აეკრძალა პერორალური კვება.

საინტერესოა, რომ ადეკვატური ჰიდრატაციისა და მწვავე პანკრეატიტის კლინიკური გაუმჯობესების მიუხედავად, სინუსური ტაქიკარდია რჩებოდა მომდევნო დღეებშიც, რის გამოც გადაღებულ იქნა ეკგ-დინამიკაში, სადაც გამოვლინდა ინვერსიული T-კბილები გულმკერდის განხრებში. აქედან გამომდინარე, საჭიროდ ჩაითვალა ექოკარდიოგრაფია. ექოკარდიოგრაფიით გამოვლინდა ზომიერი სისტოლური დისფუნქცია და რეგიონული კუმშვადობის მოშლა LALAD-ის აუზში, განდევნის ფრაქცია 35%. შეკვეთილ იქნა გულის ბიომარკერები, რომლებმაც აჩვენეს ტროპონინ I-ის მომატებული დონე. გულის ფერმენტების და ექოკარდიოგრაფიის საფუძველზე, გამოიკვეთა ორი შესაძლო დიაგნოზი: ათეროსკლეროზული კორონარული დაავადება და ტაკოცუზო კარდიომიოპათია. დიფერენცირების მიზნით საჭიროდ ჩაითვალა კორონაროგრაფია. კორონაროგრაფიით გამოირიცხა კორონარული არტერიის ათეროსკლეროზული დაზიანება. შესაბამისად, დაისვა ტაკოცუზო კარდიომიოპათიის დიაგნოზი.

ტაკოცუზო კარდიომიოპათია იგივე აპიკალური ბალონირების სინდრომი, ან სტრესით გამოწვეული კარდიომიოპათია, ჩვეულებრივ გვხვდება ხანდაზმულ ქალებში უეცარი ინტენსიური ემოციური ან ფიზიკური სტრესის შემდეგ. გამოხატულია მარცხენა პარკუჭის მწვერვალის ჰიპო-აკინეზია შეანხული ბაზალური კუმშვადობის ფონზე, რაც ქმნის ვიწროყელიანი ქილის (ტაკოცუზოს) ფორმას, რომელიც გამოიყენება იაპონიაში რვაფეხების დასაჭერად (სურ. #1). თავდაპირველად აღწერილია იაპონიაში, იგი სულ უფრო მეტად არის აღიარებული სხვაგან გადაუდებელი გულის კათეტერიზაციისა და ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში არაკარდიული მდგომარეობის დროს.

სტრესით გამოწვეული კარდიომიოპათია, რომელიც ჩვეულებრივ გავლენას ახდენს პოსტმენოპაუზურ ქალებზე და ადრე არსებული ფსიქიკური დაავადებების მქონე პირებზე, ახასიათებს მწვავე კორონარული სინდრომის მსგავსი სიმპტომები. ძლიერი ემოციური სტრესი იწვევს სიმპათიკური ნერვული სისტემის გააქტიურებას, კატექოლამინების დონის მატებას და გულის დისფუნქციას.

კლინიკური მანიფესტაცია მოიცავს ფილტვის შემუშვებას, ჰიპოტენზიას და გულმკერდის ტკივილს ეკგ ცვლილებებით, რომელიც ჰგავს მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტს.


მარცხენა პარკუჭის დისფუნქცია შეესაბამება კონკრეტული არტერიის რეგიონს და, როგორც წესი, ქრება რამდენიმე დღეში ან კვირაში. ცხოველთა მოდელები და პარკუჭის ბიოფსიებით ვარაუდობენ,

რომ ეს მწვავე კარდიომიოპათია შეიძლება გამოწვეული იყოს სიმპათიკური ნერვული სისტემის ინტენსიური გააქტიურებით და მიოკარდიუმის ავტონომიური ინერვაციის ჰეტეროგენურობით, დიფუზური მიკროვასკულარული სპაზმით და/ან კატექოლამინების პირდაპირი ტოქსიკურობით. კორონარული ანგიოგრაფია საჭიროა მწვავე კორონარული ოკლუზიის გამოსარიცხად. ტიპური სიმპტომებია გულმკერდის ტკივილი, ქოშინი, სინკოპე და არითმიები, ხშირად სტრესული მოვლენის შემდეგ. დიფერენციალური დიაგნოზი მოიცავს მწვავე კორონარული არტერიის სინდრომს, მწვავე მიოკარდიტს და სხვა სახის კარდიომიოპათიას.


კორონარული არტერიების დაავადების (კად) და ტაკოცუბო კარდიომიოპათიის დიფერენცირება შეიძლება იყოს რთული, რადგან მათ აქვთ გარკვეული კლინიკური მსგავსება, როგორცაა გულმკერდის ტკივილი, მომატებული გულის ბიომარკერები და ცვლილებები ეკგ-ზე, როგორცაა ST-სეგმენტის ელევაცია და T-კვილის ინვერსია. ყველაზე მნიშვნელოვანი კვლევა, რომელსაც შეუძლია განასხვავოს ეს ორი დაავადება, არის კორონარული ანგიოგრაფია, რომელსაც შეუძლია დაამტკიცოს ან გამორიცხოს ობსტრუქციული კორონარული დაავადება. ობსტრუქციული კორონარული დაავადების არარსებობა მიუთითებს ტაკოცუბო კარდიომიოპათიის არსებობაზე.

არცერთი თერაპიული მეთოდი არ არის დადასტურებული, მაგრამ გონივრული სტრატეგიები მოიცავს ნიტრატებს ფილტვის შეშუპებისთვის, ინტრაორტულ ბალონურ ტუმბოს საჭიროების შემთხვევაში, კომბინირებული ალფა და ბეტა ბლოკერები ვიდრე სელექციური ბეტა ბლოკერები, თუ ჰემოდინამიურად სტაბილურია, და მაგნიუმის არითმიებისთვის, რომლებიც დაკავშირებულია QQT-ინტერვალის გახანგრძლივებასთან. ანტიკოაგულაცია ჩვეულებრივ არ ინიშნება პარკუჭის რუპტურის შემთხვევის გამო. მიუხედავად იმისა, რომ პროგნოზი ზოგადად კარგია, რეციდივები აღწერილია პაციენტებში 10%-მდე. გარდა ამისა, კორონარული ანგიოგრაფია გადამწყვეტ როლს თამაშობს ამ ორი მდგომარეობის დიფერენცირებაში მნიშვნელოვანი კორონარული არტერიის დაავადების არარსებობის გამოვლენით.

მიუხედავად იმისა, რომ პაციენტთა უმეტესობა გამოჯანმრთელდება 1-2 კვირაში, ზოგიერთ შემთხვევაში ხდება რეციდივები, ხოლო საავადმყოფოში ლეტალური გამოსავლის ალბათობა უფრო მაღალია კარდიოგენული შოკით გართულების შემთხვევაში. რეციდივების მაჩვენებელი წელიწადში 2-4%-ია, საავადმყოფოში სიკვდილიანობის მაჩვენებელი კი 5%-მდე აღწევს.



სურათი #1



Takotsubo Cardiomyopathy (Case Report)

K.Kapanadze, E. Shengelia, K. Solomnishvili

This case report presents the clinical profile, diagnostic evaluation, and management of a 55-year-old male patient with a history of alcoholism who presented to the emergency department with acute epigastric pain radiating to the back. The case highlights the challenges of diagnosing acute pancreatitis in the context of alcoholism and emphasizes the importance of early intervention to improve patient outcomes. The importance of this case is further increased by the development of Takotsubo cardiomyopathy during the patient’s hospital stay.

Acute pancreatitis is a severe inflammatory condition of the pancreas, often triggered by various factors, including excessive alcohol consumption. This case report describes the presentation, diagnostic approach, and management of acute pancreatitis in a patient with a history of chronic alcohol abuse.

Takotsubo cardiomyopathy, also referred to as stress-induced cardiomyopathy, is a rare, stress-induced reversible dysfunction of the left ventricle that is clinically indistinguishable from acute coronary syndromes. This case report describes acute pancreatitis as a triggering event for the development of this type of cardiomyopathy.

ლიტერატურა:

1. Pelliccia F, Kaski JC, Crea F, Camici PG. Pathophysiology of Takotsubo Syndrome. *Circulation*. 2017 Jun 13;135(24):2426–41.
2. Ghadri JR, Wittstein IS, Prasad A, Sharkey S, Dote K, Akashi YJ, et al. International Expert Consensus Document on Takotsubo Syndrome (Part I): Clinical Characteristics, Diagnostic Criteria, and Pathophysiology. *European Heart Journal* [Internet]. 2018 Jun 7;39(22):2032–46. Available from: <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC5991216>.
3. Takotsubo Cardiomyopathy | Concise Medical Knowledge [Internet]. www.lecturio.com. Available from: <https://www.lecturio.com/concepts/takotsubo-cardiomyopathy>.
4. Medina de Chazal H, Del Buono MG, Keyser-Marcus L, Ma L, Moeller FG, Berrocal D, et al. Stress Cardiomyopathy Diagnosis and Treatment. *Journal of the American College of Cardiology*. 2018 Oct;72(16):1955–71.
5. Komamura K. Takotsubo cardiomyopathy: Pathophysiology, diagnosis and treatment. *World Journal of Cardiology*. 2014;6(7):602.

შემთხვევის აღწერა

მამანტი როგავა „ჯანმრთელობის ცენტრი“



მედიცინაში ბევრი საინტერესო და არაორდინალური შემთხვევა არსებობს, რომელიც არ ექვემდებარება არანაირ მეცნიერულ კანონებს, პირიქით, ზოგჯერ უპირისპირდება კიდევაც მას. გვსურს, მოკლედ გაგაცნოთ ძალზე იშვიათი და საინტერესო შემთხვევის შესახებ და სათანადო პატივი მივაგოთ დიდებულ პიროვნებას, ორი შვილისა და სამი შვილიშვილის ბებიასა და ჩვენს ღირსეულ კოლეგას ექიმ-თერაპევტს, ქალბატონ ლიანა კვიციანიას (04.08.1941 – 20.05.2023 წ.წ.). მან მთელი ცხოვრება გაატარა თავისი რაიონისა და ქალაქის მოქალაქეთა ჯანმრთელობისთვის ზრუნვაში, იყო ძალიან თავმდაბალი, უკონფლიქტო და დაუზარელი პიროვნება. ის 45 წელი ემსახურა მედიცინას, ბოლო წლებში მუშაობდა ქ. ზუგდიდის რაიონული საავადმყოფოს მიმღები განყოფილების გამგედ, რთულ

პერიოდში უწყვედა მუშაობა, 1992 წლის მიმდინარე მოვლენების დროს და შემდგომ პერიოდში 24 საათიან რეჟიმში მუშაობამ, ბუნებრივია ცუდად იმოქმედა მის ჯანმრთელობაზე და ნელ-ნელა დაეწყო გულ-სისხლძარღვთა პრობლემები. აქვე გვსურს მაღლიერებით მოვიხსენიოთ მისი მკურნალი ექიმები: მედიცინის აკადემიური დოქტორები: თ. ბოჭორიშვილი (აკად. ნ. ყიფშიძის სახ. თერაპიის ეროვნული ცენტრი), ლ. რიგვავა, მ. მესხია, დ. ქუთათელაძე, კ. ლაცუზბაია, ა. ფრანგიშვილი და განსაკუთრებით კარდიოქირურგიის განყოფილების გამგე პროფ. ზვიად ბახუტაშვილი, რომელმაც უშუალოდ დაიწყო გულის პირდაპირი მასაჟი (აკად. გ. ჩაფიძის სახ. გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი).

ანამნეზი: პაციენტს 2008 წლიდან აღენიშნებოდა არტერიული ჰიპერტენზია (160/100 მმ. ვერ. წყ. სვ.). სისტემურად მკურნალობდა კონკორით, ამლოკარდით, კარდიომაგნილით. ამავე პერიოდიდან აღენიშნებოდა მოჭერთი ხასიათის ტკივილი მკერდის ძვლის უკან. სტაციონარში შემოსვლისას ობიექტურად: გულის არე დახედვით უცვლელი, გულის საზღვრები გადიდებული არ იყო, აუსკულტაციით - ტონები ზომიერად მოყრუებული, P-60 წთ-ში, რითმული, არტ. წნევა 140/90 მმ. ვერ. წყ. სვ. მაგისტრალურ არტერიებზე, ტერფის დორსალურ არტერიაზე პულსაცია კარგი ავსებისა და დაჭიმულობის ორივე მხარეზე. გულმკერდის ფორმა ნორმალური. პერკუსიით - ფილტვების ნათელი ხმიანობა, აუსკულტაციით - ვეზიკულური სუნთქვა. სტაციონარში შემოსვლისას აღენიშნებოდა ჩივილები: ტკივილი მკერდის ძვლის უკან ირადიაციით ორივე ბეჭში, გულმკერდის მარჯვენა ნახევარში სიარულისას სწორ გზაზე 200-300 მეტრი მანძილის გავლის დროს, კიბეზე 2-3 სართულის ასვლის შემდეგ. ზემოთ აღწერილი ტკივილების კუპირება ხდებოდა შესვენებით და ნიტროგლიცერინის სუბლინგვალურად მიღების შემთხვევებში. პაციენტს 2006 წლიდან ჰქონდა დატვირთვის სტენოკარდიის იშვიათი ეპიზოდები. ამავე პერიოდიდან აღენიშნებოდა არტერიული წნევის მომატება (170/100 მმ. ვერ. წყ. სვ.), რის გამოც იგი მკურნალობდა ამბულატორიულად თერაპიის ეროვნულ ცენტრში. აღნიშნულ სამედიცინო დაწესებულებაში ლიპიდური სპექტრის მკვეთრი ცვლილებების ფონზე დამატებით დაენიშნა ატორვასტატინი და ექიმის რჩევით ჩატარდა კორონოგრაფიული კვლევა. ამ მიზნით პაციენტი მოთავსდა სტაციონარში. სტაციონარული მკურნალობის ფონზე თანდათან გაუარესდა მდგომარეობა, ტკივილის შემთხვევებმა იმატა, ამავე დროს ტოლერანტობა ფიზიკური დატვირთვისადმი შემცირდა. კლინიკაში თანდათან ჩამოყალიბდა სტაბილური სტენოკარდია III ფუნქც. კლ. ეკგ-ზე, რიტმი სინუსური, T - კბილის არასპეციფიკური ცვლილებები V₃-V₆ განხრებში. 09.06.2010 წელს გაუკეთდა სელექციური კორონოგრაფია და ვენტრიკულოგრაფია, რის შედეგად დადგინდა მარცხენა კორონარული არტერიის წინა დასწვრივი ტოტის ოკლუზია პროქსიმალურ სეგმენტში, დიაგონალური ტოტის ოკლუზია, შემომხვევი ტოტის

დიფუზიური დაზიანება, ჰემოდინამიურად მნიშვნელოვანი ლოკალური შევიწროების გარეშე, მარგინალური ტოტის დიფუზიური დაზიანება და პროქსიმალურ სეგმენტში მკვეთრი (90-95%) შევიწროება, მარჯვენა კორონარული არტერიის დიფუზიური დაზიანება და შუა სეგმენტში მკვეთრი (90-95%) შევიწროება. კარდიოქირურგიული კონსილიუმის მიერ რეკომენდირებული იქნა კორონარული შუნტირების ჩატარება.

2010 წლის 22 ივნისს, დილით ჩატარდა აორტო-კორონარული შუნტირების ოპერაცია. იგი მიმდინარეობდა გართულებების გარეშე. იმავე დღეს 17:30 საათზე განვითარდა მკვეთრი ბრადიკარდია და დაფიქსირდა ასისტოლია. პალატაში დაიწყო რენიმაციული ღონისძიებები და გაკეთდა რეთორაკოტომია, დაეწყო გულის პირდაპირი მასაჟი, ექიმები ერთმანეთს ცვლიდნენ. პაციენტი გაყვანილ იქნა საოპერაციო ბლოკში. ასისტოლიიდან 37 წუთის შემდეგ აღდგა გულის მუშაობა, ხოლო 23:00 საათზე ავადმყოფი შეყვანილ იქნა ინტენსიური თერაპიის პალატაში. ჰემოდინამიკის სტაბილიზაცია ხდებოდა ადრენალინის, დობუტამინისა და ნორადრენალინის მაღალი დოზების ფონზე.

ნათელი გონების, სტაბილური ჰემოდინამიკისა და დამაკმაყოფილებელი რესპირაციული პარამეტრების ფონზე 26.06.2010-ში 17:00 საათზე გაუკეთდა ექსტუბაცია. თორაკალური დრენაჟები ამოღებულ იქნა 21:00 საათზე. 28 ივნისს სუნთქვის მწვავე უკმარისობის გამო გადაყვანილ იქნა მართვით სუნთქვაზე. იმავე დღეს გაუკეთდა მარჯვენა პლევრის ღრუს პუნქცია და მიღებულ იქნა 700 მლ ჰემოლიზური სითხე. შემდგომ დღეებში თორაკალური დრენაჟების ჭრილობიდან ჰქონდა დიდი რაოდენობის გამონაჟონი. 2 ივლისს, ნათელი გონების ფონზე გაუკეთდა ექსტუბაცია. 3 ივლისს გაკეთდა მარჯვენა პლევრის ღრუს პუნქცია და მიღებულ იქნა 700 მლ ჰემოლიზური სითხე. 5 ივლისს საერთო სისუსტისა და ასპირაციის გამო კვლავ გადაყვანილ იქნა მართვით სუნთქვაზე, ამავე დღეს მარცხენა პლევრის ღრუს პუნქციით მიღებულ იქნა 700 მლ ჰემოლიზური სითხე. 8 ივლისს დაედო ტრაქეოსტომა ტრაქეოტომიული მილით. 12 ივლისს გაუკეთდა ორივე პლევრის ღრუს პუნქცია. მარჯვენა მხრიდან მიღებულ იქნა 1000 მლ, ხოლო მარცხნივ 700 მლ, სატურაცია 82. ინტენსიურ პალატაში პაციენტს უტარდებოდა მკურნალობა ზინაცეფით, ტიენემით, ვანკოვერით, ბაქტამედით, აველოქსით, ასპირინით, ჰეპარინით, კორდარონით, კლექსანით, ავეკორით, ციტოკოლინით, ჰეპამერციტით, ფევარინით, ცერუკალით, ლან-300-ით, ვოლტარენის სანთლებით, ზანტაკით, კალიუმის მარილით, ფუროსემიდით.

გულის ულტრაბგერითი გამოკვლევის მონაცემები (27.07.2010წ) - მარცხენა პარკუჭის დიასტოლური ზომა: 4,6 სმ, მარჯვენა პარკუჭის დიასტოლური ზომა: 3,4 სმ, მარცხენა წინაგულის (წინა-უკანა) ზომა 3,5 სმ; მარჯვენა წინაგულის - 3,0 სმ; აორტის ფუძე - 4,1 სმ; ფილტვის ღერო - 2,2 სმ; პარკუჭთა შუა ძგიდის სისქე - 1,25 სმ; მარცხენა პარკუჭის გადატყორცვის ფრაქცია - 55%; მარცხენა პარკუჭის ფრაქციული დამოკლება - 30%; პერიკარდიუმის ღრუში უმნიშვნელო რაოდენობის სითხე, მარცხენა პლევრის ღრუში 300 მლ სითხე;

სისხლის საერთო ანალიზი: ერითროციტები - $3,7 \times 10^3$; თრომბოციტები 286×10^3 ; ლეიკოციტები - 7×10^3 ; ლეიკოციტარული ფორმულა: ჩხირბირთვიანები - 1%; სეგმენტბირთვიანები - 73%; ეოზინოფილები - 2%; ლიმფოციტები - 20%; მონოციტები - 4%; ედს - 25მმ/სთ; PpU - 27; Pi - 21; INR - 1,3; PI - 81%; ფიბრინოგენი - 3,9 მოლ/ლ; Na + 136 მმოლ/ლ; შაქარი უზმოზე - 188, ჭამის შემდეგ 2 საათში 192; კრეატინი - 101; შარდის საერთო ანალიზი: ხვედრითი წონა - 1015; მჟავე; ბრტყელ-ეპითელიური 20-30 მხ. არე; მარილები: შარდმჟავა კრისტალები მცირე რაოდენობით; ეკგ-რითმი სინუსური, სწორი 76 წთ-ში, T - კბილები III, V - განხრებში უარყოფითი, ვილსონის განხრებში დაბალი და გაბრტყელებული.

პაციენტი კლინიკიდან გაეწერა ოპერაციიდან 37-ე დღეს. ობიექტური მონაცემებით P-66 წთ-ში, T/A 100/60 მმ. ვერ. წყ. სვ. გულის ტონები მოყრუებული, ფილტვებში ვეზიკულური სუნთქვა, მუცელი რბილი, პალპაციით უმტკივნეულო, ღვიძლი და ელენთა ნეკნთა რკალს არ სცილდებოდა, არ იყო გადიდებული, მშვიდი ძილი, აქტიური მოძრაობა, ტკივილების გარეშე, გუნება-განწყობა ნორმალური.

პაციენტი თითქმის ერთი წლის განმავლობაში მკურნალობდა ინტენსიურად და იცავდა ზომიერი ფიზიკური დატვირთვის რეჟიმს, იტარებდა წნევის, სისხლის, შაქრისა და ლიპიდური სპექტრის მონაცემების მონიტორინგს დანიშნულების შესაბამისი მკურნალობის ფონზე. შემდგომ იგი დაუბრუნდა სამუშაო ადგილს, იყო აქტიური, თავს გრძნობდა დამაკმაყოფილებლად ასაკის შესაბამისად და დამსახურებულად გავიდა კუთვნილ პენსიაზე.

ქალბატონ ლიანას შვილების ყურადღება არ აკლდა, მკურნალობდა ექიმების მეთვალყურეობით. 2017 წელს ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგად გარდაეცვალა მეუღლე, რომელიც

ძლიერ განიცადა და მოკლე დროში მკვეთრად დაამძიმა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. ქალბატონი ლიანა ყოველთვის ლოცვითა და დიდი მადლიერებით იხსენებდა და ეხმიანებოდა თავის მკურნალ ექიმებს.

2023 წლის 26 აპრილს 05:18 საათზე ჯანმრთელობის უეცარი გაუარესების გამო ქალბატონი ლიანა მძიმე მდგომარეობაში მოთავსდა ქ. ქუთაისის რეფერალურ საავადმყოფოში. პაციენტი იყო ადინამიური, აპათიური, არ იყო კონტაქტური, აღენიშნებოდა ქოშინი, ციანოზი, ტაქიპნოე, ხველა, სხეულის ტემპერატურის მატება, ოფლიანობა T/A 140/80 მმ. ვერ. წყ. სვ. პულსი - 99, არითმიული; SpO₂; R-30; T - 37,5c; ფილტვებში შესუსტებული სუნთქვის ფონზე ისმინებოდა მრავლობითი სველი წვრილბუმტუკოვანი ხიხინი, ქვედა წილებში კრეპიტაცია. პაციენტი ქუთაისის რეფერალურ საავადმყოფოში გადმოყვანილ იქნა ქ. ზუგდიდიდან სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის მიერ, მას შემდეგ რაც მას დაუდასტურდა ახალი კორონა ვირუსით გამოწვეული დაავადება (Covid - 19). პაციენტი სასწრაფოს მიერ მიყვანილ იქნა რეანიმაციულ განყოფილებაში შემდგომი გამოკვლევისა და მკურნალობის გასაგრძელებლად. გულმკერდის რენტგენოგრაფიული მონაცემებით გადიდებული იყო მარცხენა პარკუჭი და პულმონარული კონუსი. ფილტვების სურათი იყო გაძლიერებული, ჰილუსები გაგანიერებული სისხლძარღვების ჰიპერტენზიის ხარჯზე. ორივე ფილტვის ქვედა წილების პნევმატიზაცია იყო დაქვეითებული, გაძლიერებული ბრონქ-სისხლძარღვოვანი სურათი, კოსტოდიაფრაგმული სინუსები ბლაგვი ფორმის, ისახებოდა მცირე რაოდენობის სითხე.

კომპიუტერული ტომოგრაფიით (კტ) შუასაყარი იყო ცდომის გარეშე. გულის ზომები საგრძნობლად არ იყო გადიდებული, პერიკარდიუმის ღრუში სითხე არ ფიქსირდებოდა, აორტა, ფილტვის ღერო და არტერიები დილატაციის გარეშე. აორტის კედლებზე და კორონარულ არტერიებში ისახებოდა ათეროსკლეროზული პროცესი გაკირული ფოლაქების სახით. საყლაპავის სანათური პროქსიმალურ მესამედში იყო გაფართოებული. ტრაქეისა და შუასაყარის ლიმფური კვანძები გადიდებული არ იყო, ორივე ფილტვის პარენქიმაში სუბპლევრალურად და პერიპლარულად, ნატიფი ფიბროზული ცვლილებების ფონზე ვლინდებოდა მცირე კონსოლიდაციის კერების ნაწილი, რაც შეადგენდა ფილტვების საერთო მოცულობის 20%-ს. პლევრის ღრუში სითხე არ ისახებოდა. კომპიუტერული ტომოგრაფიის კვლევის შედეგად ფილტვებში გამოვლენდა ორმხრივი ანთებითი კონსოლიდაციის უბნები .

სისხლის საერთო ანალიზი: EBC -3,0; WBS - 15,8; HGB - 9,9; HCT - 29,3; ერითროციტის საშუალო მოცულობა - 97,7; ერითროციტებში ჰემოგლობინის შემცველობა - 33,0; ლიმფოციტები - 1,1; მონოციტები 0,7; გრანულოციტები - 14,6; თრომბოციტების საშუალო მოცულობა - 8,5; თრომბოციტების განაწილების ფართობი 17,4; ერითროციტების დალექვის სიჩქარე 58 მმ/სთ; ფიბრინის დეგრადაციის პროდუქტის (D დიმერი) განსაზღვრა - 3150,36; გაზებისა და ელექტროლიტური ბალანსი PH:7,518; PO₂:74; OCO₂:27,4; Na+138; K+3,1; Ca++0,99; CL:106; HCT:49; THB:16,7; CH+30,3; HCO₃-act:21,8; BE (ed) - 1,1; ალბუმინი სისხლის შრატში: 33,0; გლუკოზა უზმოზე - 150; მკურნალობის, ინტრავენური რკინისა და ციტოფლავინის ფონზე 05.05.2023 ფონზე: EBC - 73,3 მოიმატა, მაგრამ სამწუხაროდ შენარჩუნება ვერ მოხერხდა და ის 2,68-2,42 ფარგლებში მერყეობდა, კრეატინინი იყო 110-130-ის ფარგლებში.

რეანიმაციულ განყოფილებაში მიყვანისთანავე პაციენტს დაეწყო რესპირატორული მხარდაჭერა არაინვაზიური CPAP ნიღბით - I FIO₂-100% და სასიცოცხლო ფუნქციების უწყვეტი კარდიომონიტორინგი, ასევე დაენიშნა სათანადო მკურნალობა, თუმცა 28.04.2023 წლის 20:00 საათიდან მდგომარეობა გაუარესდა. არასტაბილური ჰემოდინამიკის გამო დაეწყო ვაზოპრესორული მკურნალობა. მიუხედავად ამისა 29.04.2023 წლის დილის 10:02 საათიდან მკვეთრად გაუარესდა მდგომარეობა, პაციენტს აღენიშნებოდა ტოტალური ციანოზი. პაციენტი გახდა უკონტაქტო. დაუყოვნებლივ ჩაუტარდა სწრაფი თანმიმდევრული ინტუბაცია და გადაყვანილ იქნა მართვით სუნთქვის SIMV რეჟიმზე (30.04.2023 წლის 12:00 სთ-ი). მდგომარეობა რჩებოდა უკიდურესად მძიმე. გრძელდებოდა მონიტორინგი და მკურნალობა. 2023 წლის 20 მაისს 00:45 საათზე მონიტორინგზე დაფიქსირდა ასისტოლია, ჩაუტარდა გულის არაპირდაპირი მასაჟი, გაგრძელდა ფილტვის ხელოვნური ვენტილაცია და ვაზოპრესორული მკურნალობა. გაუკეთდა SOL, ადრენალინი 0,18% (1,0+1,0+1,0+1,0) 5-7 წუთიანი ინტერვალით პროტოკოლის მიხედვით. მიუხედავად ჩატარებული ღონისძიებებისა გულის მუშაობის აღდგენა ვერ მოხერხდა და 2023 წლის 20 მაისის 07:05 საათზე კონსტატირებული იქნა ბიოლოგიური სიკვდილი.

სრული დიაგნოზი: ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადება (Covid-19), ვირუსი იდენტიფიცირებული [U07]; მიოკარდიუმის გადატანილი ძველი ინფარქტი [I25,2]; გულის

ჰიპერტენზიული ავადმყოფობა გულის (შეგუბებითი) უკმარისობა [111,0]; სუნთქვის მწვავე უკმარისობა [196,0]; ტვინის ინფარქტის შედეგები [169,0]; გულის შეგუბებითი უკმარისობა [150,0]; პლევრალური ექსუდატი, რომელიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში [190]; პნევმონია გამოწვეული სხვა დაუზუსტებელი ინფექციური აგენტებით [116,8]; გულის გაჩერება [146].

მკურნალმა ექიმმა პეტრე სადათიერაშვილმა, დაწესებულების მთავარმა ექიმმა გიორგი ბაბუნაშვილმა, ოლეგ კუჭუხიძემ და მთელმა რეანიმაციის გუნდმა ბევრი იბრძოლეს, თუმცა 13 წლის შემდეგ ქალბატონი ლიანას გულის უკვე მეორეჯერ ამუშავება ვერ შეძლეს.... ალბათ ამჯერად უფალმა ეს ასე გადაწყვიტა.

2010 წლის 22 ივნისს აორტო-კორონარული შუნტირების შემდეგ, რამდენიმე საათში განვითარებული ასისტოლიის დროს, გულის პირდაპირმა, 37 წუთის განმავლობაში ჩატარებულმა მასაჟმა და ექიმების მაღალმა პროფესიულმა გამოცდილებამ შედეგი გამოიღო - გული ამუშავდა და მან დაულალავად კიდევ 13 წლის განმავლობაში 2023 წლის 20 მაისამდე სიყვარულით იღვაწა.

სამწუხაროდ, 2023 წელს მძიმე და პროგრესირებადი პათოლოგიური მდგომარეობის ფონზე, მიუხედავად გადაუდებელი ღონისძიებების პროფესიულ დონეზე ჩატარებისა და მკურნალი ექიმების დიდი მცდელობისა და თავდადებისა, შეწყვეტილი გულის მუშაობის განახლება ვერ მოხერხდა - სიცოცხლე შეწყდა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ამაგდარი კოლეგის უმწიკლო სული!

M. Rogava
Center for Health

The heart stopped beating during the asystole that developed in a few hours after the aorto- coronary shunting. Nevertheless, the direct massage of the heart for 37 minutes and the high professional experience of the doctors produced results — the heart started beating again and it continued working tirelessly from 2010 to 2023, until on 20.05, i.e., for thirteen years. Unfortunately, in 2023, against the backdrop of a severe and progressive pathological condition caused by the new coronavirus disease (Covid-19), the interrupted work of the heart could not be resumed despite the great efforts of the treating doctors and all emergency measures implemented at a high professional level – the revival of the stopped heart turned out impossible. May God rest the immaculate soul of our colleague!

ხუტა პაჭკორია ექიმი, რომელმაც ღრმა კვალი დატოვა



ქართულ საზოგადოებას დააკლდა მამულიშვილი, სამედიცინო დარგს ექიმი ლევენდა, დიდი ინტერნისტი, ერუდიტი. თითქმის ნახევარი საუკუნეა მის სახელს უკავშირდება საქართველოში მთელი რიგი გასტრო-ენტეროლოგიური ნოზოლოგიების დიაგნოსტიკური მიგნებების დანერგვა. უიშვიათესი დაავადების დიაგნოსტიკა. მის მიერ 40-მდე სხვადასხვა იშვიათი დაავადება იქნა ამოცნობილი, მათგან ზოგიერთი პირველად არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოეთშიც. რუსმა კლინიკურმა იმუნოლოგებმა გაკვირვებულებმა ირონიულად ჰკითხეს პაციენტს: ეს დიაგნოზი საქართველოში დაგისვესო? შემდეგ დაადასტურეს და როგორც საკუთარი შემთხვევა ისე გამოაქვეყნეს. მისი დამსახურებაცაა რამდენიმე გასტრო-ენტერო-

ლოგიური პათოლოგიის, როგორც დიაგნოსტიკური, ისე მართვის პრინციპების დანერგვა. მისი საექიმო მოღვაწეობის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მისი მეგობარი პროფესორი ნათელა ბასიშვილი იგონებდა: ჩემი პაციენტთან, ნაკლებად ცნობილი ქართველი მწერალითან საკონსულტაციოდ მოვიწვიე ბატონი ხუტა. პაციენტი რომ წარუდგინე, გაიღიმა და დაიწყო მისი ნაწარმოებების ჩამოთვლა. მწერალმა გაბრწყინებული სახით შეხედა მას. სულ მაინტერესებდა, თუ არსებობს ისეთი მწერალი, პუბლიცისტი, ფილოსოფოსი, ვის შემოქმედებასაც იგი არ იცნობდა.

ბატონ ხუტას დიდი წვლილი მიუძღვის დიდი ქართველი ექიმების, ზოგჯერ დაუმსახურებლად მივიწყებულების პროფესიული ბიოგრაფიების შესწავლასა და გამოქვეყნებაში. ხუტა, როგორც ექიმი ყალიბდებოდა დიდი კლინიციისტების გვერდით: კონსტანტინე ვირსალაძე, ბაადურ რაჭველიშვილი, ნინო პეტრიაშვილი, ნინო ბარნაბიშვილი, გიორგი მხეიძე და სხვ. მის სახელს უკავშირდება საქართველოში მთელი რიგი გასტრო-ენტეროლოგიური ნოზოლოგიების დიაგნოსტიკური მიგნებების დანერგვა. როდესაც ხუტამ უიშვიათესი დაავადების დიაგნოზი დასვა, მაგონდება პროფესორ ვახტანგ მეუნარგიას სიტყვები: „მას აქვს რაღაც ისეთი, რასაც ქვია ალბათ დიდი ექიმობა“-ო. ეს ერთი შემთხვევა არ იყო.

მას ძლიერ უყვარდა კლასიკური და ქართული ხალხური მუსიკა. იყო როგორც ქართული ისე უცხოური ლიტერატურისა და პოეზიის თავყანისმცემელი. დიდად აფასებდა ტ. რანელის შემოქმედებას: „გამოჩენილ უცხოურ მწერალთა და მოაზროვნე პიროვნებათა ბიოგრაფიები ისე აშკარად არ იკვეთება ტერენტი გრანელთან, როგორც დანიელი თეოლოგის, ფილოსოფოსისა და მწერლის სიერენ კირკეგორის ცხოვრებისეულ თავგადასავლებსა და განცდებში – წერდა ის 2015 წელს.

ბატონი ხუტა აკაკის ძე პაჭკორია დაიბადა ქ. ზუგდიდში 1946 წლის 14 აპრილს. 1964-1971წწ სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე. 1975-78წწ ბატონი ხუტა სწავლობდა იმავე ინსტიტუტის ასპირანტურაში. ხოლო 1972-75წწ ბატონი ხუტა პაჭკორია მუშაობდა წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიას ამბულატორიის მთავარ ექიმად. 1978 წლიდან 2000-წლამდე იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სუბორდინატორთა ჰოსპიტალური თერაპიის კათედრის ასისტენტი. 2000 წლიდან იგი მუშაობდა აკად. ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის (რესპუბლიკური საავადმყოფოს) შინაგან სნეულებათა დეპარტამენტში გასტროენტეროლოგად. ბატონი ხუტა პაჭკორია არის 180-მდე სამეცნიერო ნაშრომის, აქედან – 9 მონოგრაფიის ავტორი გასტროენტეროლოგიასა და შინაგან მედიცინაში. იგი 1997 წლიდან იყო მედიცინის ისტორიკოსთა საერთაშორისო ასოციაციისა და ინტერნისტთა საერთაშორისო ასოციაციის

წევრი. 1992 წელს დაჯილდოვდა გრიგოლ მუხაძის საიუბილეო მედლით. 2002 წლიდან იყო ჟურნალ „შინაგანი მედიცინა და კარდიოლოგია XXI“-ს სარედაქციო კოლეგიის წევრი, სადაც გამორჩეულად და აქტიურად მონაწილეობდა, ხოლო 2009 წლიდან იყო ფაზისის აკადემიის წევრი. 2023 ფაზისის აკადემიამ დააჯილდოვდა სიგელით მეცნიერებაში გაწეული ღვაწლისათვის.

მეგობრები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და უსამძიმრებენ ნათესავებს, სამედიცინო საზოგადოებასა და კოლხეთის აკადემიის წევრებს სასიქადულო მამულიშვილის ბატონი ხუტა პაჭკორიას გარდაცვალების გამო.

ღმერთო ნათელში ამყოფე კალმობდილი მამულიშვილის - დიდი ექიმის უმწიკვლო სული!

*მეგობრების სახელით
მამანტი როგავა*

**Khuta Pachkoria – A Doctor with Remarkable Reputation
(1946 - 2023)**

The Georgian society lost a great person and the medical field lost a doctor-legend, a great internist, an erudite. For almost half a century his name was linked to introduction of new findings of a number gastroenterological nosologies in Georgia. About 40 different diseases were identified by him, some of them for the first time not only in Georgian but also in the entire Soviet Union.

Mr. Pachkoria was fond of Georgian classical and folk music as well as foreign literature and poetry. He is the author of 180 scientific works and 9 monographies. Since 1997 he has been a member of the international Association of Historians of Medicine and the international association of internists. Since 2002 he has been a member of editorial board of the magazine “Internal Medicine and Cardiology XX”. Since 2009 he became a member of Kolkheti academy where he was awarded with the certificate for his achievements in the science in 2023.

His friends and colleagues express their deep condolences to his family and relatives. Let him rest in peace.

*On behalf of his friends,
Mamanti Rogava*

ქართული მედიცინის პატრიარქის ბატონ ნოდარ ყიფშიძის დაბადების ასი წლისთავი!



ქართული მედიცინის ფლაგმანის, კლინიკური და სამკურნალო ხელოვნების დიდი მეცნიერის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორისა და პროფესორის, საქართველოს ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დამაარსებლისა და მისი უცვლელი დირექტორის, თერაპიის ეროვნული ცენტრის პრეზიდენტის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, სსრკ მედიცინის აკადემიის აკადემიკოსის, ბატონ ნოდარ ნიკოლოზის ძე ყიფშიძის დაბადებიდან 100 წელი გავიდა!

გულითადად ვულოცავთ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს მის დიდ ოჯახს, შვილებსა და შვილთა შვილებს, საქართველოს სამედიცინო და სამეცნიერო საზოგადოების თითოეულ წევრს და

მომავალ თაობებს, რომლებათთვის მუდამ საამაყო და მისაბაძი იქნება მისი დაუღალავი სწრაფვა ახლის ძიებასა და მათი საფუძვლიანი გამოყენებისათვის. ყოველივე ეს ხელს უწყობდა ავადმყოფთა განკურნებასა და მათში სიცოცხლის რწმენის დამკვიდრებას. აქვე გვინდა ხაზი გავუსვათ ბატონ ნიკოლოზის ყიფშიძის ოჯახის ღვაწლს ქართული მედიცინის მიღწევებში, მათ წარმოჩენასა და დამკვიდრებაში. ეს ძვირფასი ტრადიცია დღესაც ღირსეულად გრძელდება მისი შვილიშვილის, ბატონი ნიკასა და მისი შვილის ნოდარ ყიფშიძის მხრიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ექიმის პროფესია და მკურნალობის ხელოვნება, რომელიც არ ამცირებს ინდივიდის სიცოცხლისთვის განკუთვნილ და ღვთისგან ბოძებულ დროს, შეიძლება შეფასდეს, როგორც სიცოცხლის გახანგრძლივების ხელოვნება, რაც ასე უხვად ჰქონდა ბოძებული და ხელეწიფებოდა სწრაფად მკურნალ ექიმს აკადემიკოს ნოდარ ყიფშიძეს. მას დიდი წვლილი მიუძღვის ახალ თაობათა - ქართველ ინტერნისტთა და კარდიოლოგთა პროფესიული ნიშნულის მსოფლიო ღონემდე ამაღლებისათვის.

ჩვენ გვეამაყებოდა და გვქონდა უდიდესი პატივი გვემუშავა მის გვერდით, გაგვეზიარებინა ახალ-ახალი წარმატებები, სხვადასხვა დაავადებათა როგორც დიაგნოსტიკურ ისე სამკურნალო მართვის ხელოვნებაში, უახლეს ტექნოლოგიათა და მედიკამენტოზურ სიახლეთა გამოყენებისა და მათი ფართო დანერგვის პერსპექტივით.

ბატონი ნოდარ ყიფშიძე დაიბადა 1923 წლის 12 ოქტომბერს, გამოჩენილი კლინიციისტი და მეცნიერის, აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის ოჯახში. 1946 წელს მან წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. შემდგომ იგი დატოვეს საფაკულტეტო თერაპიის კლინიკაში ორდინატორად. 1948 წელს კი იგი ჩაირიცხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქირურგიისა და ჰემატოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1957-1959 წლებში მუშაობდა ნიუ-იორკში - გაერთიანებული ერების ორგა-

ნიზაციაში სამეცნიერო კონსულტატად, 1960-1963 წლებში კი ჟენევაში – მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციაში დეპარტამენტის დირექტორად.

1952 წელს ნოდარ ყიფშიძემ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და იგი აირჩიეს თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის თერაპიის კათედრის ასისტენტად, შემდეგ კი დოცენტად.

1954 წელს ბატონი ნ. ყიფშიძე ჩაირიცხა რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის დოქტორანტურაში, სადაც 1962 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. მომდევნო წელს ბატონი ნოდარ ყიფშიძე ე. ჩაზოვთან, ი. შხვაცაბაიასთან და ლ. მიასნიკოვთან ერთად ასრულებს შრომას, რომელიც საბჭოთა კავშირში პირველი სერიოზული ნაშრომი (წიგნი) იყო, რომელშიც აღწერილი იყო მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის კლინიკური გამოვლინებები, გართულებები და პრობლემები.

1963 წელს ბატონი ნოდარ ყიფშიძეს მიენიჭა პროფესორის, 1966 წელს კი საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

ბატონი ნოდარ ყიფშიძის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა მის მეუღლეს, პროფესორს ექიმს, გამორჩეული სილამაზისა და დიდებული ბუნების ქალბატონ ბუბა ჭვიშვილს. მათ შეეძინათ ორი შვილი, ნინო და ნიკოლოზი და ოთხი შვილიშვილი. ქალბატონი ნინო გამორჩეული მხატვარ-ფერმწერია, ხოლო ბატონი ნიკოლოზი (ნიკა) მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; ბატონი ნიკა იყო საქართველოს პარლამენტის წევრი. ამიერკავკასიაში ყველაზე დიდი, გადაუღებელი თერაპიის ცენტრის გენერალური დირექტორი. იგი ადრე მუშაობდა და დღესაც მუშაობს ამერიკის შეერთებულ შტატებში და ითვლება ერთ-ერთ წამყვან სპეციალისტად ინტერვენციულ კარდიო-ანგიოლოგიაში.

ბატონი ნოდარ ყიფშიძე ქართველ თერაპევტთა და კარდიოლოგთაგან ერთ-ერთია, რომელსაც მინიჭებული აქვს ყველაზე მეტი და ყველაზე მაღალი რანგის წოდებები, პრემიები, მედლები და სიგელები. ბატონი ნოდარი გახლდათ სსრკ და საქართველოს სახელმწიფო პრემიის ორგზის ლაურიატი (1981 და 1988 წწ.).

1986 წ. მას მიენიჭა აკადემიკოს ა. მიასნიკოვის სახელობის პრემია. 2003 წელს კი დაჯილდოვდა აკადემიკოს ე. ჩაზოვის სახელობის ოქროს მედლით.

ბატონი ნოდარი არჩეული იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის და რუსეთის სამედიცინო აკადემიის ნამდვილ წევრად. ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, გერმანიისა და შვედეთის ინტერნისტთა აკადემიების საპატიო წევრად.

1980 წლიდან ბატონი ნოდარი ერთდროულად გახლდათ საქართველოს ინტერნისტთა, გერონტოლოგ-გერიატრთა და ათეროსკლეროზის ასოციაციის სამეცნიერო პრაქტიკული საზოგადოების პრეზიდენტი. პოლონეთის სამეცნიერო აკადემიის მიერ არჩეულ იქნა ასოცირებულ პრეზიდენტად. იგი იყო თბილისის საპატიო მოქალაქე. დაჯილდოებული იყო საბჭოთა კავშირის შრომის წითელი დროშის ორი და ხალხთა მეგობრობის, საქართველოს ღირსების და ბრწყინვალეების ორდენებით. იგი იყო 650-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. 22 მონოგრაფიის და 22 გამოგონების ავტორი. მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია 46 სადოქტორო და 120-მდე საკანდიდატო დისერტაცია.

მეცნიერებაში განსაკუთრებულ სახელსა და ავტორიტეტს მხოლოდ ნოვატორები და რეფორმატორები იხვეჭენ. ბატონი ნოდარ ყიფშიძის გვარი შესულია მსოფლიო ინფორმაციული ინსტიტუტის მიერ წარდგენილ წიგნში, რომლის სახელწოდებაცაა „500 დიდი გონება XXI-ე საუკუნის დასაწყისისათვის“.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ 1961 წელს ამერიკიდან დაბრუნებულმა ახალგაზრდა ექიმმა, მაგრამ უკვე კარგად ცნობილმა მეცნიერმა, პროფესორმა ნოდარ ყიფშიძემ საფუძველი ჩაუყარა თბილისში ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დაარსებას, რომელიც უშურველად და დაუღალავად ემსახურებოდა ჩვენს ქვეყ-

ანას. ინსტიტუტი სსრკ მთელ სივრცეში და უცხოეთში ცნობილი იყო თავისი საქმიანობით, ნოვატორული და სამეცნიერო შრომებით. სამწუხაროდ დღეს ინსტიტუტი ცნობილ გარემოებათა გამო დაიხურა და აღარ არსებობს.

ბატონი ნოდარის ინიციატივითა და ძალისხმევით, თბილისში პირველად თერაპიის ინსტიტუტში 1966 წელს დაარსდა და შემდგომ მთელ საქართველოში ჰპოვა გავრცელება გულის კუნთის ინფარქტის დროს სადღეღამისო ელექტროკარდიოგრაფიულმა მონიტორინგმა, რამაც მრავალი ასეულობით ადამიანი გამოიყვანა კლინიკური სიკვდილიდან და სიცოცხლე შეუნარჩუნა მათ. ხოლო ენზიმოდაგნოსტიკის და ტროპონინების ექსპრეს-მეთოდების, სისხლის თრომბო-ემბოლიური აქტივობის და ათეროსკლეროზის, ექოკარდიოგრაფიული კვლევების და სისხლის ლიპიდური სპექტრის კლასიფიკაციის დანერგვის საფუძველზე ეს მეთოდები პირველად ასევე ბატონ ნოდარ ყიფშიძის მიერ არის დანერგილი. სიკვდილიანობის საკმაო პროცენტმა, აღნიშნული მეთოდების ფართედ დანერგვის შედეგად, მწვავე ინფარქტის შემთხვევებში 30%-დან 5%-მდე იკლო.

ბატონი ნოდარის მრავალი მიმდევარის თაოსნობით საქართველოში ჩამოყალიბდა კარდიოლოგიური სამსახურის მძლავრი და სრულფასოვანი სისტემა, რომელიც დღეს 16-ზე მეტ ცენტრს ითვლის თბილისსა, ქუთაისსა, ზუგდიდსა და ბათუმში. მათ შორის მრავალი ცენტრი აღჭურვილია დიაგნოსტიკის და მკურნალობის თანამედროვე მეთოდების ფართე სპექტრით: კორონაროგრაფიის, სტენტირების, ბევრგან შუნტირების და საშიში არითმიების დროს გულზე ჩატარებული ინვაზიური ინტერვენციის საკმაოდ მაღალი შესაძლებლობებით. ამიტომაც არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ ამიერკავკასიაში ქართული კარდიოლოგიური სამსახური აღიარებულია და ერთ-ერთ წარმატებულ სამეცნიერო და კლინიკურ ცენტრად აღიქმებოდა, ხოლო ბატონი ნოდარი კი მიეკუთნებოდა მსოფლიოს ცნობილ კარდიოლოგთა პლეადას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ მისი კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა არა მხოლოდ გულის იშემიური დაავადების, მიოკარდიუმის ინფარქტის, გულის უკმარისობის, გულის რიტმისა და გამტარებლობის დარღვევის, კარდიომიოპათიის, ჰიპერტერნზიების განყოფილებები, არამედ თერაპიის თითქმის უკლებლივ სხვა დარგების პულმონოლოგიის, ჰემატოლოგიის, ენდოკრინოლოგიის, სამკურნალო კვების, კლინიკური ფარმაკოლოგიის, კლინიკური ბიოქიმიის, რევმატოლოგიის, გერიარტრია-გერონტოლოგიის, რეაბილიტაციის განყოფილებები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბატონი ნოდარ ყიფშიძე, მხოლოდ მისთვის ჩვეული მაღალი კულტურით, ერუდიციითა და უშუალოდ, ქართული მედიცინის ჭეშმარიტი სიამაყე იყო.

ბატონმა ნოდარ ყიფშიძემ თერაპიის ყველა დარგის ერთ ცენტრში გაერთიანებით, თერაპიულ კლინიკურ აზროვნებას დაუბრუნა თავისი ინტეგრარული და მაკორდინირებელი უმთავრესი ფუნქცია, რითაც მთელ საქართველოში თერაპიული სამსახურის ყველა დონეზე, ამბულატორიებიდან დიდ თერაპიულ ცენტრამდე, დაცული იყო პაციენტის დიაგნოსტიკის და მკურნალობის თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი მოთხოვნები და პრინციპები, რაც ჩვენდა სამწუხაროდ სადღეისოდ სხვადასხვა მიზეზთა და გარემოებათა გამო მოშლილია. თერაპიის სულ უფრო ვიწრო სპეციალიზაციის ფონზე მის მიერ გადადგმული ნაბიჯი დიდ ძალისხმევას და გამძლეობას საჭიროებდა, რითაც ბატონი ნოდარი ქართული თერაპიული სკოლის ფუძემდებლების – სპირიდონ ვირსალაძის, ნიკოლოზ მახვილაძის, მიხეილ წინამძღვრიშვილის, ალექსანდრე ალადაშვილის და ბატონი ნოდარის მამის – ნიკოლოზ ყიფშიძის მიერ დაწყებული საქმის ბრწყინვალე გამგრძელებლად მოგვეკვლინა. ამით მან ფასდაუდებელი ღვაწლი გაუწია თერაპიული სამსახურის შემდგომი განვითარების საქმეს საქართველოში. საწუხაროდ დღეს ეს სტრუქტურაც დაშლილია, როგორც მის მიერ დაარსებული თერაპიის ს/კ ინსტიტუტი და თერაპიის ეროვნული ცენტრი.

ბატონი ნოდარის სამეცნიერო მუშაობის ის შედეგები, რომლებმაც მას მსოფლიო აღიარება მოუტანეს, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია: ვირუსოლოგებთან, იმუნოლოგებ-

თან, ინფექციონისტებთან, ბიოტექნოლოგებთან ერთობლივად ჩატარებულმა სამეცნიერო მუშაობამ, ბატონ ნოდარ ყიფშიძეს საშუალება მისცა მსოფლიოში პირველად დაესაბუთებინა ვირუსული მიოკარდიტების კარდიომიოპათიებში ტრანსფორმაციის ალბათობის მაღალი შესაძლებლობა. ჰიპერტროფიული კარდიომიოპათიების დამუხრუჭება-დათრგუნვაში აღმოჩენილ იქნა ცვლილებების არსებობა გენურ აპარატში, რაც დიდ მეცნიერულ აღმოჩენად იქნა აღიარებული და რაზედაც ბატონ ნოდარს აკადემიკოს მიასნიკოვის პრემია მიენიჭა. აღსანიშნავია, რომ მეცნიერული მუშაობის ამ სერიაში შესრულებული იქნა შვიდი სადოქტორო და თერთმეტი საკანდიდატო დისერტაცია. ფიზიკოსებთან, პათოლოგანატომებთან, ბიოქიმიკოსებთან ერთობლივი მუშაობით კი დასაბუთებულ იქნა ჰელიუმ-ნეონური ლაზეროთერაპიის გამოყენების მაღალი შესაძლებლობები მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის, არასტაბილური სტენოკარდიის და პოსტინფარქტული კარდიოსკლეროზის მკურნალობაში. 1981 წელს ბატონ ნოდარს, თანაავტორებთან ერთად მიენიჭა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია. შესრულდა სამი სადოქტორო და და ოთხი საკანდიდატო დისერტაცია. ათეროსკლეროზის პათოგენეზის საკითხების დამუშავებისას საინტერესო აღმოჩნდა ანგიოლოგებთან, ინფექციონისტებთან, გერონტოლოგებთან, ბიოფიზიკოსებთან და პათოფიზიოლოგებთან პარტნიორული მუშაობის შედეგები. მითითებულ იქნა, რომ გულის გვირგვინოვან სისხლძარღვებში წარმოშობილი ათეროსკლეროზული პროცესის პროგრესირება მრავალ ფაქტორთა გადაჯაჭვულ ურთიერთ ზეგავლენაზე არის დამოკიდებული. გამოვლენილ იქნა მექანიზმები, რომელთა ძალითაც ისინი ამუხრუჭებენ გლუკოუნთოვანი ბოჭკოების გამრავლებას და ნეონტიმის წარმოშობას, იწვევენ ანგიოგენეზის დათრგუნვას და მამასადამე აფერხებენ ათეროსკლეროზული პროცესის, კერძოდ ათეროსკლეროზული ფოლაქის განვითარებას.

შესწავლილ იქნა აგრეთვე ინფექციის და გენეტიკური ფაქტორების როლი ათეროსკლეროზის პათოგენეზში. ამ გამოკვლევისათვის ბატონ ნოდარ ყიფშიძეს 1988 წელს მეორედ მიენიჭა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია. სამეცნიერო შრომების ეს სერია შვიდ სადოქტორო და თერთმეტ საკანდიდატო დისერტაციას მოიცავდა. რაც შეეხება პულმონოლოგიის, ენდოკრინოლოგიის, ჰეპატო-გასტროენტეროლოგიის, რევმატოლოგიის, რეაბილიტაციის, იმუნოლოგიისა და სხვა დარგებს, მეცნიერული მუშაობის შედეგები აქ არანაკლებად საინტერესო და ეფექტური აღმოჩნდა. აღნიშნულ განყოფილებებში შესრულდა ოცდაშვიდი სადოქტორო და ოთხმოცდაექვსი საკანდიდატო დისერტაცია.

„ნოდარ ყიფშიძის სკოლის“ კიდევ ერთ დადებით მხარეს ხაზს უსვამს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი საქართველოს სამედიცინო-ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ბატონი ნოდარ ბაქრაძე – ბატონი ნოდარი მუდმივად თანამშრომლობდა და მეგობრობდა მსოფლიო მეცნიერების ისეთ უმნიშვნელოვანეს წარმომადგენლებთან, როგორებიც იყვნენ და არიან პოლ უაიტი, ლაუნი, პეიჯი, ე. გუდვინი, ფრომერი, როსი, გორლინი, ლ. მიასნიკოვი, ი. შხვაცაბაია, ე. ჩაზოვი და სხვები.

ასეთი კონტაქტები მრავალჯერ გამხდარა თბილისში საერთაშორისო დონის კონფერენციების ჩატარების და ახალი მეცნიერული მიმართულებების განვითარების საწინდარი. დღესაც მახსოვს ბრიტანელი მეცნიერის, დიდი კარდიოლოგის, კარდიომიოპათიის მამამთავრის, ე. გუდვინის სტუმრობა ჩვენს ინსტიტუტში. სტუმარმა ინსტიტუტის ბიბლიოთეკა დაათვალიერა, სადაც მე ახალ ლიტერატურას ვეცნობოდი. სტუმარმა ბატონ ნოდარს მიმართა თუ რა საკითხებზე მუშაობდა ამჟამად ინსტიტუტი. პასუხის მოსმენის შემდეგ სტუმარმა ყურადღება ჩემზე გადმოიტანა.

ბატონმა ნოდარმა მთხოვა, რომ სტუმრისთვის მეჩვენებინა ჩემს მიერ ავადმყოფებზე გადაღებული ექოკარდიოგრაფები და მათზე ჩემი კომენტარი გამეკეთებინა. მე საკმაო რაოდენობით მქონდა დილატაციური, ჰიპერტროფიულ კარდიომიოპათიით, აორტალური და მიტრალური სტენოზითა და უკმარისობით შეპყრობილ პაციენტთა. აგრეთვე მწვავე პოსტინფარქტული ნეკროზით განვითარებული მარცხენა პარკუჭის ანევრიზმის არა ერთი შემთ-

ხვევაც. სტუმარი დიდხანს ათვალთვლებდა ექოგრაფიულ სურათებს და თითოეულ მათგანზე ჩემს კომენტარებს დადებითად აფასებდა. მას აინტერესებდა თუ რა მიმართულებით გავაგრძელებდი სამეცნიერო მუშაობას. ბატონ ნოდარს გაეღიმა და უპასუხა, რომ ამ საკითხზე მამანტი ჯერ კიდევ ფიქრობს და უახლოეს ხანში თავის გადაწყვეტილებას სამეცნიერო საბჭოს წარუდგენსო. ბატონი გუდვინი ძალზე ყმაყოფილი ჩანდა. ბატონ ნოდარს უთხრა: „თქვენს ინსტიტუტს დიდი პოტენციალი აქვს და ძალიან მიხარია თქვენი წარმატებები. დიდებული ხელმძღვანელი ბრძანდებით“. მე კი ხელი ჩამომართვა და წარმატებები მისურვა ჩემს საქმიანობაში.

თერაპიის ს/კ ინსტიტუტის თერაპიის ეროვნული ცენტრად „გადაკეთების“ შემდგომ იგი სტუდენტთა, ორდინატორთა, რეზიდენტთა, ასპირანტთა და ექიმთა აღზრდის მძლავრი სასწავლო კერა გახდა. საწახაროდ თერაპიის ცენტრი სხვადასხვა გარემოებათა და მიზეზთა გამო დიდი ხანია აღარ ფუნქციონირებს. შთამბეჭდავი იყო ბატონ ნოდარის მიერ წაკითხული ლექციები, და ჩატარებულ პრაქტიკული სემინარები. ძალზე მიმზიდველი და უაღრესად დახვეწილი იყო მისი კლინიკური შემოვლები, დიაგნოსტიკური გარჩევები და კონსილიუმები, რომლებიც თერაპიისა და კარდიოლოგიის საკითხებს ეხებოდა. საინტერესო იყო ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული სახელმძღვანელოები, გაილანები რომლებიც მედიცინის აქტუალურ საკითხებს ეხებოდა. ბატონი ნოდარის დიდსულოვნებას და კეთილშობილებას ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს პროფესორი ნოდარ ბაქრაძე და აღნიშნავს მის უაღრესად კეთილ განწყობებს კოლეგებთან საქმიანი და მეცნიერული მუშაობის დროს. ბატონ ნოდარ ყოფილიყო ჰქონდა გაუნებელი ლტოლვა - რეფორმიზმი და ნოვატორობა სიახლეების ძიებისადმი. მუდმივი ფიქრი პროფესიაზე და მამულზე - აი კიდევ ის საიდუმლოება, რამაც დიდად განაპირობა დასახული მიზნის მისაღწევად ბატონი ნოდარის შინაგანი ძალის და ურყევი ნებისყოფის განსაკუთრებული მობილიზება.

ბატონი ნოდარ ბაქრაძე ქართული მედიცინის პატრიარქისადმი ნოდარ ყოფილის დაბადების 90 წლის იუბილისადმი მიძღვნილ სტატიაში ხაზს უსვამს: - „დიდად მეამაყება, რომ მქონდა ბედნიერება მეშუშავა იმ გარემოცვაში, იდეებისა და ინოვაციების იმ სამყაროში, რომელსაც ბატონი ნოდარი და თერაპიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები ქმნიდნენ და ანხორციელებდნენ“.

2002 წლის დასაწყისში, მე მამანტი როგავამ, ვთხოვე ჩემს მეგობარს, ქალბატონ მანანა ლუღუშაურს დახმარება ახალი სამედიცინო ჟურნალის დაარსებაში. ჩვენი შეთანხმების საფუძველზე ყოველგვარი გაფრთხილებისა და მომზადების გარეშე, შეხვედრა ვთხოვეთ ბატონ ნოდარ ყოფილს. ბატონმა ნოდარმა გვიპასუხა: რომ თუ თქვენ მზად ხართ, მე შემიძლია მოვისმინოთ და განვიხილო თქვენი საკითხი. ჩვენ რათქმა უნდა ძალიან გაგვეხარდა და მოვახსენეთ, რომ გვინდოდა ჟურნალის „კარდიოლოგიისა და შინაგანი მედიცინა XXI“ დაარსება და ვთხოვეთ მხარდაჭერა. ბატონ ნოდარს ჩვენ სამოქმედო გეგმა დეტალურად გავაცანით და საჭირო ღონისძიებებში მისი თანადგომა ვთხოვეთ. მას მოიწონა ჩვენი გადაწყვეტილება ჟურნალის დაარსების შესახებ. უყოყმანოდ მიიღო ჩვენი მოსაზრება და წარმატებები გვისურვა და წარმატებები გვისურვა.

ჟურნალის „კარდიოლოგია და შინაგანი მედიცინა XXI“ რედაქციამ დააწესა ბატონ ნოდარ ყოფილის სახელობის ოქროს მედალი, რომელიც გაიცემა ათ წელიწადში ერთხელ მედიცინის ფუნდამენტურ მიმართულებათა დარგში მიღწეული წარმატებებისა და საყოველთაო აღიარების შემთხვევებში. დაწესებული მედალი ბატონი ნოდარის სიცოცხლეში არ გაცემულა და ელის ღირსეულ მაძიებელს ან მაძიებელთა ჯგუფს.

ჟურნალის რედაქცია ულოცავს მედიცინის მუშაკებს ქართული მედიცინის პატრიარქის დაბადების ასი წლის თავს და უსურვებს მათ წარმატებებს პროფესიულ საქმიანობასა და პირად ცხოვრებაში.

მინდა ერთხელ კიდევ გავიხსენო და პატივი მივაგო თერაპიის ინსტიტუტში და თერაპიის ეროვნულ ცენტრში მოღვაწე იმ თანამშრომლების ნათელ ხსოვნას, რომლებიც ერთგულად ეღვნენ გვერდში და უძწიკვლოდ იღწვოდნენ მრავალი ათეული წლები სამეცნიერო პრობლემათა გადაჭრის გზების ძიებასა და ავადმყოფთა გადარჩენისათვის, რამაც სრული აღიარება მოუტანა მთელ კოლექტივს ბატონ ნოდარ ყიფშიძის ხელმძღვანელობით.

გაუმარჯოს ბატონ ნოდარ ყიფშიძის მიერ განვლილ ცხოვრების გზას!

ღმერთო ნათელში ამყოფე უძწიკვლოდ ნაღვაწი ექიმთა სულები!

ვიმედოვნებთ, რომ ბატონ „ნოდარ ყიფშიძის სკოლა“ კვლავ იქნება ტონის მიმცემი ქართული მედიცინის განვითარების ავანგარდში.

გვჯერა, რომ ბატონ ნოდარ ყიფშიძის მიერ განვლილი გზა მისაბამი იქნება ახალგაზრდა თაობებისათვის, რომლებიც ქმნიან ქართული მედიცინის მომავალს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

*ჟურნალის რედაქციის სახელით
მამანტი როგავა 12.XI.2023წ.*

A Centenary of the Patriarch of the Georgian Medicine Nodar Kipshidze

100 years have passed since the birthday of the flagship of the Georgian Medicine, great scientist, doctor of medical sciences and professor, founder of the scientific research institute and its permanent director, president of the national Center of Therapy, academician of the Georgian Academy of sciences - Mr. Nodar Kipshidze.

Magazine editorial board would like to congratulate medical workers on this important event and wishes them success in professional activities and personal life.

We also would like to remember and pay tribute to those colleagues who had been actively working in the scientific-research institute under the leadership of Mr. Kipshidze and are not among us any more.

We believe that the path taken by Mr. Nodar Kipshidze will serve as an example for the young generations who create the future of the `Georgian Mrdicine for the benefit of our country and people.

*On behalf of editorial board,
Mamanti Rogava
12.11.2023*